

F 92.241
3

პრეზიდენტის ადმინისტრაცია, შუამდგომლობა

საქართველოს
ხელისუფლება



445

1925

საქართველოს ავტონომიური სსრ-ის

მინისტრთა საბჭოს

445
ანგარიში.

საინფორმაციო ანგარიშის უფლებით.



დ. შატაშვილი, 1925 წ.



სრულიად აჭარისტანის საზოგადოებრივი მწერთა კავშირი.

(23-28 მარტი, 1925 წ.)



ლისში. გაივლის ბევრი ათეული წელი, მაგრამ ამ ამხანაგებს არ დაივიწყებს ჩვენი მუშათა კლასი. მათ ბევრი გააკეთეს იმისათვის, რომ მათი ხსოვნა სამარადისოდ დარჩეს.

ცოტა ხნის წინეთ ადერბეიჯანის საბჭოთა ყრილობაზე სთქვა ამხ. მისანიკოვმა: ამიერ-კავკასიის ფედერაციამ შექმნა ეროვნებათა მშვიდობიანი ცხოვრება. გაივლის წლები, მოვა ახალი თაობა და მოიგონებს იმ პირებს, რომლებმაც შექმნეს ფედერაცია, როგორც საუკეთესო პირებსო. ამ საუკეთესოთა შორის იყვნენ ტრადიკულათ დაკარგული ამხანაგები.

დღეს, როცა ისინი — ჩვენი საუკეთესო ამხანაგები აღარ არიან, ჩვენ, ცოცხლებმა უნდა განვაგრძოთ მათი საქმე, პატივი ვსცეთ მათ დაუღალავ მუშაობით და კომუნისტურ წესწყობილების დამყარებით. საუკუნო იყოს დაკარგულ ამხანაგების ხსოვნა.

(ყრილობა და დამსწრე სასოგადოება ფეხზე ადგა. ორკესტრმა შესრულა სამგლოვიარო ჰიმნი. ამხ. მ. კახიანის სიტყვა ქართულათ თარგმნა ამხ. თ. ჟღენტმა).

თავმჯდომარე. ამხანაგებო, მისასალმებელი სიტყვა ეკუთვნის კომინტერნის წარმომადგენელს ამხ. გასპაროვას.

ამხ. გასპაროვა. ამხანაგებო, როცა გვესმის, რომ დაიღუპენ საუკეთესო მებრძოლნი, ენა გვებმის, სიტყვის თქმა გვიძნელდება, მაგრამ ჩვენ არ ვიბნევით.

ეს ამხანაგები დიდ მუშაობას აწარმოებდნენ. ბევრი რამ მისცეს მათ მუშათა კლასს, დაჩაგრულ ერებს. საჭიროა ჩვენ გაათქვეცბული ენერგიით განვაგრძოთ მათი საქმე.

ამხანაგებო, მთელს მსოფლიოში 3 მოკავშირე გვყავს ჩვენო, სთქვა ამხ. სტალინმა: 1 — პროლეტარიატი, 2 — გლეხობა და 3 — აღმოსავლეთის ჩაგრული ხალხი.

ამათ გარდა არის კიდევ ერთი რეზერვი, რომელიც ჩვენს იდეალს ემსახურება — ეს არის აღმოსავლეთის ქალი.

მე ვამბობ, რომ ეხლავე მოხდება მათი გამოღვიძება, რომ მოიხდიან ჩადრს და ერთბაშად გათანასწოვდებიან. ლენინმა გვიანდერძა: ქალს გაუწიეთ დახმარება, ქალი გამოაფხიზლეთო.

აქ, პატარა აჭარისტანში, არიან ქალები, რომლებიც ნელ-ნელა იღვიძებენ. შეიძლება ასე მალე არ იხდიან ჩადრს, მაგრამ უკვე გამარჯვება, წინ წაწევაა ფაქტი, რომ აჭარელი ქალი დახმარებისათვის მიმართავს საბჭოთა ხელისუფლებას,



რომ ამ ყრილობაზე არჩეულია აქარელი ქალები, აქეთ მათ აქეთ ქალთა კომიტეტი და სხვა. ეს დიდი ნაბიჯია წინ. რომ უცბათ არ აიხადეს ჩადრი—ეს არაფერია. საქმე ის არის, რომ ქალი სცნობს საბჭოთა ხელისუფლებას, იღებს მისგან დახმარებას. ჯერ ცოტა იქნება ასეთების რიცხვი, მომავალში ეს რიცხვი გაიზრდება, გამრავლდება.

მე თვით ადერბეიჯანელი ვარ, ამხ. ნარიშანოვთან ერთად ვმუშაობდი და მახსოვს, როგორ უცქერდა იგი ქალის საკითხს. უცბათ არ უნდა მოეხსნათ ჩადრიო, იტყვოდა. ასწავლეთ წერაკითხვა, შეაჩვიეთ შრომას, ასწავლეთ ავთოყოფობისას მიმართოს ექიმს და სხვ.

მე ვფიქრობ, რომ დაღუპულ ამხანაგთა ხსოვნის საუკეთესო აღნიშვნა იქნება, თუ დავეხმარებით ქალებს განთავისუფლებაში, თუ ნამდვილათ გავხდით მათ სწორუფლებიანს. თუ ამას შევძლებთ, მაშინ საუკუნოთ გავხდით იმათ ხსოვნას, რომლებიც დაიღუპნენ და რომლებიც მთელი სიცოცხლე იბრძოდნენ მუშათა კლასის და კერძოთ ქალთა განთავისუფლები-სათვის.

(ტაში. ორკესტრი ასრულებს ინტერნაციონალს).

თავმჯდომარე. ამხანაგებო, მისასალმებელი სიტყვა ეკუთვნის აქარისტანის პროფსაბჭოს მდივანს ამხ. ს. ხვედელიძეს.

ამხ. ხვედელიძე. ამხანაგებო, აქარისტანის პოლიტიკური და გეოგრაფიული მდგომარეობა ავალებს ჩვენს რესპუბლიკას მეტი ენერგიით იმუშაოს საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებაზე. თუ სადმეა საჭირო მუშებისა და გლეხების კავშირი, იგი ყველაზე საჭიროა აქარისტანში. რაც უფრო მეტი ენერგიული მუშაობა იქნება, მით უფრო მივიპყრობს აღმოსავლეთის ყურადღებას. აქარისტანი სამაგალითოა ჩაგრულ ხალხთათვის, თუ აქ მუშაობა კარგათ იქნება დაყენებული, ეს დაუმტკიცებს მთელ ქვეყანას, რომ ჩვენს პარტიას შეუძლია აღმოსავლეთის ჩაგრულ ერებში სათანადო მუშაობის წარმოება. მოუწოდებ ყრილობის წევრებს ნაყოფიერ მუშაობისათვის.

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას!

გაუმარჯოს მე-V-ე ყრილობას!

(ტაში. ორკესტრი ასრულებს ინტერნაციონალს).

თავმჯდომარე. ამხანაგებო, სიტყვა ეკუთვნის 1-ლ მსრო-



ლელოთა აქარისტანის ცაკის სახელობის პოლკის წარმომადგენელს ამხ. ეგოროვს.

ამხ. ეგოროვი. აქარისტანის ცაკის სახელობის პოლკის სახელით ყრილობას მიესალმა ამხ. ეგოროვი, რომელმაც დიდი მწუხარებით მოიგონა საუკეთესო მეგობრობათა დაკარგვა. მათში არა მარტო მოქალაქეებმა, არამედ წითელმა ჯარმაც დაკარგა საუკეთესო მეგობრობნი, რომლებიც სამოქალაქო ომის დროს მოწინავე ფრონტებზე იბრძოდნენ, ხოლო ამხ. მინიკოვში სამხედრო რევოლუციონერ საბჭოს ერთი საუკეთესო წევრთაგანი დაგვეღუპა.

შემდეგ ორატორმა მიულოცა ყრილობას და შეფიცა, რომ წითელი ჯარი შეასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას და ღირსი იქნება იმ დრომის, რომელიც აქარისტანის ცაკმა გადასცა მის ერთ ნაწილს.

თავმჯდომარე. ამხანაგებო, მისასალმებელი სიტყვა ეკუთვნის კომკავშირის მდივანს ამხ. კორსაველს.

ამხ. კორსაველი. ამხანაგებო, პირველათ ვესწრები აქარისტანის საბჭოთა ყრილობას, რომელიც უკვე მეხუთეთ შეიკრიბა ამ დარბაზში. აქარისტანის რესპუბლიკა აღმოსავლეთის საზღვარზე დგას. ეს ბევრ რამეს გვავალებს. თუ აქ კარგათ ცხოვრობს მუშა და გლეხი, საბჭოთა ხელისუფლების სახელი და პრესტიჟი იზრდება აღმოსავლეთში. ხოლო მუშებისა და გლეხების მატერიალურ მდგომარეობის გაუმჯობესება, ჩვენი ქვეყნის ეკონომიური აღორძინება, მუშათა და გლეხთა საბჭოების და მის ყრილობის ხელშია. ყოველი ნაბიჯი, ყოველი ღონისძიება, რომელსაც ჩვენი ქვეყნის აღმშენებლობითი ცხოვრება მოითხოვს, ტარდება თქვენი საშუალებით. მე მწამს, რომ ყრილობა საღი თვალით შეხედავს მთავრობის ნამუშევარს, შეათასებს მას. გაკეთებული ბევრია. ეს თქვენ ჩემზე უკეთ იცით, რადგან თქვენ საკუთარი თვალით ხედავთ ამ მიღწევებს და მე კი მხოლოდ სახკომსაბჭოს მიერ გამოცემულ ანგარიშიდან გავეცანი.

დასაწყისი კარგია, ხელისუფლებას სათავეში ზღდანან გამოცდილი ამხანაგები და მაგარი ნებისყოფის მქონე პარტია, მასადაამე მიზანი მიღწეული იქნება.

გაუმარჯოს აქარისტანის ფუხარა ხალხს!

გაუმარჯოს მე-V-ე ყრილობას და ახალ მთავრობას, რომელიც



მელიც მომავალში კიდევ უფრო განამტკიცებს საბჭოთა ხელისუფლებას!

(ტაშ. ორკესტრი ასრულებს ინტერნაციონალს).

თავმჯდომარე. ამხანაგებო! თფილისიდან, საქართველოს სახკომსაბჭოს თავმჯდომარის ამხ. შ. ელიაფასაგან მივიღეთ შემდეგი მისასალმებელი დეპეშა:

„მზურელე სალამს უძღვნი და ნაყოფიერ მუშაობას უსურვებ სრულიად აჭარისტანის საბჭოების მე-V-ე ყრილობას. ვწუხვარ, რომ 22 მარტს მომხდარ უბედურების გამო საშეალებას მოკლებული ვარ პირადათ დავესწრო ყრილობას.

გაუმარჯოს სრულიად აჭარისტანის საბჭოს მე-V-ე ყრილობას!

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას!

საქართველოს სახკომსაბჭოს თავმჯდომარე „ელიაფა“.

ხმა ადგილიდან. წინადადება შემომაქვს საპასუხო მისასალმებელი დეპეშა გაეგზავნოს ამხ. შ. ელიაფას. დეპეშის შედგენა მიენდოს პრეზიდიუმს. წინადადება მიღებულ იქნა.

თავმჯდომარე. მისასალმებელი სიტყვები დასრულდა. საჭიროა პრეზიდიუმის არჩევა. სიტყვა ეკუთვნის ამხ. თ. ხიმშიაშვილს.

ამხ. ხიმშიაშვილი. ამხანაგებო, წინადადება შემომაქვს პრეზიდიუმში ავირჩიოთ შემდეგი ამხანაგები: თ. ჟღერტი, მ. წეობილი, თ. ხიმშიაშვილი, შუშანი, პარამიძე, იმედაძე, გოგობერიძე, ხვედელიძე, დემეტრაძე, სურგულაძე, ღოთთქათაშვილი, ვაქროსი, თავდგირიძე, ახადაძე, ჩხლ-ოღლი, ელიაშვილი, აბდია შერიფ, დანელია, ბერიძე, კარსაყელი, ხუნუშ ბერიძე, ოსმან ტენტერაძე, თედორე დოლიძე, რეჟებ თხილაშვილი.

სამდივნოში: ამხ. გრ. გარაყანიძე, ს. ზაქარაძე, ი. მახარაძე.

სამანდატო კომისიაში: ამხ. ხარაბაძე, ამხ. დუმბაძე და ბასილაძე.

თავმჯდომარე. ვინ არის მომხრე ამხ. ხიმშიაშვილის წინადადების, გთხოვთ ასწიოთ ხელი (ხმას აძღვებს მთელი ყრილობა). ამხანაგებო, წინადადება მიღებულია ერთხმათ. პრეზიდიუმის და სამდივნოს წევრებს ვთხოვ დაიკავონ თავიანთი ადგილი.

ამხ. ხიმშიაშვილი. ამხანაგებო, წინადადება არის, რომ დადგულებულ ამხ. მისანიკოვის, მოგილევისკის და ათარბეგოვის დასათულავენაზე თბილისში გაიგზავნოს დელეგაცია.

ყრილობამ დაადგინა გაგზავნის დელეგაცია, რის შესრულება მიანდო პრეზიდიუმს.

ამხ. ხიმშიაშვილი. წინადადება არის გაგზავნოს სამ-
ძიმრის დეპეშები ამხ. ნარიმანოვის და მიასნიკოვის დაკარგვის
გამო საკავშირო ცაკს და ამხ. მიასნიკოვის, მოგილევსკის და
ათარბევოვის დაკარგვის გამო სამგლოვიარო დეპეშა ამიერ-
კავკასიის ცაკს.

ყრილობამ წინადადება მიიღო. დეპეშის გაგზავნა მიენდო
პრეზიდიუმს, რომელმაც შემდეგი შინაარსის დეპეშები გაგ-
ზავნა:

✓ 1. „მოსკოვი. სსრკ ცაკის პრეზიდიუმს.

აჭარისტანის საბჭოთა მე-V-ე ყრილობის პრეზიდიუმი
ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს აღმოსავლეთის მშრომელთა გან-
თავისუფლებისათვის ძველი მეგრძოლის ამხ. ნარიმანოვისა და
ამიერ-კავკასიის პროლეტარიატის ბელადის სსრკ ცაკის პრე-
ზიდიუმის წევრის ტრალიკულათ დაღუპულ ამხ. მიასნიკოვის
დაკარგვის გამო. აჭარისტანის მუშები და გლეხები ფიცს სდე-
ბენ, ყოველ ღონეს იხმარებენ კომუნისტურ პარტიის იდეალები-
ს განსახორცელებლათ, რისთვისაც ასეთი თავდადებით
იბრძოდნენ ამხ. ნარიმანოვი და მიასნიკოვი.

აჭარისტანის საბჭოთა მე-V ყრილობის პრეზიდიუმი.

✓ 2. „თბილისი. ამიერ-კავკასიის ცაკის პრეზიდიუმს.

აჭარისტანის საბჭოთა მე-V ყრილობამ მოისმინა რა ამხ.
მ. კახიანის ცნობა რევოლუციის სამ თავდადებულ მეგრძო-
ლის ამხ. მიასნიკოვის, მოგილევსკის და ათარბევოვის ტრა-
ლიკულათ დაკარგვის შესახებ, ღრმა მწუხარებას და თანაგრ-
ძნობას გამოსთქვამს. ამიერ-კავკასიის პროლეტარიატმა მათში
დაკარგა საუკეთესო მეგრძოლნი და მშრომელთა გამოცდილი
ბელადები. ედებთ მუშისა და გლეხის პატიოსან სიტყვას, რომ
კიდევ უფრო დაჯინებით ვიმუშავებთ საბჭოთა აღმშენებლო-
ბის განსამტკიცებლათ. ეს იქნება კომუნიზმისათვის მეგრძოლ
სამი გმირის ხსონის საუკეთესო აღნიშვნა.

აჭარისტანის საბჭოთა მე-V ყრილობის პრეზიდიუმი.

თავმჯდომარე. ამხანაგებო, საჭიროა დღის წესრიგის
შემუშავება. ამხ. თ. ჟღენტს აქვს წინადადება.



ამხ. ჟღენტი. ამხანაგებო, წინადადება შემომამქვს წინადადება-ტკიცოთ შემდეგი დღის წესრიგი:

1. მთავრობის მოხსენება.
2. საბჭოების მუშაობის შესახებ.
3. ტერნაწილების შესახებ.
4. კულტ. განმანათლებელი მუშაობის შესახებ.
5. კოოპერაციის მუშაობის შესახებ.
6. ვაჭრობა-მრეწველობის შესახებ.
7. სასოფლო მეურნეობაზე.
8. სააღმშენებლო მუშაობაზე.
9. სამანდანტო კომისიის მოხსენება.
10. აჭარისტანის ცაკის არჩევნები.
11. საკავშირო რესპუბლიკის ეროვნულ საბჭოს წევრად კანდიდატის არჩევა.
12. სრ. საქართველოს საბჭოთა ყრილობაზე დელეგატების არჩევა.
13. მიმდინარე საკითხები.

თავმჯდომარე. ამხანაგებო, მივიღოთ დღის წესრიგი ასე, თუ ვისმეს აქვს შესწორება. ამხანაგებო, ვინც მომხრე ხარ ამხ. თ. ჟღენტის მიერ წარმოდგენილ დღის წესრიგის, გთხოვთ ასწიოთ ხელი.

დღის წესრიგი დამტკიცებულ იქნა ერთხმით.

თავმჯდომარე. ამხანაგებო, საქიროა რეგლამენტი. სიტყვა წინადადებისათვის ეძლევა ამხ. თ. ჟღენტს.

ამხ. თ. ჟღენტი. ამხანაგებო, მე შემომამქვს რეგლამენტის შემდეგი პროექტი: მომხსენებელს 40 წ., საკამათო სიტყვა პირველად 10 წ., მეორეთ 5 წ., საბოლოო სიტყვა 20 წ., პირადი განცხადება სხდომის ბოლოს 5 წ., მთავრობის მოხსენების დრო არ იქნეს განსაზღვრული.

თავმჯდომარე. შესწორება თუ არის? არა. ვინ არის მომხრე? რეგლამენტი დამტკიცებულ იქნა ერთხმით.

თავმჯდომარე. ამხანაგებო, შემოვიდა წინადადება, რომ დღის წესრიგში დასმულ საკითხების გარჩევას შეუდგეთ ხელოვანი დიდიდან. სანამ პირველ სხდომის დავასრულებდეთ საშვალეობა მივსცეთ საბჭოების წარმომადგენლებს მიესალმონ ყრილობას.

მისასალმებელი სიტყვა ეძლევა ბათუმის საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. ვლ. სურგულაძეს.

ამხ. ვლ. სურგულაძე. ამხანაგებო, მოგესალმებით ბა-



თომის პროლეტარიატის სახელით. თქვენ ბევრი წესწამი
ლება გინახავთ, მაგრამ არც ერთ მთავრობას არ შეუგნია
გლეხების ინტერესი ისე, როგორც ეს შეიგნო საბჭოთა ხე-
ლისუფლებამ. ამ საერთო მუშაობაში მონაწილეობას იღებდა
აგრეთვე ბათუმის მუშათა კლასი, რომელიც ცდილობდა შე-
ძლებისდაგვარად განემტკიცებია კავშირი გლეხობასთან. ბა-
თუმის პროლეტარიატი აჭარის ფუხარა ხალხთან ხელჩაკიდე-
ბული მიდის წინ, აშენებს მშრომელთა სახელმწიფოს და
გვჯერა, რომ მივალწევთ მიზანს.

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას, გაუმარჯოს მუშისა
და გლეხის კავშირს!

გაუმარჯოს აჭარისტანის საბჭოთა მე-V ყრილობას!

თავმჯდომარე. მისასალმებელი სიტყვა ეკუთვნის ქედის
მაზრის წარმომადგენელს ქიაზიმ ბასილაძეს.

ამხ. ქიაზიმ ბასილაძე. ამხანაგებო, ნება მომეცით ქე-
დის მაზრის მუშების და გლეხების სახელით მოგესალმოთ
სრულიად აჭარისტანის მუშათა და გლეხთა საბჭოების მე-V
ყრილობას. ჩვენ, ამხანაგებო, მე-V-თეჯერ თავს ვიყრით, რო-
გორც აჭარისტანის გლეხობის წარმომადგენლობა და ვიხი-
ლავთ ჩვენ ბედ-იღბალს, მისი წინ წაწევისათვის და გასათარ-
თობელათ ვირჩევთ თვით გლეხობის წრიდან შემდგარ ცენ-
ტრალურ წითელ მეჯლისს.

ამხანაგებო, ჩვენი წითელი მეჯლისის 4 წლის დაულ-
ლავმა და შეუწყვეტელმა მუშაობამ აჭარელი გლეხკაცობა
მთელი რესპუბლიკანური მასშტაბით საგრძნობლად წინ წას-
წია, გააძლიერა სწავლა-განათლება, ააგო დიდძალი სკოლები,
ააგო გზები, ხიდები, კლუბები, და გაატარა სწორი მიწის
რეფორმა. აგრეთვე, ამხანაგებო, მან მოაწყო გლეხობა სასო-
ფლო-სამეურნეო ნიადაგზე და სხვა. მან მოსპო შინაური
მტრები და გლეხობა ააცდინა მუდმივ ჩაგვრას, აჭარელ ბეგ-
ალების და სხვა ელექტების ჩაგვრას და გლეხობას მისცა
თავისუფალი ცხოვრება.

ამხანაგებო, მე ქედის მაზრის სახელით მოგიწოდებთ და
გიურავებთ, რათა აგერჩიოთ ახალი ისეთი წითელი მეჯ-
ლისი, რომელიც მომავალში უფრო და უფრო გაათართობს
მუშაობას მშრომელ გლეხობაში და შეასრულებს მათ ყოველ-
გვარ დავალებებს.

მაშ გაუმარჯოს აჭარისტანის მშრომელთა საბჭოების



მე-V-თე ყრილობას, გაუმარჯოს საბჭოთა მთავრობას და გაუმარჯოს მის ხელმძღვანელ კომუნისტურ პარტიას!

თავმჯდომარე. ფუხარა ქალთა წარმომადგენელი ამხ. ნუნუშ ბერიძე მისვალმება ყრილობას.

ამხ. ნუნუშ ბერიძე. ამხანაგებო, მე მივესალმები აჭარისტანის მე-V-ე ყრილობას აჭარელ ქალთა კომიტეტის სახელით.

მე მოხარული ვარ, რომ ჩვენ, აჭარელი ქალები, ჩვენს ძმებთან ერთად ვიღებთ მონაწილეობას საბჭოთა აღმშენებლობაში. მოხარული ვარ ისეთი მთავრობის, რომელიც გვებმარება ქალთა განთავისუფლების საქმეში. ესთხოვ დღეგატებს, როცა სახლში წავლენ, აუხსნან და მოუწოდონ თავიანთ დებსა და ცოლებს, რომ მიიღონ მათ მონაწილეობა საზოგადოებრივ საქმეში.

გაგიმარჯოთ თქვენ და გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას და პატარა წითელ აჭარისტანს!

თავმჯდომარე. მისასალმებელი სიტყვა ეკუთვნის აჭარისწყლის წარმომადგენელს ამხ. სულეიჰან ზაქარაძეს.

ამხ. ს. ზაქარაძე. ძვირფასო მეზობლებო, მიულოცავ აჭარისტანის მე-V-ე ყრილობას აჭარის წყლის ფუხარა ხალხის სახელით და ვუსურვებ მას ათასჯერ მეტი გაეკეთებინოს, ვიდრე ამდენხანს. გაუმარჯოს საბჭოთა მთავრობას, გაუმარჯოს ჩვენს ყრილობას და მის მუშაობას!

თავმჯდომარე. ამხანაგებო, ქობულეთის მაზრიდან სიტყვა ეკუთვნის რეჯებ თხილაიშვილს.

რ. თხილაიშვილი. ამხანაგებო, მოგესალმებით ქობულეთის მაზრის მუშათა და გლეხთა სახელით და ვუსურვებ მე-V-ე ყრილობას ისეთი ბჭობა და საქმიანობა გამოეჩინოს, რომ სხვადასხვა იმპერიალისტურ სახელმწიფოთა თვალში განათლებული გამოჩენილიყოს; აჭარისტანი ყოფილიყოს აყვავებული ისე, რომ სხვადასხვა დიდ სახელმწიფოთა წარმომადგენლებს გაკვირვებოდეს. ამხანაგებო, კარგათ მოგეხსენებათ მენშევიკების დროს თუ როგორ გვაწიოკებდენ და როგორ გაქონდა ზარბაზნებს დაუწყნარებლათ გრიალი. აბა მ წელია და თუ აგრიალებულა ერთხელაც ზარბაზნები არსებულ მთავრობის დროს. მუშათა და გლეხთა გამარჯვება და ასეთი ძვირფასი თავისუფლება მოგვცა წითელმა არმიამ და მე ასეთ წითელ არმიას, რომელიც მუდამ მზათ არის ჩვენი თავისუფლების დასაცავათ, ვუსურვებ გამარჯვებას და ბედნიერებას! (ტაში).



გაუმარჯოს დიდი რუსეთის კომპარტიის ბელადებს, მარჯოს ამიერ-კავკასიის ბელადებს და აგრეთვე პატარა აჭარისტანს, მის მთავრობას და მე-III-ე ინტერნაციონალს!

თავმჯდომარე. ამხანაგებო, მისასალმებელი სიტყვა ეკუთვნის ქოროხის მაზრის წარმომადგენელს ამხ. ბოზო კაი ოღლის.

ამხ. ბოზო კაი ოღლი. (ღაჰარაკობს თათრულაჲთ). ამხანაგებო, ჩვენ წინეთ უფლება არ გვქონდა შემოვსულიყავით ასეთ ადგილზე. დღეს აქ ერთათ თავმოყრილი ვართ და მე, გლეხი ვესალმები უმაღლეს ორგანოს — საბჭოთა ყრილობას. მე ბედნიერათ ვრაცხ ჩემ თავს, რომ თავისუფლათ შემიძლია ყველა იმის თქმა, რაც მე მტანჯავს და მაწუხებს. აღარ მეშინია ბეგ-აღების, გვაქვს მიწა-წყალი და ჩვენ თავს ჩვენვე განვაგებთ. მე ვუსურვებ გაძლიერებულ მუშაობას ჩვენს ყრილობას!

თავმჯდომარე. ამხანაგებო, მისასალმებელი სიტყვა ეკუთვნის ამხ. მუსტაფა აცამბას.

ამხ. მუსტაფა აცამბა. (ღაჰარაკობს თათრულაჲთ). ამხანაგებო, მე დიდი მოხარული და კმაყოფილი ვარ საბჭოთა მთავრობის მუშაობით, რომელი მუშაობაც ჩვენი ფუხარა ხალხის საკეთილდღეოთ არის მიმართული. მე ვუსურვებ კომუნისტურ პარტიას გამარჯვებას. კომპარტიამ გავგანთავისუფლა ბეგების ბატონობისაგან და მოგვცა ძვირფას თავისუფლებასთან ერთად მიწა-წყალი, გაუმარჯოს წითელ აჭარისტანს, მთავრობას!

თავმჯდომარე. ამხანაგებო, აჭარელ სტუდენტების სახელით ყრილობას მიესალმება ამხ. ილიას მეგრელიძე.

ამხ. ილიას მეგრელიძე. ამხანაგებო, ნება მომეცით პროლეტარულ სტუდენტების სახელით მხურვალე სალამით უძღვნა აჭარისტანის მე-V-თე ყრილობას. ხალხი უკვე დარწმუნდა, რომ საბჭოთა ხელისუფლება არის ერთად-ერთი ხელისუფლება, რომელსაც შეუძლია მიანიჭოს მშრომელს ბედნიერება. თუ წარსულში ხალხს არ შეეძლო აქ შეკრებილიყო, დღეს იგი თვითონ სწყვეტს თავის საქმეებს და თავის ინტერესების ირგვლივ ბჭობს. თუ 21-22 წლებში ვერ გავკეთებულა, დღეს მხოლოდ ცოტა დეფექტების აღნიშვნა შეგვიძლია. დღეს ჩვენ აქ ვისმენთ ყველას სიტყვებს, როგორც მამაკაცების ისე ქალებისას და ცრემლები გვადგება თვალეზზე, რომ უწინ ასეთს არ ქონია ადგილი. ამიტომ გულწრფელად ვამბობ, გაუმარჯოს აჭარისტანის მე-V-თე ყრილობას, გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას!



თავმჯდომარე. აჭარელ ბავშთა სახლის სახელმძღვანელო სალმება ყრილობას მუხამედ თავართქილაძე.

მ. თავართქილაძე. თ. ხიმშიაშვილის სახელობის ფუხარა ხალხის შვილების სახლის სახელით ვესალმები აჭარისტანის მუშებისა და გლეხების ყრილობას.

გაუმარჯოს მე-V-თე ყრილობას, გაუმარჯოს მუშებსა და გლეხებს! (ოვაციები).

თავმჯდომარე. პედაგოგიურ ინსტიტუტის სახელით ყრილობას მიესალმება მოწაფე ზია ქემხაძე.

ამხ. ზია ქემხაძე. აშანაგებო, მოგესალმებით აჭარისტანის პედაგოგიური ინსტიტუტის სახელით. ჩვენ, ფუხარა ხალხის შვილები, თქვენ ძვირფას მამებს გიძღვნი სალამს და აღფრთოვანებით ვეგებებით თქვენს აქ ჩამოსვლას.

ამხანაგებო, დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც აჭარისტანის ფუხარა ხალხი იტანჯებოდა საშინელ მონობის ქვეშ, რომელმაც ტანჯვა ბრწყინვალე გამარჯვებით შესცვალა და გამოვიდა ახალ ცხოვრების ასპარეზზე.

აჭარისტანი ჰყვავის ეკონომიურად, კულტურულად და პოლიტიკურად, რის მაჩვენებელია მცირე დროის სივრცეზე განვითარებული მეურნეობა, ჯანმრთელობისათვის დაარსებული მაზრებში მრავალი საექიმო პუნქტები, გზები, ხიდები და მრავალი სხვა, რაც უნდა მიეწეროს საბჭოთა მთავრობას, რომელმაც სიბნელის ფარდა ახადა აჭარისტანის ფუხარა ხალხს და გამოიყვანა შეფენების ასპარეზზე, რასაც მოჰყვა ფუხარა ხალხის ფარული გენიის გამოშფუთება კულტურის სარბიელზე და მისი გიგანტიური გაქანება ნათელ მოსილ მომავლისაკენ. აჭარისტანის მაზრებში არსებობს 100 შრომის სკოლა და მრავალი სხვა განმანათლებელი დარგები. ეს სიმბოლოა აჭარისტანის კულტურულ ზრდისა და განვითარებისა. მაგრამ ამ სკოლებს შორის აღსანიშნავია აჭარისტანის პედაგოგიური ინსტიტუტი, რომელშიდაც სწავლობს ფუხარა ხალხის 140 შვილი. ეს ის ფუხარა ხალხის შვილებია, რომლებიც მიველინებიან კულტურის ცვრებად აჭარისტანის კუნჭულებს და ააჩირაღდნებენ მას.

მაშ გაუმარჯოს, ამხანაგებო, საბჭოთა აჭარისტანის მეხუთე ყრილობას, გაუმარჯოს ავტონომიურ აჭარისტანს და გაუმარჯოს მის კულტურულ გაქანებას საუკეთესო მომავლისაკენ!

თავმჯდომარე. ამხანაგებო, მისასალმებელი სიტყვა ეკუთვნის ინდუსტრიალურ ტექნიკუმის მოწაფეს სახელით დურსუნ თევდორაძეს.



ამხ. დურსუნ თევდორაძე. აჭარისტანის ინდუსტრიალიზაციის ტენზიუმის მოწაფეთა სახელით ნება მომეცით. მივესალმო მე-V-თე ყრილობას და ვუსურვო მას წაყოფიერი მუშაობა. 4 წლის უკან თქვენ მოსპეთ აჭარისტანის მონობა და მის შემდეგ გააცხოველეთ აღმშენებლობა — დაარსეთ სკოლები, სასწავლებლები, სადაც ჩვენ, ფუხარა გლეხების შვილებს მოგვეცა საშუალება მივიღოთ განათლება. ჩვენ იმედს გამოვსთქვამთ, რომ სულ მალე ჩვენივე ცოდნით წაყოფის მოუტანთ წითელ აჭარისტანს. გადავცით ჩვენი გულითადი სალამი სოფლის მოსწავლე ახალგაზრდობას და ნ. შკოლისათვის ეს სამოსწავლო ნივთები, რომლებიც ჩვენის შრომით დავამზადეთ სასწავლებელში.

(გადაეცა პრეზიდიუმს 5 ყუთი სამოსწავლო ნივთები. კრალბამ გაუმართა ოფიცია).

თავმჯდომარე. მისასალმებელი სიტყვა ეკუთვნის პარტ-შკოლის კურსანტს ამხ. მემედ სტამბოლიშვილს.

ამხ. მ. სტამბოლიშვილი. ამხანაგებო, ნება მიბოძეთ მოგესალმოთ აჭარისტანის მე-V-თე ყრილობას აჭარისტანის პარტიულ სკოლის კურსანტების სახელით. საბჭოთა ყრილობა არის ერთად-ერთი დერძი საბჭოთა ხელისუფლებისა. ჩვენ, უწინ, მუშებს და გლეხებს გვქონდა ხელები და ფეხები შებორკილი, დღეს კი საბჭოთა ხელისუფლებამ გაგვანთავისუფლა მძიმე უღლისაგან. ჩვენ არ გვქონდა სწავლის უფლება, ჩვენ არ გვქონდა უფლება გაზეთების კითხვის და სხვა ასეთების. დღეს ჩვენმა მთავრობამ ჩვენ გაგვანათლა და გამოგვიყვანა მონობის მდგომარეობისაგან. ამიტომ ინტენსიურად უნდა ვემსახუროთ ასეთ საუცხოვო თავისუფლებას. ჩვენ არ უნდა ვიმუშაოთ კუთხეებით, არამედ ფართედ, სხვა ქვეყნების მუშებიც უნდა გავანთავისუფლოთ. ჩვენ, პარტსკოლის კურსანტები ყოველ წუთში მზად ვართ პასუხი გავსცეთ ჩვენ მტრებს.

გაუმარჯოს ხიმშიაშვილს და მოწყობილს, გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას და მთელს ქვეყანაზე წითელი დროშის აფრიალებას!

თავმჯდომარე. ამხანაგებო, აჭარისტანის საბჭოთა მე-V-ე ყრილობის პირველ სხდომას დახურულათ ვაცხადებ (ტაშ. ინტერნაციონალი).



მ ე ო რ ე ს ხ დ ო მ ა .

24 მარტს, დილით, აკადემიურ თეატრში, გაიხსნა აჭარისტანის საბჭოთა მე-V-თე ყრილობის მეორე სხდომა ამხ. სულიმან ბარამიძის თავმჯდომარეობით.

თავმჯდომარე. ამხანაგებო, სრულიად აჭარისტანის საბჭოთა მე-V-თე ყრილობის მეორე სხდომას გახსნილათ ვაცხადებ (ტაში).

სიტყვა ეკუთვნის ამხ. თ. ხიმშიაშვილს, რომელიც გააკეთებს მოხსენებას აჭარისტანის ცაკ'ის და სახკომსაბჭოს ერთი წლის მუშაობის შესახებ.


ამხ. თ. ხიმშიაშვილი. ამხანაგებო, მე დავალება მაქვს გავაკეთო თქვენს წინაშე მოხსენება ცაკ'ის და სახკომსაბჭოს ერთი წლის მუშაობის შესახებ.

ამხანაგებო, შარშან მე-IV-ე ყრილობამ მთავრობის მოხსენების შესახებ გამოიტანა რეზოლუციები და დადგენილებები, რომელიც გადაეცა ცაკ'ს და სახკომსაბჭოს, როგორც სახელმძღვანელო დირექტივები. ჩვენც მთელი მუშაობა დავაყრდნეთ ამ დირექტივებს და მით ვხელმძღვანელობდით საანგარიშო წლის განმავლობაში.

სანამ საანგარიშო წლის მოღვაწეობის დახასიათებას შეუდგებოდე, საჭიროთ ვსთვლი გაგაცნოთ მე-IV ყრილობის დავალებები, რომ საშვალება მოგეცეთ შეაფასოთ თუ რამდენათ სწორეთ შესძლო მთავრობამ მათი ცხოვრებაში გატარება.

მე-IV-ე ყრილობის დადგენილებებში სწერია: „საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელმა წრეებმა მიაქციონ უმთავრესი ყურადღება აჭარისტანის ეკონომიურ ფაქტორებს: ბაღოსნობას, მეფუტკრეობას, ციტროვან და სხვა ძვირფას ხეხილების კულტურას; ჩაის მეურნეობის გაძლიერებას; ტყის მრეწველობის რაციონალურ დონეზე დაყენებას; გზებისა და ხიდების აღმშენებლობას; აღმოჩენილ გლეხობას დახმარება კრედიტის გახსნით, რომელიც მოხმარდება სრულიად სასოფლო-მეურნეობის აღდგენას; აგრეთვე მომარაგებულ იქნას გლეხობისათვის სხვადასხვა თესლეულობა და ნერგები და დაურიგდეს სოფლად გლეხობას ხელმისაწვდენ ფასებში; მიღებულ იქნას ზომები სკოლების ქსელის გასაფართოებლათ აჭარისტანში; მომზადებულ იქნას აჭარელ მკვიდრთაგან სახალხო მასწავლებელთა და მეურნეთა კადრი; სწავლა-აღზრდის საქმე დაფუძნებულ იქნას მარქსისტული პედაგოგიურ პრინციპზე და მე-

328 (479-22) "1925"



საქართველოს მწერთა კავშირი

საშუალო აზერბაიჯანის საბჭოთა მე-V ყრილობის ანგარიში.

23-28 მარტი, 1925 წელი.

პირველი სხდომა.

1925 წელს, 23 მარტს, საღამოს 7^{1/2} საათზე, აკადემიურ თეატრში გაიხსნა საშუალო აზერბაიჯანის საბჭოთა მე-V ყრილობა აშხ. ს. ბარამიძის თავმჯდომარეობით.


ს. ბარამიძე. ამხანაგებო, ცენტრალურ საარჩევნო კომისიის სახელით აზერბაიჯანის საბჭოთა მე-V ყრილობას გახსნილათ ვაცხადებ (ტაში. ორკესტრი ასრულებს ინტერნაციონალს).

ამხანაგებო, შარშან ჩვენ გამოგვესალმა კომპარტიის ბელადი, ძვირფასი მასწავლებელი აშხ. ლენინი. გთხოვთ ფეხზე აღდგომით პატივი სცეთ მის ხსოვნას. (ყრილობა და დამსწრე სწავლადგება ფეხზე ღებზე. ორკესტრი ასრულებს სამგლოვიარო მარშს).

ამხანაგებო, წელსაც უბედურება გვეწვია. დავკარგეთ აღმოსავლეთის ჩაგრულთა ბელადი, საკავშირო ცაქის პრეზიდენტის წევრი აშხ. ნარიმან ნარიმანოვი და ტრალიკულათ დაილუბნენ ამიერ-კავკასიის პროლეტარიატის ბელადები: აშხ. მიასნიკოვი, მოგილეესკი და ათარბეგოვი. გთხოვთ მათ ხსოვნას პატივი სცეთ ფეხზე აღდგომით! (ყრილობა ფეხზე ღებზე. ორკესტრი ასრულებს სამგლოვიარო მარშს).

ამხანაგებო, მისასალმებელი სიტყვა ეკუთვნის საქართველოს კომპარტიის ცეკას მდივანს აშხ. მ. კახიანს.

აშხ. მ. კახიანი. (დამარცხებას რუსულად). ამხანაგებო, აზერბაიჯანის საბჭოთა მე-V-ე ყრილობის დღევანდელი სხდომა გლოვით დაიწყო. მეც ჩემს მისასალმებელ სიტყვას ვიწყებ არა მილოცვით. ეს კვირა გლოვის კვირაა. დავკარგეთ 4 საუკეთესო ამხანაგი: აშხ. ნარიმან ნარიმანოვი, მიასნიკოვი, მოგილეესკი და ათარბეგოვი.





ამხ. ნარიმანოვი მოკვდა. დავკარგეთ უდიდესი კომუნისტური მუშაკი, რომელიც კომუნისტურ პარტიის იდეებს ანხორციელებდა მთელ აღმოსავლეთში, რომელიც მუდამ იტანჯებოდა და რომელსაც ასეთი დიდი წარმომადგენელი ყავდა საკავშირო ცაკში, როგორც ამხ. ნარიმანოვი იყო. იგი ცოცხალი კავშირი იყო საბჭოთა ხელისუფლებისა და აღმოსავლეთის ხალხს შორის. დიდი, მძიმე დანაკლისია მისი სიკვდილი.

ვერც კი მოვასწარიტ ამხ. ნარიმანოვის დასაფლავება, რომ ტრალიკულათ დავკარგეთ სამი დიდი მუშაკი: **ამხ. მიასნიკოვი, მოგილევსკი და ათარბეგოვი**. სამივე ამხანაგი დიდ პასუხსაგებ საქმეს ასრულებდენ ამიერ-კავკასიის ფედერაციაში.

ამხ. მიასნიკოვი ჯერ სომხეთის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე იყო, შემდეგ ამიერ-კავკასიის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და „ზაკრაიკომის“ მდივანი. ამხ. მოგილევსკი ხელმძღვანელობდა რევოლიუციის სადარაჯოს — ამიერ-კავკასიის საგანგებო კომისიის თავმჯდომარე იყო.

ამხ. ათარბეგოვი, ფოსტა-ტელეგრაფის სახკომი.

გულსაკლავი ის არის, რომ ეს სამი ამხანაგი არაჩვეულებრივ ტრალიკულათ დაიღუპნენ. ისინი უნდა გაფრენილიყვნენ აფხაზეთში. ჰაეროპლანი დაიმსხვრა და დაიღუპნენ საუკეთესო ამხანაგები, რომლებიც იბრძოდენ მუშათა კლასის გამარჯვებისათვის.

არა სასეირნოთ მიდიოდენ ამხანაგები ჰაეროპლანით, პარტიის დავალებით მათ უნდა ჩაეტარებიათ აფხაზეთში საბჭოთა ყრილობა.

ასეთი ტრალედია მოულოდნელი და ძნელი წარმოსადგენი იყო. ეხლა ძნელია ამ ამხანაგებზე ლაპარაკი, რომელთაც არ იცოდენ რა არის პირადი კეთილდღეობა, რომლებიც მუდამ პასუხსაგებ ადგილებზე მუშაობდენ, რომ ჩვენი ქვეყანა მოეყვანათ ისეთ მდგომარეობაში, როგორშიაც ეხლაა იგი.

ამხ. მიასნიკოვი მარტო ამიერ-კავკასიაში არ არის ცნობილი. იგი წინეთ ბელორუსიაში მუშაობდა. 1918, 1919 და 1920 წლებში რუსეთში იყო, იქ იბრძოდა სამოქალაქო ომის დროს. როდესაც თეთრგვარდიელებმა ბომბით ააფეთქეს მოსკოვის კომიტეტი, ამხ. მიასნიკოვი იქ იყო მაშინ. 13 ამხანაგი მოგვიკლეს, იგი გადარჩა და მოსკოვმა კომიტეტის მდივნათ აირჩია იგი.

დღეს ეს ამხანაგი ტრალიკულათ მკვდარი ასვენია თბი-



თოდებზე; გაძლიერებულ იქნას მუშაობა საბჭოთა აღმშენებლობის სხვა დარგებშიც; უზრუნველყოფილ იქნას მაზრებში პირველ მოთხოვნილებათა საგნებით და ასეთები მიეწოდოს გლეხობას ხელმისაწვდომ ფასებში; ყურადღება მიექცეს ქალთა ფუფუნებების დაცვას აჭარისტანში.

ეხლა განვიხილოთ მთავრობის მოღვაწეობა.

დავიწყეთ ეკონომიურ საკითხებიდან.

მე-IV-ე ყრილობაზე დიდი კამათი გამოიწვია ამ საკითხმა. დელეგატები მოითხოვდნ სოფლის და ქალაქის დაცემულ მეურნეობის აღდგენას, სოფლის პროდუქციის რეალიზაციის მოგვარებას, საქონელზე ფასების მერყეობის საკითხისა და კოოპერატივების მდგომარეობის გამორკვევას და სხ.

გლეხები ამბობდნ, რომ სოფლის პროდუქტებს არა აქვს გასავალი ბაზარზე. ჩვენ ნამუშევარს ვერ უშვებით რეალიზაციასო. რომ იყოს კიდევ ბაზარი, ფასები მეტად მცირეაო, სოფლის პროდუქცია იაფია და ქალაქის ძვირიაო და სხ.

კამათი იყო ფუფუნების ნიშნების კურსის მერყეობაზე. აღნიშნავდნ აგრეთვე, რომ სახელმწიფო მრეწველობა და ვაჭრობა არ არის თავის სიმაღლეზე დაყენებული.

აჭარისტანის ვაჭრობა-მრეწველობა ებარა კომმეურნეობას, რომლის ორგანიზაცია, სტუქტურა, ვაჭრობა-მრეწველობის რესპუბლიკანურ მასშტაბით განმტკიცების საშუალებას არ იძლეოდა.

კოოპერაცია სუსტი იყო. მცირე იყო რაოდენობა კოოპერატიულ დუქნებისა და რაც იყო იმასაც საქონელი არ ქონდა. ხშირათ კოოპერატივში ნახავდით ისეთ საქონელს, რომელიც გლეხს არ სჭირდება, ხოლო საქირო საგნები არ იშოვებოდა, ფასები კი იყო ერთობ დიდი.

ერთი სიტყვით ეკონომიურ საკითხების გარშემო მე-4-ე ყრილობაზე დიდი კამათი იყო და ბოლოს ყრილობამ ცაკ'ს და სახკომსაბჭოს მისცა გარკვეული ღირებულებები.

ამ ღირებულებების თანახმად საანგარიშო წელში სერიოზული ნაბიჯები გადაიდგა ჩვენი ეკონომიურ ცხოვრების მოსაწესრიგებლათ. თუ 1921 წელში ჩვენი მუშაობა გამოიხატა სოფლისა და ქალაქის პოლიტიკურ დაახლოებაში, გაბატონებულ ფეოდალიზმის განდევნაში და მუშისა და გლეხს შორის კავშირის დამყარებაში, 1922—23 წლებში ფეოდალიზმს ლიკვიდაცია უყავით არა მარტო მმართველობის სფეროში,



არამედ მოვსპეთ მისი ეკონომიური ძლიერება, გლეხის კავშირი განვამტკიცეთ ეკონომიურ ნიადაგზე.

აღმშენებლობა იწყება 1923 წლიდან. ამ წლის მუშაობა გამოიხატა ახალ გზების მოძებნაში. 1924 წელმა გახსნა ეკონომიური ფრონტი. სახკომსაბჭოს და ეკონომსაბჭოს სხდომებზე უმთავრესად იდგა ეკონომიური ხასიათის საკითხები.

ამ რიგათ 1924 წელი ეკონომიურ ფრონტზე სერიოზულ მუშაობის დაწყების წელიწადია.

აჭარისტანში ვაჭრობა-მრეწველობის საქმეს განაგებდა კომმეურნეობა, რომელიც ქალაქის მეურნეობის ორგანოა და მის ფუნქციებში არ შედის სახალხო მეურნეობაზე ზრუნვა რესპუბლიკის მასშტაბით. კომმეურნეობა არსებითად ვერც ქალაქის საქმეებს აკეთებდა და ვერც საერთო ვაჭრობა-მრეწველობას ხელმძღვანელობდა.

ამ მდგომარეობიდან გამოსვლის მიზნით, სახკომსაბჭომ 16 მარტს 1924 წელს დაადგინა გამოყოფილი კომმეურნეობას სავაჭრო და სამრეწველო განყოფილებები და მთელი აქტივ-პასივით გადაცემოდა აჭარისტანის შინა ვაჭრობა-მრეწველობის სამმართველოს — „აჭარპრომტორგს“, რომელიც იმავე თარიღის დადგენილებით იქნა დაარსებული.

დღის წესრიგში სპეციალურად დგას ვაჭრობა-მრეწველობის საკითხები და ჩვენ მომხსენებელი, ალბათ, დეტალურათ გაგვაცნობს ამ საკითხს. მე მხოლოდ მინდა აღვნიშნო, რომ აჭარპრომტორგის ბალანსი საქმის დაწყებისას უდრიდა 1.854 ათას მან. 1-ლ ოქტ., ე. ი. 6 თვის შემდეგ კი 2.523.000 მან., მაშასადამე 6 თვეში ბალანსი 700.000 მანეთით გადიდებულია. 1-ლ მარტისათვის აჭარპრომტორგის წმინდა მოგება უდრიდა 196.000 მან.

მიუხედავად იმისა, რომ ვაჭრობა-მრეწველობის ერთადერთი სწორი ორგანიზაციული ფორმა გვაქვს აჭარპრომტორგის სახით, მაინც იყო ზოგი დეფექტები მუშაობის პროცესში და ორგანიზაციის შექმნაში.

ჯერ ერთი ისა, რომ აჭარპრომტორგს არ ქონდა განსაზღვრული გეგმა, რაიონი. თუ ასეთ დიდ სამეურნეო ორგანოს არ ექნება საკუთარი გეგმა თუ როგორ, სად და როდის რა გააკეთოს, რასაკვირველია, დეფექტებს აღვილი ექნება.

თვით ორგანიზაციის დარგშიც იყო დეფექტები, რომელიც თავის დროზე იქნა შენიშნული.



საქმე იმაშია, რომ სავაჭრო და სამრეწველო დარგები იყო ერთი მეორისაგან გამიჯნული. ეს ხელს უშლიდა ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარებას. ამიტომ აპარპრომტორგის მმართველობა დავტოვეი, როგორც საერთო ხაზის და ღირებულებების მიმცემი და ცალკე განყოფილებებს მივეცით ავტონომიურ მუშაობის უფლება.

ამ რიგით დაეაარსეთ **აპარტყე**. წინეთ აპარპრომტორგს ქონდა სატყეო განყ., რომელიც აწარმოებდა ტყის ექსპლოატაციას. ამ განყოფილებას წმინდა მოგება ქონდა 40.000 მან., მაგრამ როცა საჭირო გახდა ბობოყვათის ტყის დასამუშავებლათ 30.000 მან. სატყეო განყ. ფულები არ აღმოაჩნდა. სად წავიდა მოგება? მოხმარდა სხვა საქმეებს: ვაჭრობას, ჯამაგირებს და სხვ.

ასეთ პირობებში შეუძლებელია ვაჭრობის ან მრეწველობის აღდგენა. ამიტომ ცალკე დარგებს ცალკე ბალანსი უნდა ქონდეს, რომ თავის შემოსავალი თავის საქმის განვითარებაზე მოიხმაროს და სხვა განყოფილებებთან იქონიოს წმინდა კომერციული დამოკიდებულება. ასეთი ორგანიზაციებია ახლად დაარსებული—აპარტორგი, აპარლითონი, აპარქიმი, აპარტყე, აპარტამბაქო და სხვ.


უნდა აღინიშნოს ერთი გარემოება, რომ აპარპრომტორგს საბრუნავი თანხები არ ქონდა დაარსებისას. მას გადაეცა მხოლოდ მკვდარი ქონება, ქარხნები, რომლებსაც შეეკეთება უნდოდა, დაჯანგული რკინები და სხვ., როცა დაარსდა, ნაღდათ 5,000 მან. ქონდა. საორგანიზაციო ხარჯებისათვის სახკომსაბჭომ მისცა 20.000 მან. მთელი ფინანსიური დახმარება ამაში გამოიხატა.

როცა მოვითხოვთ ვაჭრობა-მრეწველობის აღდგენას, გაფართოებას, უნდა გვახსოვდეს თუ რა ფინანსიური დახმარება მივეცით ჩვენ ამ დარგს. სახკომსაბჭოს არ აქვს საამისო საშუალებები.

ჩვენ ვიცით, რომ ჩატახის ქარხნის ასამუშავებლათ საპარტველოს მთავრობამ გადასდო 800.000 მან., ქუთაისის საფეიქრო ქარხნისათვის 300-400 ათასი მან. და სხვა.

საბჭოთა კავშირის დანარჩენ ადგილებში, ქარხნები სისტემატიურ ფინდახმარებას იღებენ სახელმწიფოსაგან.

ჩვენ არც ერთი კაპეიკის გაღება არ შეგვეძლო ვაჭრობა-მრეწველობის აღსადგენათ და არც ცენტრალურ მთავრობას დასაკვირველია, ხელს უშლის საქმეს.





ეხლა არის იმედები, რომ მომავალ საბიუჯეტო წელში მაინც მივიღებთ ფინანსიურ დახმარებას არა მარტო საკავშირო მნიშვნელობის მრეწველობის აღსადგენათ, არამედ ადგილობრივ მნიშვნელობის ქარხნების ასამუშავებლათაც. თუ ეს დახმარება არ იქნა, ჩვენ შევსძლებთ არსებულს შენახვას, მაგრამ გაფართოებაზე ისე ვერ ვიოცნებებთ.

ბათომის მრეწველობაში პირველი ადგილი ეკია ბიდონის მრეწველობის საქმეს. საუკეთესო ქარხნები გვაქვს, მაგრამ ვერ ავამუშავებთ. არც ფული იყო და ამასთანავე ამ საქმეში დაინტერესებული იყო ნავთსინდიკატი და ზაკვოსტორგი.

ეს ორი დაწესებულება ხელშეკრულებით იყო შეკრული სამსუნის და სტამბოლის ფირმებთან, რომლებიც აქედან გაქცეული ნავთმრეწველებია. ნავთსინდიკატი გეში ჩასხმულ ნავთს აგზავნის, იქ ასხამენ ბიდონებში. ეს პოლიტიკა თუ მოსათმენი იყო პირველ ხანებში, ეხლა, რაკი საკუთარ საბჭოთა მრეწველობის აღდგენაზე ვზრუნავთ, ყოვლად დაუშვებელია, ბოროტმოქმედებაა. რამდენი ზარალი აქვს სახელმწიფოს, როცა ნავთი აქ გეში იხმება, შემდეგ სამსუნში (ან არის საფოსტო) ნავებში, ნავიდან ქარხნებში, იქიდან ბიდონებში და სხვ. ეს დიდ ზედნადებ ხარჯებს იწვევს.

ბიდონის მრეწველობის ბათომში აღდგენა ხელსაყრელია არა მარტო ჩვენთვის, არამედ თვით ნავთსინდიკატისათვის.

ერთი წლის ბრძოლა დაგვჭირდა ამ საკითხის გარშემო. ეხლა საქმე მოგვარებულია. ბათომი საბოლოოდ ცნობილია, როგორც ბიდონის მრეწველობის ცენტრი. ხელმოწერალია მთელი რიგი ხელშეკრულებათა. აქარპრომტორგი უცდის მასალებს, რომელიც უცხოეთიდან აქვს გამოწერილი. როცა მასალებს მივიღებთ, ქარხნებიც ამუშავდება.

ბათომი ეკონომიურათ ჩამორჩა უკანასკნელ წელში. საჭირო იყო მისი გაძლიერება. ჩვენ განსაკუთრებული ყურადღება მივაქციეთ, რომ ბათომი ნავთის დამუშავების ცენტრად გამხდარიყო, მეორე ბაქათ. ამ მხრით მიღებულია ზომები. ბათომი მოწონებულია ნავთდასამუშავებელ ქარხნების ასაგებათ. გამოყვანილი იქნება მეორე ნავთსადენი. ორი მილით გადმოქაჩული ნავთი დამუშავდება აქ, ქარხნებში, საიდანაც გამოვა კეროსინი, ბენზინი, მაზუთი და სხვა და სხვა ზეთები. აქედან ეს მასალები გაიგზავნება საზღვარგარეთ. ეს საკითხი დიდი დისკუსიის შემდეგ გადაჭრილია, ქარხნები შეძენილია ამერიკაში და მალე დადგამენ. საკამათოა მხოლოდ ქარხნების ავე-



ბის ადგილი. ნავთინდიკატი ითხოვს ორთაბათომის, ბარცხის რაიონს. ჩვენ კი ვაძლევთ კახაბერს. ამას იმიტომ ვშვრებთ, რომ ორთაბათომისაკენ ბევრი კულტურული ნაკვეთებია, რომელსაც მოსპობს ქარხნის ბოლი, კახაბერი კი ამ მხრით თავისუფალია. ამას გარდა არის სხვა მიზეზები, რომლებიც აშკარა გახდება ყველასათვის, ვინც ამ საკითხს შეისწავლის.

1921-22 წლებში მთელი ვაქრობა კერძო კაპიტალის ხელში იყო. სახელმწიფოს და კოოპერაციის მონაწილეობა 5 პროც. არ ასცილდებოდა. 1923 და 24 წლებში სახელმწიფო დაებატრონა ვაქრობას.

მე-4-ე ყრილობამდე ვაქრობის საქმე სუსტათ იყო დაყენებული. კოოპერაცია ერთობ მოიკოჭლებდა და კომმუნურეობას არ შეეძლო ფართე მასშტაბით ეწარმოებია სავაქრო ოპერაციები. ცენტრალურ ტრესტების ადგილობრივი განყოფილებების (საფეიქრო, ჭაქაის და სხვა ტრესტების) ოპერაციები არ იყო განვითარებული.

1924 წელში კი სახეაქრობამ ქალაქის მთელი ვაქრობის 90 პროც. ხელთ ჩაიგდო.

მაზრებშიც ასეთი მდგომარეობა იყო. აქარპრომტორგმა, გლეხკომებმა და კოოპერაციამ სოფლის ბაზარი დაიპყრეს 90 პროც-ით.

მე-4-ე ყრილობამდე აქარისტანში არ იყო ისეთი ორგანო, რომელსაც შეეძლო საერთოდ სავაქრო საქმის მოწესრიგება, თვალყურის დევნება. საქონელი კარგათ ვერ ნაწილდებოდა მომხმარებელ ორგანოებს შორის. სახდაწესებულებები საქონელს აძლევდენ კერძო პირს. ფასებს არავინ აწესებდა. ამ ნიადაგზე დიდი გაუგებრობა ხდებოდა. ტრესტის საქონელს ხელთ იგდებდენ კერძო ვაქრები და ისე ყიდდენ, როგორც უნდოდათ. ეს იმით აიხსნება, რომ არ გვექონდა ისეთი ორგანო, რომელიც შინა ვაქრობის რეგულატორი იქნებოდა.

იყო მაგალითები, როცა კოოპერაცია თვით ეწეოდა სპეკულიაციას და კანონიერ მოგების მაგიერ ას პროცენტობით იგებდა. სხვადასხვა კოოპერატივი სხვადასხვა გვარად ყიდდა საქონელს, ერთფასობა არ იყო დაწესებული.

ამ საქმის მოსაგვარებლათ სახკომსაბჭომ ჯერ დაარსა შინა-ვაქრობის კომისია, რომელიც შემდეგ შინა-ვაქრობის სახკომატის რწმუნებულის სამმართველოთ გადაკეთდა. ეს ორგანიზა-



კრია ანაწილებს საქონელს, რომელიც საკმაოდ ბაზარზე, ხელმძღვანელობს ბაზარს და აწესებს ფასებს.

ამრიგათ ჩვენ საშვალეება მოგვეცა საეაქრო საქმეები ნორ-
მალურ კალაპოტში ჩაგვეყენებია:

ყოყნადება მიექცია სოფლის პროდუქციის ფასებსაც. წინეთ გლახი 2 ფუთ ვაშლს ყიდდა ქალაქში და ერთ არშინ ჩითსაც ვერ იძენდა, ეხლა ფასები შეფარდებულია ქალაქის და სოფლის პროდუქციაზე. მეურნეობის აღსადგენათ არ არის საკმარისად მიღებული ზომები, მიუხედავთ არსებულ აგრონომიულ პუნქტებისა. მართალია ეს პუნქტები სოფელს დიდ დახმარებას უწევს, ქედის პუნქტმა დაარიგა — 3.000 ნერგი, ქობულეთისამ — 15.000. ყოველ მაზრის მეურნეობას თავისებური ხასიათი აქვს და სამეურნეო რაიონს თავისი სპეციალური ინსტრუქტორი და აგრონომი ყავს დანიშნული, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. არის სუსტი მხარეები. ამის გარდა არ შეიძლება ერთ წელში მაქსიმალურ დახმარების გაწევა, საჭიროა შედეგების მიღწევა.

ხულოს მაზრაში მესაქონლეობა უნდა განვითარდეს. ამისათვის საჭიროა საქონლის ჯიშის შემუშავება. არ შეიძლება ფერმიდან გლეხებზე არსებულ ძროხების გადაცემა, რადგან ეს ძროხები არ შეეფერება ჩვენი გლეხის საშუალებებს; არც საბალახო გვაქვს ამდენი და მთელი ოჯახი ასეთ ძროხების მოვლას მოუწდება. მაგ. ხულოში გასაგრილებელ პუნქტზე გაგზავნილია ბულა შვილი, რომელიც 60 ფუთს იწონის. ეს, რასაკვირველია, დეფექტია. მიუხედავთ ამისა, ერთი მაინც ფაქტია, რომ აგრონომიული პუნქტები მომავალში დიდ დახმარებას გაუწევენ სოფელს.

მეურნეობის აღსადგენათ დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე მეურნეთა კავშირების დაარსებას. ეს საკითხი ჯერ ორგანიზაციულ პერიოდშია. ჩვენ დღის წესრიგში სპეციალურათ დავსვით სასოფლო-მეურნეობის საკითხი, რომლის მომხსენებელი დაწვრილებით გაარჩევს ამ საკითხს და მაშინ უნდა მივიღოთ კიდევ სათანადო დადგენილება მომავალ მუშაობისათვის ღირებულების მიცემით.

აქ უნდა შევეხოთ სასოფლო-სამეურნეო კრედიტის საკითხსაც. ჩვენი სასოფლო-სამეურნეო ბანკი ვერ დაუახლოვდა აჭარისტანის სოფლებს. ჯერ-ჯერობით მხოლოდ 5.000 მანეთია გაცემული კრედიტი. ეს მცირე თანხაა. თუ ვაძლევთ გლეხს ნერგებს, თესვებს, გვინდა გლეხმა მეურნეობა გადაი-



ყვანოს ძვირფას კულტურაზე, უნდა მივსცეთ მას გრძელ ვადით
ლიანი სესხი. ეს საკითხი ხაზგასმით უნდა იქნეს აღნიშნული
მე-V-ე ყრილობის დადგენილებებში.

ქალაქის მეურნეობის მდგომარეობა დაკავშირებულია ქა-
ლაქის ეკონომიურ მდგომარეობასთან. მიუხედავად კრიტიკულ
ფინანსიურ მდგომარეობისა, კომმეურნეობამ მაინც შესძლო
სერიოზულ ნაბიჯების გადადგმა. ამ ხნის განმავლობაში ქალა-
ქის კეთილმოწყობაზე დაუხარჯავთ:

1922 წელში	.	.	133.555 მან.
1923 „	.	.	147.190 მან.
1924 „	.	.	239.687 მან.

მაშასადამე 1924 წელში თითქმის ორჯერ მეტია გაკეთე-
ბული.

კომმეურნეობის გაძლიერებას ხელს უშლის საერთო ხა-
სიათის მოვლენები. უპირველეს ყოვლისა ბათუმში საქონლის
ბრუნვის დაცემა. სტატისტიკურ ცნობების მიხედვით ბათუმის
ნავთსადგურის ბრუნვა უდრიდა:

1885 წელში	.	.	15.506.728 ფ.
1890 „	.	.	59.041.373 ფ.
1895 „	.	.	79.445.964 ფ.
1900 „	.	.	90.993.393 ფ.
1901 „	.	.	101.459.351 ფ.
1902 „	.	.	107.397.146 ფ.

1902 წელში მარტონავთი გაიზიდა უცხოეთში 83.190.437
ფუთი. 1914 წელში ქალაქს შემოუვიდა 200.000 მანეთი
ოქროთი მარტო ნავთზე არსებულ საფუთო გადასახადისაგან.

ეხლა კი ნავთი არაფერ შემოსავალს არ აძლევს ქალაქს.
ამის გარშემო დიდი დავაა ნავთსინდიკატთან. ამიერ-კავკასიის
უმაღლეს ეკონომიურ საბჭოში ჩვენ სასარგებლოთ გადაწყდა
ეს საკითხი, მაგრამ გზათა სახკომატმა შრომისა და თავდაცვის
საბჭოში დასვა ეს კითხვა და უკანასკნელმა გაანთავისუფლა
საფუთო გადასახადისაგან ნავთი, რომელიც საზღვარგარეთ
იგზავნება.

შეიძლება ეს ზომა საჭიროა საგარეო ვაჭრობის პრინცი-
პებისათვის, მაგრამ ბათუმს ნავთექსპორტი დიდ ზარალს აყე-
ნებს. ყოველ შემთხვევაში ჯერ ეს სადაო საკითხია. ჩვენი ქა-
ლაქი ისე მდიდარი არ არის, რომ ასეთ შემოსავალზე უარი



სიქვას და არსაიდან დახმარება არ მიიღოს. აქვე უნდა აღინიშნოს საერთო ხასიათის ღონისძიებათა საჭიროება.

რომ ქალაქის მეურნეობა სათანადო სიმაღლეზე დადგეს, საჭიროა ბათომის ნავთსადგურით საქონლის ბრუნვა გადიდდეს, მრეწველობა აღსდგეს, საფუთო გადასახადის საკითხი ჩვენს სასარგებლოთ გადაწყდეს. წინეთ ბაქო-ბათომი სატრანზიტო გზა იყო სპარსეთისა და ცენტრალ აზიისათვის. ეხლა ეს გზა ბათომს გვერდს უვლის. უნდა აღვადგინოთ ბათომის სატრანსპორტო მნიშვნელობა, რასაკვირველია, არა საბაჟოს ტარიფის შემცირებით, ან ნავთსადგურის გახსნით, როგორც ეს 1922 წელში იყო, არამედ სხვა ეკონომიურ გზით.

ეკონომიურ ფრონტზე ბევრი რამ გავაკეთეთ ჩვენ, მაგრამ ერთი რამ გვიშლის ხელს — კონტრაბანდა.

1921 და 22 წლებში ბათომში, შეიძლება ასე ითქვას კანონიერი, ლეგალური, ნებადართული კონტრაბანდა იყო. ბათომში, რომელსაც შეუძლია მხოლოდ 30.000 მცხოვრების დატევა, თავი მოიყარა 125.000 კაცმა, რადგან აქ საქონლის შემოტანის თავისუფლება იყო. ბათომი კარები იყო, საიდანაც საბჭოთა კავშირში შემოდიოდა საქონელი ლეგალურადა. ეს იყო ჩვენი მრეწველობის დაცემის ხანა, რადგან არ შეგვეძლო მოგვეწყო კოოპერაცია, ჩვენი ქარხნები აღგვედგინა. ზოგი ფიქრობს, რომ იაფი საქონელი საჭიროა. რასაკვირველია, იაფი საქონელი ყველასათვის კარგია, მაგრამ რომელი საქონელი.

უცხოეთის საქონლის შემოშვება, რაც უნდა იაფი იყოს იგი, ნიშნავს საბჭოთა რესპუბლიკების ეკონომიურათ კაპიტალისტებისათვის დამონებას, ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვართა დასამარებას.

იაფი საქონელი უნდა გვექონდეს, მაგრამ უნდა გვექონდეს საკუთარი. 1922 წელში საამისო საშუალება არ გვექონდა. ეხლა კი თანდათან ვაიაფებთ ჩვენ ნაწარმოებს, გავაუმჯობესებთ ხარისხს. ორი წლის მაგალითი გვიმტკიცებს, რომ ამ მხრით ჩვენ წინ წავედით.

1923—24 წლებში, როცა უცხოეთიდან საქონლის შემოტანა შეზღუდულია, დაიწყო უკვე არალეგალური კონტრაბანდა. თუ ორი წლის წინეთ კანონიერათ ირღვეოდა საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობის ფრონტი, ეხლა კანონის წინააღმდეგ ხდება იგივე. ფაქტია, რომ ასი ათას მანეთის კანონ-



ნიერთა შემოტანილ საქონელზე აჭარისტანში მოდის 200,000 მან. კონტრაბანდა. ეს ეკონომიური ინტერვენციაა. აქ დგას ვაჭრობა-მრეწველობის საკითხი დღის წესრიგში და მაშინ იქნება, ალბათ, მიღებული დადგენილება და გამოძებნილი კონტრაბანდასთან ბრძოლის საშუალებები.

ეს არ არის მარტო ეკონომიური საკითხი. ამას შინაურ მშვიდობიანობისათვის აქვს მნიშვნელობა.

მე-4-ე ყრილობაზე, შარშან, განათლების შესახებ დიდი კამათი იყო. დელოგატები აღნიშნავდნენ, რომ მუშები სადღაც გადმოხურულ ხიდის ქვეშ მეცადინეობენ. მოგვეცით სკოლები — ითხოვდნენ გლეხები.

რა იყო მე-4-ე ყრილობამდე?

სკოლები ცოტა იყო, ბავშვები ნაკლებათ დადიოდნენ. ვაჟები დადიოდნენ, ქალები არა. არ იყო სპეცტენიკუმები. მე-4-ე ყრილობამდე განათლების საქმეზე ნაფარაუდვეი იყო 105 ათასი მანეთი, საანგარიშო წელში კი 208 ათასი მანეთი. ეს უკვე განათლების დარგში მიღებულ ზომების მაჩვენებელია.

ეხლა აჭარისტანის მაზრებში არის 100 შრომის სკოლა. მოწყობილია პედაგოგიური ინსტიტუტი და აგრონომიული და ინდუსტრიალური ტექნიკუმი.

შედარებით წასულ წელთან ამ წელში 40 პროცენტით გადიდა კულტურულ ფრონტზე მუშაობა. კულტურულ-განმანათლებელი საკითხები დღის წესრიგშია და მაშინ ამის შესახებ დაწვრილებით მოვილაპარაკებთ.

ეხლა იუსტიციის აპარატის შესახებ. ამ აპარატით არ ვართ კმაყოფილი. ვერ შევძელით მისი სათანადო დონეზე დაყენება. წასულ წელთან შედარებით უკეთესია, მაგრამ საკმაო არ არის.

საქმე სასამართლოში მალე უნდა გათავდეს და მოქალაქემ გარკვეული პასუხი მიიღოს. არის საქმეები, რომლებიც ერთ-ორ წელში დასრულებულა. არ არის კანონების პოპულიარიზაცია სოფლად ბიუროკრატიზმი უნდა მოვსპოთ, ვოლოკიტა და სხვა ნაკლები, რაც სცემს არა მარტო იუსტიციის, არამედ ხელისუფლების პრესტიჟსაც საერთოთ.

ჩვენ ორი ავთამყოფი აპარატი გვყავს: იუსტიციის და კომმეჟრნეობის. მაგ. კომმეჟრნეობის ელექტრონის და სხვა განყოფილებებში გადაჭრილ პასუხს ვერ მიიღებთ. სინათლის



მისაღებათ თვე უნდა იაროთ. ამ ორ უწყების აპარატს ვერ მოეწყო, როგორც საჭიროა. აუცილებლათ უნდა მიექცეს ამას ყურადღება.

ზოგი ფიქრობს, რომ საბჭოთა დაბალი აპარატი, მაზრის და თემის აღმასკომები სუსტია. ეს არ არის მართალი. თუ რაიმე კეთდება მაზრებში — გზები, ხიდები, შეკოლები და სხვა მრავალი, ტარდება სინამდვილეში დაბალ აპარატის საშუალებით. იგი ცაკის და სახკომსაბჭოს ღონისძიებათა გამტარებელი ორგანოა.

რომ ეს აპარატი სუსტი იყოს, რომ მას დეფექტები ქონოდა, მაშინ გასულ წლის აგვისტოში აჭარისტანის მაზრებში განმეორდებოდა გურიის და საქართველოს სხვა კუთხეების ისტორია. აჭარისტანის გლეხობა თუ იარაღით გამოვიდა და თავის მთავრობას ამოუდგა გვერდში, ეს იმის მაჩვენებელია, რომ ხალხი ენდობა თავის მთავრობას და მის ადგილობრივ წარმომადგენლებს.

მაგრამ დაბალ აპარატსაც აქვს ერთი ნაკლი. საბჭოები სუსტათ მუშაობენ. ეს უმთავრესათ შეეხება ქალაქის საბჭოს. სოფლათ საბჭოები უკეთ მუშაობენ.

ბათუმის საბჭო სრულიად არ იყო დაახლოვებული მის მიერ არჩეულ პრეზიდიუმის და საერთოდ კომმეურნეობის მუშაობასთან. მთელ წლის განმავლობაში საბჭო საზეიმო სხდომებს უნდებოდა. სოფლათ უკეთ იყო საქმე. სამაზრო და სათემო საბჭოებს ქონდათ 3-4 საქმიანი სხდომა.

საერთოდ ამ მხრით ჩვენი მუშაობა მოიკოჭლებს. ყრილობამ უნდა მიიღოს დადგენილება საბჭოების მუშაობის გამოცოცხლების შესახებ.

საანგარიშო წლის მიმოხილვისას უნდა აღენიშნოთ, რომ პოლიტიკური მდგომარეობა აჭარისტანში საგრძნობლათ განმტკიცდა. იმ ღონისძიებებმა, რომელიც აღნიშნულია ამ მოხსენებაში, დაარწმუნა მშრომელი ხალხი საბჭოთა წესწყობილების უპირატესობაში, დაუახლოვა გლეხი და მუშა საბჭოთა წესწყობილებას და პოლიტიკური სოლიდარობა ეკონომიურ საფუძველზე განამტკიცა. ამის შედეგათ უნდა ჩავთვალოთ, რომ მუშა და გლეხი ხელისხელ ჩაკიდებული იცავდა საბჭოთა ხელისუფლებას.

უკეთესია კიდევ დამოკიდებულია ჩვენს მეზობლებთან. საბჭოთა საქართველოსთან კავშირი კიდევ უფრო განმტკიცდა. არავითარ გაუგებრობას და კონფლიქტს ადგილი არ ჰქონია.



საქართველოსთან თანამშრომლობას აწარმოებდა არა მარტო მთავრობები, არამედ თვით ხალხი.

აჭარისტანის ფუხარა ხალხი არას დროს არ დასთანხმდებოდა არა საბჭოთა საქართველოსთან თანამშრომლობას. არა საბჭოთა საქართველო საბჭოთა აჭარისტანის დაღუპვას. ამიტომ საბჭოთა საქართველოს ნაწილი, ავტონომიური საბჭოთა აჭარისტანი, არა უბრალო ნათესავეთ კავშირით არის დაკავშირებული საქართველოსთან, არამედ მთელი თავისი საციკოცხლო ძალებით, საერთო ეკონომიკით და პოლიტიკურ მოსაზრებით.

მე არ მოვიყვანე სტატისტიკური ცნობები ჩვენი ორგანოების მუშაობის შესახებ, რადგან ამას ცალკე მომხსენებლები იზამენ. მე მგონია თქვენთვის ესლა ცხადია, რომ მთავრობის პრაქტიკული მუშაობა შეეფერება მე-IV-ე ყრილობის დირექტივებს, რომ გაკეთებული ბევრია და აჭარისტანი უკვე სდგას კულტურულ-ეკონომიურ აღორძინების გზაზე.

ის რაც ამ მოკლე ხანში გაკეთდა აჭარისტანში, იმ ქვეყანაში, რომელიც საუკუნოებით იყო ჩაკლული სიბნელეში, ისე რომ ასე მოკლე ხანში შესაძლებელი გახდა აჭარისტანის აღორძინება, — ყველაფერი ეს ნიშნავს, რომ საბჭოთა ხელისუფლება არის ერთადერთი ხელისუფლება, რომელსაც შეუძლია ჩამორჩენილ, დამონებულ ქვეყნის აღდგენა და ფუხარა ხალხის კულტურულ-ეკონომიურ აღორძინების გზაზე დაყვება.

დასასრულ მე ვიტყვი, რომ მიუხედავად დიდ დადებითი მხარეებისა, ჩვენ გვაქვს შეცდომები. მომავალში უნდა ვეცადოთ, რაც შეიძლება ცოტა შეცდომები დაუშვათ და დაწყებული საქმე სასურველად დავამთავროთ (მხურვალე ტაში).

თავმჯდომარე. ამხანაგებო, შემოვიდა შეკითხვები ამხ. ხიმშიაშვილის მოხსენების შესახებ, რომელსაც გაეცნობა მომხსენებელი და გასცემს პასუხს.

ამხანაგებო, შემოვიდა წინადადება გაეგზავნოს მისასალმებელი დეპეშა აფხაზეთის საბჭოთა ყრილობას.

(დეპეშის გაგზავნა მიენდო ზრეზაძემ).

თავმჯდომარე. ამხანაგებო, მივიღეთ დეპეშა თბილისში მყოფ აჭარელ სტუდენტებისაგან, რომლებიც ესალმებიან ყრილობას და უსურვებენ მას ნაყოფიერ მუშაობას (ტაში).

ამხანაგებო, მივიღეთ წერილი ამხ. ო. მოწყობილისაგან,



რომელიც ესაღმება ყრილობას და უსურვებს მას მუშაობას წინადადებას ვიდრე გავუზავნოთ ამხ. მოწყობილს მისასაღმებელი დებემა და ვუსურვიოთ ჯანმრთელობა (მიღედულ იქნა ერთხმით).

ამხანაგებო, შემოვიდა წინადადება გაიგზავნოს დელეგატები თბილისში, ტრალიკულათ დაკარგულ ამხანაგების მისანიკოვის, ათარბეგოვის და მოგილევსკის დასაფლავებაზე დასასწრებლათ (დელეგატების გაგზავნა შეიქნა ზეპირად).

თავმჯდომარე. ამხანაგებო, მოხსენებელი ამხ. ხიმშიაშვილი პამუხს გასცემს შეკითხვებზე.

ამხ. ხიმშიაშვილი. ამხანაგებო, აქ არის შეკითხვები, რომელზედაც შევეცდები გავსცე პასუხი.

შეკითხვა: არის თუ არა საკპარისი რიცხვი ექიმ ქალებისა?

პასუხი: სამწუხაროდ ყველგან არ არის. ჩვენ ვცდილობთ ქალი ექიმების გაზრდას იქ, სადაც ექიმი კაცი უკვე არის, რომ ამით საშვალემა მივსცეთ ქალებს თავისუფლათ იწამლონ.

შეკითხვა: არიან თუ არა ადგილობრივ ენის მცოდნე ქალები სასამართლოებში?

პასუხი: ძალიან საჭიროა, რომ იყვეს ადგილობრივ ენის მცოდნე დამცელი ქალები, რადგან ხშირია ჩვენში ქალის მოტაცება და სხვ. სამწუხაროთ, როგორც ქალთა კომიტეტის წარმომადგენელი ამხ. ნუნუშ ბერიძე ამბობს, ასეთები არ მოიპოვება.

შეკითხვა: რატომ შემცირდა საშარიათო სასამართლო?

პასუხი: ეს სწორი შეკითხვა არ არის. საშარიათო სასამართლო არ შემცირებულა იგი გადავიყვანეთ სახელმწიფო ბიუჯეტიდან სამეურნეო ანგარიშზე.

შეკითხვა: რატომ არ არის ხულოში ადგილობრივ ენის მცოდნე აგრონომი?

პასუხი: ეს წარმომადგენს მიწათ-მოქმედების საბკომატის მოვალეობას, რომ გაგზავნოს ადგილობრივ ენის მცოდნე აგრონომი, თუ კი ასეთი ყავს.

შეკითხვა: შეუძლია თუ არა გლეხკომებს დაბეგვრა?

პასუხი: გავიგე რომ გლეხკომები ზოგან ბეგრავენ ხალხს შემოსავლის 10% და მეტი. ეს გავიგე ბოლო ხანებში და ადვილად კიდეც. როგორც ღიღი დეფექტი.

შეკითხვა: ვის ეძლევა უფასო წამლები?

პასუხი: უფასო წამლები ეძლევა მხოლოდ ლარიბებს.

შეკითხვა: ნავთის ქარხნები როდის აშენდება?

პასუხი: ნავთის გადამამუშავებელი ქარხნები დაიდგმება იენისში, ამ წელში; როგორც აზნაუთის თავმჯდომარის წერილიდან სჩანს, ქარხნები შეძენილია ამერიკაში და ზაფხულზე ჩამოიტანენ.

თავმჯდომარე. ამხანაგებო, შეკითხვები დასრულდა. ვის სურს ილაპარაკოს არსებითად. სიტყვა ეკუთვნის ამხ. თოდროს.

ამხ. ვ. თოდროა. ამხანაგებო, მე 30 წლის განმავლობაში ბევრ მთავრობას მოვსწრებივარ და ყველა მთავრობის მოქმედებას ვაკრიტიკებდი. დღეს ჩვენს წინაშე დგას აჭარისტანის მთავრობა და მოგვიწოდებენ მის გასაკრიტიკებლათ, მაგრამ როცა თვალს ვავლებ ამხ. ხიმშიაშვილის მოხსენებას, ვერაფერს დასაგმობს და საკრიტიკოს ვერ ვხედავ. ჩვენს მთავრობას ბევრი გაუკეთებია ამ წლებში საბჭოთა აღმშენებლობის ყოველ დარგში. ვუსურვებ მას მომავალში კიდევ უფრო მეტი გაეკეთებინოს.

გაუმარჯოს პატარა აჭარისტანს და მის მთავრობას!

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის ამხ. სერდერ ოქროპირიძეს.

ამხ. სერდერ ოქროპირიძე. ამხანაგებო, აქ მართალი სთქვს, რომ ჩვენი მთავრობა საკრიტიკო არ არის ამიტომ გაკრიტიკების მაგიერ ჩვენ ვიწონებთ მის მოქმედებას და ვუსურვებთ მას უფრო მეტ ენერგიულ მოქმედებას.

თავმჯდომარე. ამხანაგებო, მეტი სიტყვის მსურველი აღარ არის. იქნება ვისმეს აქვს რეზოლიუცია ან წინადადება მთავრობის მოხსენების გამო. სიტყვა ეკუთვნის ამხ. თ. ჟღენტს.

ამხ. თ. ჟღენტი. ამხანაგებო, აქ არის ორი რეზოლიუცია, რომელიც არსებითად ერთმანეთს გავს (კათოხელაძის ორივეს) ჩემი აზრით მივიღოთ პირველი რეზოლიუცია.

თავმჯდომარე. ვინც მომხრე ხართ წამოყენებულ რეზოლიუციის გთხოვთ ასწიოთ ხელი. მიღებულია ერთხმად შემდეგი რეზოლიუცია:

„აჭარისტანის საბჭოთა მე-V-ე ყრილობამ, მოისმინა რა ამხ. თ. ხიმშიაშვილის მოხსენება ცაკის და სახკომსაბჭოს მოქმედების შესახებ საანგარიშო წელში, აღნიშნავს, რომ მთავრობის მოქმედება სრულიად შეეფერება იმ დირექტივებს



და დავალებებს, რომელც მე-4-ე ყრილობამ მისცა და სახკომსაბჭოს და ყველა დავალებებს სთვლის შესრულებულათ. ამიტომ სრულიად აჭარისტანის საბჭოთა მე-V-ე ყრილობა აჭარისტანის ცაკის და სახკომსაბჭოს მუშაობას სთვლის სრულიად დამაკმაყოფილებლათ“.

თავმჯდომარე. ამხანაგებო, განმარტებისათვის სიტყვა ეკუთვნის ამხ. თ. ხიმშიაშვილს.

ამხ. თ. ხიმშიაშვილი. ამხანაგებო, თქვენ მიერ მიღებული რეზოლიუცია სცნობს დამაკმაყოფილებლათ მთავრობის ზოქმედების საერთო ხაზს. მე ასე მესმის ეს რეზოლიუცია, რადგან ცალკე დარგებში აუცილებლათ არის დაშვებული დეფექტები. დღის წესრიგში დგას ეს საკითხები და მაშინ ყრილობა ალბათ მიიღებს დადგენილებებს, რომლებშიაც მისცემს ახალ ცაკის მომავალ მუშაობის დირექტივებს და მიუთითებს დეფექტებზე და იმ საშუალებებზე, რომელითაც გამოსწორდება არსებული დეფექტები.

თავმჯდომარე. ამხანაგებო, რეგლამენტის მიხედვით დღის სხდომა დასრულებულია. შემდეგი სხდომა შესდგება საღამოს 5 საათზე, კრებას დახურულათ ვაცხადებ.

მესამე სხდომა.

24 მარტს, საღამოს, აკადემიურ თეატრში შესდგა სრულიად აჭარისტანის საბჭოთა მე-V-ე ყრილობის მესამე სხდომა ამხ. თ. ჟღენტის თავმჯდომარეობით.

თავმჯდომარე. ამხანაგებო, აჭარისტანის საბჭოთა მე-V-ე ყრილობის მესამე სხდომას გახსნილათ ვაცხადებ.

აჭარისტანში კულტურულ-განმანათლებელ მუშაობის შესახებ მოხსენებისათვის სიტყვა ეკუთვნის ამხ. სულეიმან ვარშანიძეს.

ამხ. ს. ვარშანიძე. ამხანაგებო, აჭარისტანის მე-IV-ე ყრილობა განსაკუთრებული ყურადღებით მოეპყრა სახალხო განათლების საქმეს, აღნიშნა ამ დარგში მომუშავე ორგანოს დეფექტები და მისცა დირექტივები თუ როგორ უნდა ემოქმედა მომავალში. საბჭოების მე-4-ე ყრილობის დადგენილების თანახმად, განსახკომატმა შეიმუშავა პრაქტიკული მუშაობის გეგმა, რაც დამტკიცებულია სახკომსაბჭოს მიერ 1924 წ. იანვარში. აღსანიშნავია, რომ კომისარიატმა მუშაობის გეგმა ცხო-



ერებაში გაატარა ფუხარა ხალხის დახმარებით. ფუხარამ უნდა გავიგო, რომ მისი საბოლოო გამარჯვებისათვის საჭიროა სწავლისა და კოდნის შეძენა, რომ დაამარცხოვოს მოსისხლე მტერი—ბურჟუაზია და დაამყაროს სოციალიზმი. სწორეთ ამით აიხსნება, რომ თვალსაჩინოთ გაიზარდა სოფლად შრომის სკოლების რიცხვი, სოფელი არ არის, რომ სკოლას არ თხოვლობდეს.

სკოლის რიცხვთან ერთად გაიზარდა მოწაფეთა რიცხვიც. საგრძნობლად გაიზარდა რიცხვი მოწაფე ქალებისა. ეს ფაქტი არა ჩვეულებრივ მოვლენათ უნდა ჩაითვალოს. ამრიგათ განათლების სახკომატის მუშაობისათვის შექმნილია ხელსაყრელი პირობები. თვით ფუხარა აძლევს მას სიცხოველეს, ენერგიას დაუღალავი მოღვაწეობისათვის. მეორე მხრივ აღსანიშნავია, რომ გაუმჯობესდა განსახკომატის მატერიალური მდგომარეობა. განათლების საქმეზე აჭარისტანის მთავრობა საშვალოდ ხარჯავს 50 პროც. გაუმჯობესდა აგრეთვე მესწავლეებელთა ეკონომიური მდგომარეობა. სახალხო მასწავლებელი ეხლა გასულ წლებთან შედარებით უკეთეს მდგომარეობაშია.

გასულ წელში განათლების საქმეზე დაიხარჯა:

მასწავ. ჯამაგირი 178.011 მან. 99 კაპ.

სხვა და სხვა ხარჯი 70.516 მან. 59 კაპ.

ს უ ლ 248.528 მან. 58 კაპ.

ამ რიცხვში არ შედის ის თანხები, რომელიც იქნა მიღებული სამაზრო აღმასკომების მიერ სკოლების საჭიროებისათვის.

სწავლა-აღზრდის საქმე ერთობ რთულია. აჭარისტანში ჩვენ ისეთი განათლება უნდა შემოვიტანოთ, რომელიც ადგილობრივ პირობებთან იქნება შეგუებული, ამისთვის ჩვენც ასეთი სკოლები დაავარსეთ. საანგარიშო ხნის განმავლობაში განსახკომისარიატმა სავსებით შესძლო გეგმის განხორციელება. სწავლა-აღზრდას ფუხარა ხალხის შვილები იწყებენ ბავშვთა სახლში. იქ სწავლობენ 7-8 წლამდე. შემდეგ ბავშვები გადადიან 1 საფეხურის სკოლაში, რომლის ხანგრძლივობა 4 წლით განისაზღვრდება, შემდეგ მე-11 საფეხურის შრომის სკოლაში, რომელსაც ათავებენ 17-18 წლიანები, ამრიგათ ბავშვები სკოლაში 9 წელს დაყოფენ, ამიტომაც ასეთ სკოლას ეძახიან ცხრაწლედს. შრომის სკოლის დამახასიათებელი თვისება: აქ ყველაფერი შრომის პრინციპზეა აგებული. მშრომელთა შვილებმა



ზრომა უნდა შეისწავლონ და შეიყვარონ, რომ შემდეგ ზრუნვის ქვეყანაში სასურველი მოქალაქენი გახდნენ.

რამდენათ შეასრულა ეს განსახკომატმა?

ბათოში ჩვენ დაარსებული გვაქვს აპარელ ბავშვთათვის ბავშვთა სახლი, სადაც მიიღებიან მცირე წლოვანი ბავშვები სრულ კმაყოფაზე. არსებობს კიდევ მეორე ბავშვთა სახლი ინტერნაციონალური შემადგენლობით. როგორც წინეთ ავღნიშნე, ბავშვები ბავშვთა სახლიდან გადადიან 1 საფეხურის სკოლაში. ამიერიდან სისტემატიურად განუწყვეტლივ მოხდება აპარელ ბავშვთა გადასვლა ბავშვთა სახლიდან სკოლებში. ყოველ წლიურათ საგრძნობი რიცხვი აპარელ ბავშვებისა პირველ საფეხურის სკოლის შემდეგ დანაწილდებიან ოთხ მიმართულებით: ან მეორე საფეხურის სკოლაში, ან პედაგოგიურ ინსტიტუტში, ან ინდუსტრიალურ ტექნიკუმში, ან აგრონომიულ ინსტიტუტში. 4-5 წლის განმავლობაში შესაძლებელი იქნება აპარისტანის უზრუნველყოფა სათანადო მომზადების მქონე აპარლების კადრით: საშუალო განათლებით აღჭურვილ ახალგაზრდებით — აგრონომებით, მასწავლებლებით და ტექნიკოსებით. როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ სასკოლო პროგრამებზე, საქირაა, რომ ეს გეგმები და პროგრამები გულისხმობდეს ადგილობრივ პირობებს და ეგუებოდეს მათ. თქვენ კარგათ იცით თუ ვისთვის იყო უწინ გახსნილი სკოლის კარები და იწერებოდა პროგრამები. ფუხარა ხალხის შეილება სკოლაში ადგილი არ ქონდა. საბჭოთა ხელისუფლება, კერძოთ კი განათლების კომისარიატი ცდილობდა ბოლო მოეღო ამ გარამოებისათვის და დიდ დადებით შედეგებს მიაღწია.

განათლების სახალხო კომისარიატი ყურადღებას აქცევდა მაზრებში სკოლების გამრავლებას. ის გრძნობდა, რომ სკოლები ვერ აკმაყოფილებდნენ ხალხის მოთხოვნილებებს. ხალხი ისწრაფვის სკოლისაკენ, ხალხს არ ყოფნის სკოლები, ეს დიდი მნიშვნელობის ფაქტია, ეს საწინდარია მომავალ მუშაობის აყვავების.

მე-4 ყრილობის წინ ჩვენ გვქონდა მაზრებში 40 სკოლა, შემდეგ ჩვენ გავხსენით 20, სასწავლო წლის დაბოლოს კი 40. სულ ერთი წლის განმავლობაში გავხსენით 60 ახალი სკოლა.

ამ უმად არსებობს მაზრებში სულ 100 სკოლა. პროცენტულათ რომ ავიღოთ, საერთო გაუმჯობესება განისაზღვრება რამოდენიმე ათეული პროცენტით. არის მაზრა, სადაც



გაუმჯობესების პროცენტი მეტია, მაგალითად: ერთი წლის წინ ხულოს მაზრაში იყო 5 სკოლა, ეხლა კი არსებობს 25 სკოლა. დაახლოვებით ასეთივე სურათს იძლევა სხვა მაზრებიც.

უნდა ვიფიქროთ, რომ მომავალში სწავლის საქმე გაუმჯობესდება. განკომის ზრუნვის საქმეს მომავალში შეადგენს არსებულ სკოლების მოვლა-პატრონობა. ჩვენ ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ სოფლის სკოლას მივსცეთ ნამდვილი შრომ. სკოლის სახე სასკოლო ინვენტარი, ბინა, სასწავლო ნივთები, -- აი აუცილებელი პირობები შრომის სკოლის განვითარებისათვის, ამიტომ მთელი ჩვენი ენერგია და ფინანსური შეძლებანი ამ საქმეს უნდა მოვახმაროთ. მე ღრმად მწამს, რომ ამ საქმეს სასურველად მოვაგვარებთ ფუხარა ხალხის დახმარებით.

სახალხო მასიურ სკოლად მიჩნეულია 1-ლ საფეხურის სკოლა. ამ სკოლაში უნდა გატარდეს ყველა სასკოლო ასაკის ბავშვები. ეს უნდა შევასრულოთ. ამ მიზნის განსახორციელებლად, საჭიროა განკომმა მჭიდრო კავშირი დაიკავოს მაზრის აღმასკომებთან. განკომი თავის მოქმედებაში ყოველთვის ეყრდნობა სამაზრო აღმასკომებს, მხოლოდ მომავალში კი ეს დამოკიდებულება უფრო განმტკიცებული უნდა იქნეს, რათა სასურველად გადაწყდეს ამა თუ იმ სკოლის საკითხი. სწავლის ნორმალურ კალაპოტში ჩაყენებისათვის საჭიროა სამოსწავლო წლის განსაზღვრა. საბჭოთა რუსეთში და სხვა რესპუბლიკებში სწავლა 8 თვეს გრძელდება, იწყება 15 ენკენისთვის და თავდება 15 ივნისს. ასეთი პრინციპები აქაც უნდა შემოვიღოთ. სხვა პირობებში დასახული პრაგრამების განხორციელება ძნელი ხდება.

თვალსაჩინო მოვლენათ უნდა ჩაითვალოს სოფლის მასწავლებელთა გადამზადება. ჩვენ ზევით ვლაპარაკობდით, რომ შრომის სკოლა შრომის პრინციპებზეა აგებული. ასეთ სკოლაში საჭიროა მოღვაწეობდეს თანამედროვე ცოდნით აღჭურვილი მასწავლებელი, ასეთები კი ჩვენ ძალიან ცოტა გვყავს. იძულებული ვართ ვისარგებლოთ ძველი მასწავლებლებით. ამ უკანასკნელთ კი სჭირდებათ გადამზადება საბჭოთა სკოლის სტრუქტურის მიხედვით. აპარისტანის პედაგოგიურ ინსტიტუტში გავხსენით მასწავლებელთა გადამსაზადებელი კურსები. კურსებზედ უმთავრესად მოწვეულ იქნენ სოფლის სკოლის გაშვებები და მასწავლებლები, რათა ესენი კურსის დამთავრების შემდეგ მომზადებულად ჩაბმულიყვნენ მუშაობაში. კურსებზე



ჩყო 40 კაცი, თავისუფალი მსმენელები კი 22. პროგრამა 2 ნაწილად იყოფოდა: პოლიტიკური და მატერიალური. სულ წაკითხულია 298 ლექცია. კურსების შენახვა დაჯდა 2.854 მან. ასეთს ზომებს ჩვენ არა ერთხელ მივმართავთ მომავალშიც.

მცირე წლოვანთა სოციალური დაცვის საქმე გამოიხატა უპატრონო ბავშვების პატრონობაში. უპატრონო ბავშვები ბევრია ბათომში; მათ დახმარებას უწევს განკომი. დაარსდა კოლექტორი, სადაც ამჟამად მოთავსებულია — 60 ბავშვი; უბინადრო ბავშვებიდან გაგზავნილია თავიანთ ქვეყანაში 116; სამუშაოზე გადაგზავნილი — 50. მცირე წლოვან დამნაშავეთა გამრჩევი კომისია შედგენილია განათლების და იუსტიციის კომისარიატის წარმომადგენლებისაგან და ირკვევს მცირე წლოვან ბავშვთა ჩადენილ საქმეებს. გარჩეულია 160 ასეთი საქმე. განსახკომი მცირე წლოვანთა გასასწორებლათ მიმართავს აღმზრდელობითი საშუალებას.

სკოლებისათვის საჭიროა სამოსწავლო ნივთები და სახელმძღვანელოები; აჭარისტანის სკოლებს სჭირდება ისეთი სახელმძღვანელოები, რომელიც ხალხის ცხოვრებასთან იქნება შეგუებული.

განკომმა მიაქცია ამას ყურადღება, გამოსცა და დაურიგა სკოლებს შემდეგი სახელმძღვანელოები:

1. ანბანი თურქული ენისა 1500 ცალი, 2. ანბანი ქართული 4000 ცალი, 3. თურქული ენის სახელმძღვანელო 1-ლ ნაწილი 3000 წიგნი, 4. თურქული ენის სახელმძღვანელო მე-2 ნაწ. 3000 წიგნი, 5. მე-2 საფეხურის სკოლის პროგრამა ქართულ ენაზე 200 ცალი, 6. მეორე საფეხურის სკოლის პროგრამა რუსულ ენაზე 200 ცალი, 7. ქართული ანბანი 5000 ცალი, 8. თურქული ანბანი 4000 ცალი, 9. 1-ლი საფ. სკოლის პროგრამები ქართულ ენაზე 200 ცალი, 10. 1-ლ საფ. სკოლის პროგრამები რუსულ ენაზე 100 ცალი, 11. ქართული სახელმძღვანელო, მეორე ნაწილი, 5000 ცალი.

სულ 26.200 ცალი.

სახელმწიფო გამომცემლობის საქმე მომავალში უფრო განვითარდება. ჩვენ უკვე გვაქვს დაშაბდებული აჭარისტანის გეოგრაფია და ისტორია, რომელიც გადაცემულია სამეცნიერო საბჭოზე. აგრეთვე ვიმუშავებთ ახალ სახელმძღვანელოებს,



ტუტი უზრუნველყოფილია ყოველ მხრით. ორი წლის განმავლობაში ინსტიტუტი მოგვცემს მომზადებულ მასწავლებლობას. მოსწავლეთა რიცხვი 140 უდრის. ისინი აყვანილი არიან სახელმწიფო ხარჯზე და ცხოვრობენ ინტერნატში. ინსტიტუტელებს შორის 14 აქარელი ქალია. ეს სასიამოვნო მოვლენაა, ეს ხომ მთელი რევოლუციაა აქარელ ქალთა ცხოვრებაში. ამ რიგათ პროფგანათლებას სამი მძლავრი სასწავლებელი ემსახურება: პედაგოგიური ინსტიტუტი, ინდუსტრიალური და აგრონომიული ტექნიკუმები.

დასასრულ თვალი გადავაგლოთ, ამხანაგებო, კულტურულ-განმანათლებელ მუშაობის ერთ უდიდეს დარგს — პოლიტიკურ განათლებას.

აღსანიშნავია, რომ თუ დიდი სიმპატია მოიპოვა ფუხარა ხალხში შრომის სკოლებმა, არა ნაკლები სიმპატიით სარგებლობს აქარელთა შორის წერა-კითხვის უცოდინართა სალიკვიდაციო სკოლები. ეს იქიდანაც სჩანს, რომ ასეთი სკოლები, შედარებით აქარისტანის გასაბჭოების პირველ წლებთან, საგრძნობლად გაიზარდა და დღეს თითქმის ყველა მნიშვნელოვან პუნქტებში არსებობს წერა-კითხვის უცოდინართა სალიკვიდაციო სკოლები. მაგრამ აქაც იმ მოვლენას ვხვდებით, როგორც საერთოთ პირველ დაწყებითი საბჭოთა შრომის სკოლების დაარსების საქმეში, ე. ი. მრავალ ადგილებში მცხოვრებლები თხოულობენ სკოლების გახსნა და პოლიტგანის სამმართველოც შესაძლო ფარგლებში აკმაყოფილებს მცხოვრებთა სურვილებს და მოთხოვნებებს.

გ. წ. მაზრებში არსებობდა 48 სკოლა, რომლებშიაც საერთო რიცხვი მსმენელებისა უდრიდა 1.393 კაცს, აქედან გაზაფხულის სემესტრში კურსი დაამთავრა 1.004 კაცმა, დანარჩენი რიცხვი კი სხვა და სხვა მიზეზების გამო სემესტრის განმავლობაში გამოაკლდა მეცადინეობას.

ამჟამად სულ მაზრებში არსებობს 7 მუშათა და გლეხთა კლუბები და 25 ქოხ-სამკითხველოები, რომლებთანაც არსებობენ სხვა და სხვა წრეები როგორცაა, მაგალითად დრამატიული, პოლიტიკური და სხვა.

აღნიშნულ კურსებსა და ქოხ-სამკითხველოებს სისტემატურათ ეგზავნებათ, როგორც ადგილობრივი, ისე ცენტრის გაზეთები, ასე რომ, ყოველდღიურათ მათ მისდით 153 ცალი გაზეთები და ჟურნალები. ლაპარაკი ზედმეტია იმაზე, რომ მაზრებს სისტემატურათ ვაწვდით ყოველგვარ რევოლუციონურ პლაკატებს და სურათებსაც.



ამ უკანასკნელად ფრიად მნიშვნელოვან მოვლენათ
ჩაითვალოს მაზრებში მოძრავი სურათების ჩვენება. ჯერ-ჯე-
რობით 25 რეისი იქნა გაკეთებული. მაგრამ რაკი პოლიტიკან-
მა შეიძინა საკუთარი კინო-მანქანა და აგრეთვე გადასაზიდი
საშვალება, მაზრებში სურათების ჩვენების საქმე მიიღებს სი-
სტემატიურ ხასიათს.

პოლიტ-განთან არსებობს აგრეთვე სახალხო სამხატვრო სკუღღია, რომლის მიერ შარშან გამოფენაც მოეწყო.

აღსანიშნავია აგრეთვე სახელმწიფო ფოტოგრაფია, რომ-
ლითაც ჩვენ მუდამ ვსარგებლობთ სურათების გადასაღებათ
სხვადასხვა ზეიმების და კამპანიების ჩატარების დროს.

ამ ჟამით პოლიტ-განის წერა-კითხვის უცოდინართა სა-
ლიკვიდაციო სკოლები შემდეგ სურათს იძლევიან.

სულ არსებობს 117 სკოლა, მათ შორის მაზრებში 102, ქალაქში 15-ი, რომელიც განაწილდება შემდეგნაირად:

ქოროზის მავრაში—18, აქარის-წყლის მავრაში—10, ქობულეთის მავრაში—27, ხულოს მავრაში 23 და ქედის მავრაში 24 სკოლა.

მისწავლებელთა საერთო რიცხვი უდრის 116, მათ შორის ქალაქშია 13, მაზრებშია 103.

მსმენელთა საერთო რიცხვა—2781 კაცი, მათ შორის ქალაქშია 487 და მაზრებში—2294.

ამ რიგათ განათლების კომისარიატმა შესძლო იმ მიზნების შესრულება და განხორციელება, რომლებიც წინასწარ შემუშავებულ და სახკომსაბჭოს მიერ დატკიცებულ გეგმით ქონდა მას დასახული (ტაში).

თავმჯდომარე. ამხანაგებო, სიტყვა ეკუთვნის თანამომხსენებელს ამხ. სულუხიას.

ამხ. გ. სულოზია. აჭარისტანის პოლიტ-განათლების მთავარ სამმართველოს პირველთა უზდება მოხსენების გაკეთება აჭარისტანის უზენაეს ორგანოს, საბჭოთა ყრილობის წინაშე.

რომ უფრო სწორი წარმოდგენა იქონიონ დელეგატებმა პოლიტ-განმანათლებელ მუშაობის შესახებ აჭარისტანში, ამისათვის მე თქვენ გავაცნობთ მუშაობის მიმდინარეობას ამ დარგში დღიდან გასაბჭოებისა.

თუ რომელიმე ორგანოს უზღებოდა გადაკეთება და ჩამოყალიბება იმ მუშაობისა, რაც მას დაუტია თვითმპყრობელობამ და მენშევიკურმა მთავრობამ, მისი საბჭოთა ჩარჩოში ჩაყენება, ამას მოკლებული იყო პოლიტ-განის მთავ. მმართველობის



ველობა. ასეთი ორგანო არც პირველების არც მეორეების ბატონობის დროს არ ყოფილა. ყოველივე გამოცდილებებს პოლიტიკანი ჰკრებდა რუსეთის მაგალითებიდან და მას უთანაბრდება ადგილობრივ პირობებს.


აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 1921 წლამდის აჭარისტანის მაზრებში და სოფლებში არ მოიპოვებოდა არც ერთი კლუბი, ქოხ-სამკითხველო და წერა-კითხვის სალიკვიდაციო პუნქტების არსებობაზე ლაპარაკიც ზედმეტია. პირველ დაწყებით მუშაობას ამ დარგში აქვს შემთხვევითი, უმეტესათ, აგიტაციის ხასიათი: მიტინგები, რევოლიუციონური დღესასწაულების კამპანიების ჩატარება და სხვ. მაგრამ გაღრმავებული პროპაგანდული მუშაობა იწყება 1922 წ., მეორე ნახევრის დასაწყისიდან იწყება კლუბების, ქოხ-სამკითხველოების და წერა-კით. უცოდ. ლიკვიდაციის პირველი კამპანია, 1-ლი ნაბიჯის გადადგმა, რაც დროთა განმავლობაში ადგილობრივი ინიციატივით ღრმავდება და თანდათან ფართოვდება კულტურულ-წესებულებების ქსელი.

ჩვენ მხარე კულტურულადაა მეტი ჩამორჩენილია. წ. კ. უცოდინართა რიცხვი, სტატ-ბიუროს გამორკვევით, არის შემდეგი: 16 წლიდან 40 წლამდის საერთო რიცხვი მაზრებში და ქალაქში არის 28.033 ქალი და კაცი, მათ შორის ქალაქზე მოდის 9.000 და მაზრებზე 19.033. ამ ციფრების გადართობა და მისი ლიკვიდაცია ლენინის მიერ გადმოსროლილ ლოზუნგის მიხედვით, რომ „ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლის თავზე არც ერთი წერა-კითხვის უცოდინარი არ უნდა დარჩეს საბჭოთა რესპუბლიკებში“, არის აუცილებელი, თუმცა ჩვენ პირობებში ძნელი შესაძლებელია.

თანახმად აჭარისტანის სახკომსაბჭოს დადგენილებისა, ჩვენ მიერ იქნა შემუშავებული გეგმა, რომელითაც განსაზღვრულია წერა-კითხვის უცოდინართა ლიკვიდაციის დრო — 1927 წლის 7 ნოემბერი. ჩვენ მიერ არის ჩატარებული ამ დარგში სამი კამპანია. მესამე კამპანია დამთავრდება ა. წ. 30 აპრილისათვის. სამი კამპანია, რომელიც ჩატარდა, იძლეოდა შემდეგ სურათს: 1922/23 წ. 1 კამპანია: მაზრებში არსებობს 14 სკოლა, მსმენელთა რიცხვი — 245, ქალაქში 20 სკოლა, მსმენელთა რიცხვი — 500.

1923-24 წ. მე-2 კამპანია: მაზრებში 48 სკოლა, მსმენელთა რაოდენობა — 1.004; ქალაქში 7 სკოლა, მსმენელთა რაოდენობა — 222.

1924-25 წ. მე-3 კამპანია: მაზრებში 119 სკოლა, მსმე-



ნელთა რიცხვი 2.816, ქალაქში 23 სკოლა, მსმენელთა რიცხვი — 593. აღნიშნულ სამ კამპანიის დროს აღსანიშნავია, რომ წერა-კითხვა შეისწავლეს აქარელ ქალებმა, რომელთა რიცხვი უდრის 260 მეტს. აი საერთო სურათი თუ რამდენათ თანდათანობით იზრდება სკოლების და მსმენელთა რიცხვი საერთოდ. დარწმუნებული ვართ, რომ მეოთხე კამპანია მეტ ნაყოფს მოიტანს, რაც დამოკიდებულია ფუხარას ინციატივაზე. ყოველივე სახელმძღვანელო ნივთებს, როგორც დღემდის დე-ბულობდენ, მიიღებენ შემდეგშია.

თუ რომ ჩვენ გავიმარჯვეთ ამ ფრონტზე, მაშინ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ჩვენ დავსძლიეთ მესამე ფრონტი — კულტურული. ეხლა დანარჩენი დაწესებულებები: კლუბები არსებობს ყველა მაზრებში და დიდ თემებში სულ — 7, ქობ-სამკითხველოები — 26, რომელთა შორის 18 სათემო ქობია და ყავს თავისი გამგეები. კლუბსა და ქობებში არსებობს წრეები და იღვმება წარმოდგენები. გამოდის კედლის გაზეთი ფუხარათა თანამშრომლობით; დღიური გაგზავნის რიცხვი უდრის მაზრებში 156 ცალ გაზეთს.

ამის გარდა აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მაზრებისათვის მოწყობილია დასატარებელი კინემატოგრაფი ავტომობილზე, რომელმაც გააკეთა 30 რეისზე მეტი და სისტემატიურათ იმოქმედებს მომავალში.

ამ მოკლე ხნის განმავლობაში „შავი“ მუშაობა უკვე დამთავრებულია, საჭიროა მომავალში მეტი ინციატივა ადგილობრივ, აღმასკომის მეტი ენერგია და მატერიალური გაუმჯობესება, რაც მოგვცემს დასახულ მიზნის განხორციელების საშუალებას.

თავმჯდომარე. ამხანაგებო, შემოვიდა წინადადება, რომ მოხსენებები გადათარგმნილ იქნას რუსულ ენაზე, არის მეორე წინადადება: მოხსენებები არ იქნას გადათარგმნილი რუსულათ და დავკმაყოფილდეთ ანგარიშით, რომელიც მოთავსებული იქნება გაზეთებში.

ხმა ადგილიდან. დღევანდებს დაურიგდათ სახკომსაბჭოს ანგარიშები ქართულ-რუსულ ენებზე, სადაც დაწვრილებით არის მოყვანილი საჭირო ცნობები. ამიტომ შესაძლებელია დავკმაყოფილდეთ გაზეთში გამოქვეყნებულ ანგარიშით და მოხსენებების რუსულათ გადათარგმნა არ არის საჭირო.

თავმჯდომარე. ამხანაგებო, მაშასადამე ყრილობა ადგენს, რომ მოხსენებები არ იქნება გადათარგმნილი.



ამხანაგებო, მომხსენებლების მიმართ შემოვიდა შეკითხვები, რომლებზეც მომხსენებლები გასცემენ პასუხს. ვინაც აქვს კიდევ შეკითხვა, გთხოვთ შემოიტანოთ პრეზიდიუმში.

ამხ. ს. ვარშანიძე. ამხანაგებო, ეხლა მე გავსცემ პასუხს შეკითხვებს.

1-ლი შეკითხვა: რისთვის არ არის ყველა მაზრებში აგრონომიული სასწავლებელი?

პასუხი: სასურველია ყველა მაზრებში იყოს აგრონომიული სასწავლებელი, მაგრამ საამისო სახსარი განსახკომს არ აქვს, ამიტომ ჯერ-ჯერობით უნდა დავკმაყოფილდეთ ერთ აგრონომიულ სასწავლებლით.

მე-2 შეკითხვა: რა მიზეზია, რომ სკოლებში მოწაფეთა რიცხვმა იკლო?

პასუხი: მართალია, წლის დასაწყისში სკოლებში არის 50—80 მოსწავლე, წლის მიწირულს კი რიცხვი იკლებს. ეს აიხსნება აჭარისტანის სინამდვილით. სამოსწავლო წლის მიწურულს, ე. ი. გაზაფხულზე, როცა იწყება სასოფლო-სამეურნეო მუშაობა, მშობლებს ბავშვები მიყავთ სკოლიდან მომავალ შემოდგომამდე.

მე-3 შეკითხვა: რამდენი მოსწავლეა მაზრებში და რამდენი ქალია იმათგან?

პასუხი: ეს მე განვმარტე მოხსენებაში.

მე-4 შეკითხვა: რატომ არ არის დაარსებული მაზრებში პანსიონები?

პასუხი: პანსიონების დაარსება ხულოში, ქედაში და ქობულეთში შედიოდა 1924 წლის პრაქტიკულ მუშაობის გეგმაში, მაგრამ ამ გეგმის განხორციელება შეუძლებელი გახდა. პანსიონს სჭირდება ბინის აგება, ხოლო საამისო თანხები განსახკომს არ ქონდა. ეს საქმე 1925 წლის პრაქტიკულ მუშაობის გეგმაში შევა.

მე-5 შეკითხვა: სოფლად რამდენ საათს უნდა იყოს მეცადინეობა?

პასუხი: ნორმალური მეცადინეობა უნდა იყოს დღეში 4 საათი.

მე-6 შეკითხვა: შესაძლებელია თუ არა 9 თვიანი სამოსწავლო სეზონის გატარება აჭარისტანში?

პასუხი: ჩვენი გლეხობის მდგომარეობით არის გამოწვეული სამოსწავლო წლის შემოკლება. ჩვენ ვცდილობთ გავა-



ტაროთ ის პრინციპი, რომელიც სხვა რესპუბლიკებში უკვე გატარებულია. ამას მოითხოვს არსებულ პროგრამის შესწავლის ინტერესები.

მე-7 შეკითხვა: შეიძლება თუ არა ისე მოვამზადოთ თურქული ენის მასწავლებელი, როგორც ვამზადებთ ქართული ენისას?

პასუხი: შეიძლება და კიდევ ვამზადებთ ასეთებს პედგოგიურ ინსტიტუტში, სადაც სწავლობენ როგორც ქართულს, ისე თათრულს, რუსულს, გერმანულს და სხვ.

მე-8 შეკითხვა: არის თუ არა სკოლებში აქარელი ქალები?

პასუხი: ამაზე უბასუხე მოხსენებაში. ეხლაც ვიტყვი: სულ აჭარისტანში სწავლობს 1068 აქარელი ქალიშვილი.

მე-9 შეკითხვა: შეიძლება მასწავლებელმა მეცადინეობის დროს მოწაფე ამზადოს კერძოთ?

პასუხი: არ შეიძლება.

მე-10 შეკითხვა: მასწავლებელნი დაკმაყოფილებულნი არიან ბინებით თუ არა?

პასუხი: მე ორჯერ ჩამოვიარე რევიზიით მაზრები და მასწავლებლები ყველგან დაკმაყოფილებული ენახე ბინებით.

მე-11 შეკითხვა: ინსტიტუტი რამდენ მასწავლებელს მოგვცემს პირველ წელს?

პასუხი: პირველ წელს ინსტიტუტი მოგვცემს 12 მასწავლებელს, მეორე წელს 36.

მე-12 შეკითხვა: რატომ არ არის დაარსებული მუშათა ფაკულტეტები?

პასუხი: მუშაყავები დაარსებულ იქნება მომავალ წელში ქართულ და რუსულ ენებზე.

მე-13 შეკითხვა: უმაღლეს სასწავლებელში თუ სწავლობენ აქარლები?

პასუხი: თქვენ მოისმინეთ თბილისიდან აქარელ სტუდენტების მისასალმებელი დეპეშა. გარდა თბილისისა, აქარელი სტუდენტები სწავლობენ ბაქოში, მოსკოვში და სხვ.

მე-14 შეკითხვა: აქვს თუ არა მაზრებში სკოლებს სამოსწავლო ნივთები?

პასუხი: ეს საკითხი მოგვარებულია. სკოლები უზრუნველყოფილია კალმებით, ფანქრებით და რვეულებით. ეს პუნ-



ქტები სამაზრო აღმასკომებს გადაეცა და ისინი აკმაყოფილებენ შკოლებს.

ამხ. გ. სულუხია. ამხანაგებო, მეც მომცეს რამოდენიმე შეკითხვა, რომელზედაც გავსცემ პასუხს.

1-ლი შეკითხვა: რომელ მაზრაში უკეთ არის დაყენებული წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმე?

პასუხი: გასულ წელს ამ მხრივ პირველ ადგილზე იდგა ქობულეთის მაზრა. წელს პირველობა აიღო ხულოს მაზრამ, მას მოყვება ქედის, შემდეგ ქობულეთის და სხ.

მე-2 შეკითხვა: რატომ არ აშენდა ქედის კლუბი?

პასუხი: ქელაში კლუბი ვერ ავაშენეთ უსახსრობის გამო. მომავალ წლის ბიუჯეტში შეტანილია სათანადო ხარჯთ-აღ-რიცხვა და იმედი გვაქვს, რომ ავაგებთ.

მე-3 შეკითხვა: რატომ არ არის მოწვეული პოლიტ-მუშაკთა კონფერენცია?

პასუხი: უკვე დაიწყო პოლიტ-მუშაკთა სამაზრო კონფერენცია. როცა ის დამთავრდება, მოვიწვევთ რესპუბლიკის მასშტაბით.

მე-4 შეკითხვა: კომკავშირი თუ უწყევს დახმარებას პოლიტგანს წ. კ. უ. ლიკვიდაციის საქმეში?

პასუხი: კომკავშირი ენერგიულ დახმარებას გვიწევს.

მე-5 შეკითხვა: სოფლებში თუ იმართება წარმოდგენები?

პასუხი: ყოველ მაზრაში და ზოგ თემშიც არის კლუბები, სადაც იმართება წარმოდგენები. დიდ დახმარებას გვიწევს წარმოდგენების დადგმაში მასწავლებლები.

თავმჯდომარე: ამხანაგებო, შეკითხვები დასრულდა. ვისაც გასურთ კამათში მონაწილეობა, ჩაეწერეთ. სიტყვა ეკუთვნის ამხ. სულეიმან ლორთქიფანიძეს.

ამხ. ს. ლორთქიფანიძე. ამხანაგებო, განათლების სახკომატმა ისე დაასურათა თავის მოხსენებაში განათლების დარგში მუშაობა, რომ შეიძლება დაეასკვნათ: განათლების დარგში ბევრია გაკეთებული. ეს მართალია. სკოლა აჭარლებისათვის ახალი მოვლენაა. სკოლა ისე უნდა იყოს დაყენებული, რომ ფუხარამ შესძლოს სწავლა. ამ მხრით საქმე ზოგან მოიკოკლებს. მაგ. ბევრ ადგილზე წიგნები დარიგებულია 1-ლ განყ., ხოლო მე-2 განყ. არ არის წიგნები, ამიტომ ბავშვები მეორე

წელია ისევ 1-ლ განყ. სწავლობენ. ამის გამო სკოლები ვერ არის მოწყობილი ისე, რომ ფუხარა ხალხის შეილება — მა და ვაჟებმა ისწავლონ. აჭარისტანში ჯერ ისეთი მდგომარეობაა, რომ საჭიროა ქალების და ვაჟების გამოყოფა. შეიძლება ეს აღმასკომების საქმე იყოს, მაგრამ განსახკომმაც უნდა მოაქციოს ყურადღება.

რაც შეეხება სკოლებში მასწავლებელთა რიცხვის შემცირებას, მე მომხსენებლის პასუხი არ მაქმაცოფილებს. ხალხი ითხოვს სკოლების გახსნას და ბავშვებს კი აკლდება სკოლა. აქ რალაც მიზეზი არის. ამას უნდა მიექცეს ყურადღება. სკოლები უნდა იყოს დაახლოებული ხალხთან. ბევრი სკოლა გაიხსნა, მაგრამ დიდი ნაყოფიერება არ არის, შეცდომები უნდა გამოვასწოროთ.

თავმჯდომარე: სიტყვა ეკუთვნის ამხ. გრ. ბრელიძეს.

ამხ. გრ. ბრელიძე. მე, როგორც შრომის სახკომი შევებები შრომის დაცვის საკითხს. მე დავთვალთიერე მაზრებში სკოლები და ბევრგან შევამჩნიე, რომ შრომის კანონი ირღვევა. სოფლის მასწავლებელი ისეთივე მდგომარეობაში უნდა ჩავაყენოთ, როგორც ქალაქში.

თავმჯდომარე. ამხანაგებო, სიტყვა ეკუთვნის ამხ. მუსტაფა აკამბას.

ამხ. მ. აკამბა. (ღაზნაკობის თათრულათ). მართალია, ჩვენ კომუნისტები ვართ, მაგრამ მუსლიმანობას ვერ დავტოვებთ. საჭიროა სკოლებში იყოს ხოჯები და თუ შესაძლებელია აღვადგინოთ ხოჯები.

თავმჯდომარე. ამხანაგებო, სიტყვა ეკუთვნის ამხ. რისს.

ამხ. რის. (ღაზნაკობის რუსულათ). ამხანაგებო, სიამოვნებით უნდა ავღნიშნო, რომ განათლების საქმე აჭარისტანში საუკეთესოდ არის დაყენებული და რაც საკვირველია, აღმშენებლობაში მონაწილეობას იღებენ ქალებიც. ის ინტერესი, რომლითაც ჩვენი გლეხობა მსჯელობს სკოლების შესახებ, გვიჩვენებს ჩვენ, რომ მუშებს და გლეხებს შეუძლიათ სახელმწიფოს აშენება.

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის ამხ. ღუმბაძეს.

ამხ. ღუმბაძე. ამხანაგებო, აქ დაისვა საკითხი განათლების დარგის შესახებ. ჩვენ გვახსოვს, რომ აჭარაში ბევრი არა, მაგრამ ხულოში და ქედაში წინედაც იყო სკოლა, მაგრამ აჭარელი ამ სკოლებში ბავშვებს არ გზავნიდა. ეხლა ჩვენ ისეთი სკოლები გვაქვს, როგორც გვინდოდა და ამიტომ ხალ-



ხი გზავნის ბავშვებს საბჭოთა სკოლებში. წინეთ ჩვენ გვინდოდა
ბი გვეკონდა ხელში და თოფით სროლას ვსწავლობდით. ეხ-
ლა თოფი გადავადგეთ და სკოლებში დავდივართ. ამ წელში
თუ ბავშვების ნაკლებობა იყო, ეს, სხვათა შორის, აიხსნება
დიდი თოვლით. სამი თვე ისეთი თოვლი იყო, რომ არ შეი-
ძლებოდა სკოლაში წასვლა. აქ აღნიშნეს რომ, სკოლები არ
არის მოწყობილი. ეს ჩვენ არ დაგვაკავებს, რადგან არც
ჩვენ და არც ჩვენს შვილებს უკეთესი არ უნახავთ.

მაგრამ არის ერთი გულნაკლებობა, რაც ამხ. აცამბამ
აღნიშნა. ჩვენ გვაქვს ერთი ზნე-ჩვეულება. ეს პოლიტიკას არ
შეეხება. ზოგს მარტო ხოჯებისაგან აქვს სწავლა მიღებული,
მაგრამ ღმერთს სულ არ სცნობს. მაგრამ ჩვენ გვაქვს ადამი,
რომ ბავშვებმა ისწავლონ რჯული. თუ დღეში 4 საათს ქარ-
თულოს სწავლობენ, ნახევარი საათი რჯული ისწავლონ ეს
ოთხი საათი მაინც თავისკენ გადახრის და ჩვენც გულნატკენი
არ ვიქნებით და მუდამ სოციალისტურ მთავრობის ერთგული
დავრჩებით ისე, როგორც დღემდე.

თავმჯდომარე. ამხანაგებო, ვისაც სურს სიტყვა სთქვით,
ნურაფრის მოგერიდებათ. აქ კომისარი ამბობს, რომ საქმე
კარგათ არის დაყენებული. ჩვენ გვინდა თქვენი აზრი. ყრი-
ლობა არის ყველაფრის ბატონ-პატრონი, დღეს დღევანდებმა
უნდა მოურიდებლად სთქვან რა ხდება მაზრებში, სოფლათ.

სიტყვა ეკუთვნის ამხ. თოდრიას.

ამხ. ვ. თოდრია. ამხანაგებო, როდესაც ამხ. თ. ხიმ-
შიაშვილმა მოხსენება გააკეთა, ასე ესთქვი: კრიტიკა ამხ. სი-
ტყვას არ მოენახებოდათქო. ამის შემდეგ მოხსენება გააკეთა
განათლების დარგში ამხ. ვარშანიძემ, რომლის მოხსენებას
კრიტიკა გაუკეთეს. საჭიროა კრიტიკა, მხოლოდ ყოველი კრი-
ტიკა უნდა იყოს საფუძვლიანი. ჩვენ აქ მოვისმინეთ, რომ
აჭარისტანში არსებობს მრავალი ტიპის სკოლები: სამეურნეო
სასწავლებლები და ინსტიტუტი. სკოლებს ეძლევა საჭირო
სახელმძღვანელოები. უნდა ითქვას, რომ ძალიან ბევრი გაკე-
თებულია განსახკომის მიერ. მე ესთქვი და ვიმეორებ, რომ
აჭარისტანს ყავს მთავრობა ამხ. ხიმშიაშვილის თაოსნობით,
რომლის ირგვლივ თავს იყრიან თავდადებული და გულწრფე-
ლი დაუღალავი მომუშავე ამხანაგები. არსებულ ეკონომიურ
პირობების მიხედვით შეუძლებელია მეტის გაკეთების მოთ-
ხოვნა.

თავმჯდომარე. ამხანაგებო, სიტყვა ეკუთვნის დიასამიძეს.

ამხ. ხ. დიასამიძე. როგორც აქ წარმოსთქვეს, განათლების დარგში მართლა ბევრია გაკეთებული. კომისარი მხოლოდ ერთშია შემცდარი. ორ თვეში ერთხელ უნდა ჩამოიაროს სკოლები და ნახოს თუ რას სწავლობენ და რას აკეთებენ ბავშვები, რომლებზეც ფულს ხარჯავს.

ამასთან უნდა აღვნიშნო ობლების საკითხი. სოფლათ არის ობლები, ნათესავები არ აცხადებენ, ამუშავებენ და სარგებლობენ მათი ქონებით. საჭიროა ობლებს დაენიშნოს აპეკუნი.

აქარაში შევიდა კიდევ ერთი ბოროტება, სხვისი ცოლის მოტაცება. ასეთი მაგალითი წინეთ არ ყოფილა. თუ ქალს არ უნდა, მთავრობამ უნდა გააშოროს, თორემ ქმარსა და ქალის ნათესავებს შორის დავა და ჩხუბი ატყდება.

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის ამხ. შაი-ალა ბოლქვაძეს.

ამხ. შ. ბოლქვაძე. სწავლა-განათლების ამბავი აქ ლა-მაზათ ასწერეს. ჩვენც ვხედავთ, მართალია, სკოლები გახსნილია. ყოველ წელს მატულობს სკოლების რიცხვი და მომავალ წელს კიდევ უკეთესი იქნება. მაგრამ არის ერთი რამ, 100 შრომის სკოლა გვაქვს, აქედან რომ 5 სასოფლო-სამეურნეო იყოს, კარგი იქნება. აქ ამხანაგმა სოქვა თოფი გადავადეთო. არა, კიდევ გვაქვს ხელში თოფი. ჩვენ ღერბში თოფი კი არ არის, არამედ, ჩაქუჩი და ნამგალი, ჩვენ გვინდა ვისწავლოთ ჩაქუჩის და ნამგალის მოხმარება. თუ ამდენხანს ვერ გაგვიხსენით, ჩვენი თხოვნაა შევეიტანოთ რეზოლიუციაში, რომ მომავალ წელში გაიხსნას აგრონომიული სკოლები.

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის ამხ. სვანიძეს.

ამხ. სვანიძე. ამხანაგებო, ზოგ შეკითხვებზე პასუხი ვერ მივიღე და ეხლა მინდა აღვნიშნო. ჩვენ წარმოდგენების დროს გაკვირებული ვართ ქალების არ ყოლის გამო; მასწავლებელი ქალები კი ხშირად უარს ამბობენ სცენაზე გამოსვლაზე. შეიძლება თუ არა დაევალოთ ეს მათ.

ასევეა სწავლის განსაზღვრის დრო. აქარისტანში ბავშვებს არ აქვთ განსაზღვრული საათი. მეცადინეობა ხშირად 12 საათზე იწყება. შემდეგ წ. კ. უ. ლიკვიდაციის სკოლებში. მეცადინეობა ხშირად გრძელდება 10 წამს. რა მეცადინეობა იქნება ასეთ მოკლე დროში?



ამხ. სულოუხიამ აღნიშნა, რომ გაზეთებს ვაგზავნიდა
აღმასკომმა გადასცა ექსპედიციას 10 მან., მაგრამ გაზეთებს
ვერ ვიღებთ.

თავმჯდომარე. ამხანაგებო, სიტყვა ეკუთვნის ამხ. ბეჭირ
ოლლის.

ამხ. ბეჭირ ოლლი. (ლაპარაკობს თათრულათ). ამხანა-
გებო, საბჭოთა ხელოსუფლებამ დიდი საქმეები გაგვიკეთა.
რომელი ერთი ჩამოვთვალოთ. გაგვიხსნა სკოლები, მოგვიწყო
ქობ-სამკითხველოები და შეძლებისდაგვარად ტანსაცმელიც
მოგვცა. როდესაც ჩვენი ღარიბი მთავრობა ყველა ჩვენს
თხოვნებს შეძლებისამებრ გვისრულებს, ეს იმას არ ნიშნავს,
რომ ჩვენ ეს არ უნდა დავაფასოთ და ხელი არ შეუწყოთ
ჩვენვე არჩეულ მთავრობას სააღმშენებლო ჩვენთისვე საკე-
თილდგო საქმეების გაკეთებაში. ჩვენ ნუ მოვსთხოვთ და
დავაფალებთ ჩვენვე არჩეულ მთავრობას ისეთ რამეს, რაც
შეუძლებელია. ამიტომ ჩვენი მოვალეობაა ხელი შეუწყოთ
წერა-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლაში და სწავლა-გა-
ნათლების აყვავების საქმეში.

ამხანაგებო, გაუმარჯოს იმ ხელისუფლებას, რომელიც
თავდადებით მუშაობს მუშათა და გლეხთა ინტერესების და-
საცავათ.

თავმჯდომარე. ამხანაგებო, სიტყვა ეკუთვნის ამხ. თ.
ხიმშიაშვილს.

ამხ. თ. ხიმშიაშვილი. ამხანაგებო, აქ საერთოდ ორა-
ტორებმა კრიტიკა გაუკეთეს მომხსენებელს და ბევრი დეფექ-
ტი აღნიშნეს. მაგრამ დეფექტი არ არის ის, რომ გაზეთები
თავის დროზე ვერ მიდის. ეს წვრილმანი საქმეა და თანდათან
შეივსება ასეთი ნაკლი. სწავლა-განათლების საქმე იმდენად
დიდია და რთული, რომ არ შეიძლება დეფექტები არ აღ-
მოჩნდეს. მაგრამ ჩვენ საკითხს ვერ მიუღდექით სწორეთ. ყრი-
ლობის დღის წესრიგში კი არ იყო დასმული განსაკჷმის
მოხსენება, არამედ აქ ირჩევა საკითხი თუ რა ტემპით მიდის
განათლება და კულტურა აჭარისტანში.

საკითხი დავსვათ ასე: რა ტიპის კულტურა იყო აჭარის-
ტანში და როგორი გვინდა ჩვენ შეექმნათ. წინეთ აჭარისტან-
ში იყო ფეოდალური წყობილება, პატრიარქალური ტიპის კულ-
ტურა, იყო ხოჯა, რომელიც ასწავლიდა სკოლაში. სოფელი
ქირაობდა ხოჯას მეჩეთისათვის და იმავე დროს იგი იყო მედ-
რესეს მოჰაჯიმი. მედრესეში მეცადინეობა გრძელდებოდა არა

9 თვე, არამედ 3 თვე და დღეში 2 საათი. ჩვენ კი უცბათ გვინდა შემოვიღოთ 9 თვიანი სეზონი და დღეში 4 საათი. ამას სოფელი მიჩვეული არ არის. ეს გამოწვეულია არა ჩვეულებით, არამედ სოფლის ეკონომიურ პირობებით, რადგან ზაფხულში ყოველი მუშა ხელი, თუ გინდ ბავშვიც, ძვირათ ფასობს. მაშასადამე საჭიროა შესწორებების შეტანა. ჩვენ უნდა შევეცადოთ ნელ-ნელა შევჩვიოთ სოფელი ახალ სკოლას და შეუფარდოთ ჩვენი სკოლის პირობები სოფლის სინამდვილეს. ჯერ შეიძლება 3, 4 ან 5 თვე და დღეში 2-3 საათი. ქალაქში არსებულ პრინციპებს, სოფელში ასე ერაზაშათ ვერ გავატარებთ.

მერისში ერთი სკოლაა, რომელიც ექვს სოფელს ემსახურება. ერთი სოფლიდან სკოლამდე მისვლას 2 საათი სიარული უნდა, მეორედან კი ერთი საათისა. ყოვლად შეუძლებელია ასეთი მდგომარეობაში დროის განსაზღვრა. უნდა მივიღოთ მხედველობაში სოფლის მდგომარეობა, იქაური პირობები შევუფარდოთ მათ მუშაობა.

სოფელში იყო ორი სკოლა. ჩვენი პოლიტიკა იქითკენ იყო მიმართული, რომ ეს ორი დაწესებულება შეგვეერთებია. ბავშვები ცოტა დადიოდა სკოლაში და მედრესე კი სავსე იყო. ეს იმის ბრალი იყო, რომ თუ გვყავდა კარგი მასწავლებელი, არ გვქონდა სათანადო წიგნები. ჩვენ გადავწყვიტეთ შეერთება. შევასწორეთ წიგნები, მოვნახეთ მასწავლებლები და ხოჯა დავნიშნეთ სკოლაში. ბავშვები მედრესედან გადმოვიდნენ საბჭოთა სკოლაში. ჩვენი სკოლის ავტორიტეტი აიწია. ამ რიგათ ერთი რამ მაინც გავაკეთეთ: მოვსპეთ პარალელიზმი და საერთო სკოლა შევქმენით.

ეხლა ერთი მნიშვნელოვანი საკითხის შესახებ. აქ ზოგი ამხანაგები ტენდენციურათ აშუქებენ ამ საკითხს. მე ჩემის თვალთ ვნახე აქარაში: საბჭოთა სკოლაში 3 ბავშვი იყო და მედრესეში 60. ბავშვები მედრესეს სტოვებდნენ და საბჭოთა სკოლაში მოდიოდნენ, ეხლა სკოლას სტოვებენ და მედრესეში მიდიან. რამ გამოიწვია ეს? აქ არის გაუგებრობა. ადგილობრივ აღმასკომებმა და განათლების განყ. სწორი ხელმძღვანელობა ვერ გაუწიეს.

რჯულის გაკვეთილები არავის არ მოუხსნია; მთავრობამ მხოლოდ ჯამაგირები მოუხსნა ხოჯებს, რადგან ხოჯას სოფელი აძლევს ჯამაგირს და არ შეიძლება ორივე ადგილიდან მიიღოს. რაც შეეხება სწავლას, ხოჯამ ასწავლოს სკოლებში

რჯულის გაკვეთილები, თუ კი ხალხს ასე სურს. სკოლაში შესვლას არა თუ არ უშლიან ზოჯას, არამედ წინადადება ეძლევა იაროს და ასწავლოს. თუ ვინმე ამ საკითხს ამ რიგით არ აზუქებს, თუ ზოჯა არ მიდის სკოლაში და უნდა ბავშვები მედრესეში გადაიყვანოს, ან სკოლაში არ უშვებენ ზოჯას — ეს პროვოკაციაა, შრომის სკოლის პრესტიჟის დაცემისაკენ მიმართული და ამას მიექცევა სათანადო ყურადღება. ჩვენ რჯულის სწავლებას არ ვზღუდავთ.

აქ იყო კიდევ სხვა საკითხები: წიგნები არ არის საკმარისიო და სხვ. ეს ფულის საქმეა. არის ნაკლი, რომელსაც გამოსწორება უნდა და იქნება კიდევ გამოსწორებული. უმთავრესი კი ის არის, რომ კულტურის საქმე აჭარისტანში უნდა შეუფარდოთ სოფლის სინამდვილეს და მომავლის პერსპექტივებს.

ჩემის აზრით, ჩემმა ახსნა-განმარტებამ დააკმაყოფილა ამხ. აკამბა.

ხმები ადგილებიდან. ყველასათვის დამაკმაყოფილებელი იყო, ეხლა გავიგეთ სინამდვილე.

ამხ. თ. ხიმშიაშვილი. (განაკრძახს). ოთხი წელი მცირე დროა და ამ მცირე ხნის განმავლობაში გაკეთებული უნდა დავაფასოთ. ეს კომისიის დამსახურება არ არის. ეს საერთოდ მუშურ-გლეხური ხელისუფლების მიღწევაა. არ შეიძლება აღფრთოვანებით არა ვსთქვათ, რომ დიდი საქმეა გაკეთებული, რომ აჭარისტანის კულტურის აღორძინების ფაქტის წინაშე ვდგევართ.

თავმჯდომარე. საბოლოოს სიტყვა ეკუთვნის ამხ. ს. ვარშანიძეს.

ამხ. ს. ვარშანიძე. ამხანაგებო, ამხ. თ. ხიმშიაშვილის ვრცელი განმარტების შემდეგ მე არაფერი დამრჩა სათქმელი. მე მხოლოდ აღვნიშნავ ამხ. ბრელიძის საპასუხოთ, რომ შრომის კანონებს ვიცავთ და ვერც ერთ დარღვევას ვერ მიმოითვებს კომისარი. ობლების მიმართ უყურადღებობასაც გვისაყვედურებენ. განსაკომთან არსებობს სათანადო განყოფილება და ის უწყევს დახმარებას ობლებს. ჯერ არავის მიუმართავს ამ განყოფილებისათვის და თუ მოგვმართეს, დავეხმარები.

აქ აღვნიშნეს, რომ მასწავლებლები არ იღებენ სცენაზე თამაშობაში მონაწილეობასო. ამის დავალება განსახკომს არ შეუძლია, ეს მასწავლებლის კერძო პირადი საქმეა.



თავმჯდომარე. ამხანაგებო, კამათი დასრულდა, თქვენს ვისმეს აქვს რეზოლიუცია ან წინადადება ამხ. ვარშანიძის მოქმედებების გამო, ეთხოვ წარმოადგინოს პრეზიდიუმში.

ამხ. თ. ხიმშიაშვილი. ამხანაგებო, მე მაქვს რეზოლიუცია (კითხულობს).

თავმჯდომარე. ამხანაგებო, ვინ ხართ მომხრე, ამხ. თ. ხიმშიაშვილის რეზოლიუციის?

ამხანაგებო, ნება მიბოძეთ ერთხად მიღებულათ ჩავსთვალოთ შემდეგი რეზოლიუცია:

„აჭარისტანის საბჭოთა მე-V ყრილობამ, მოისმინა რა ამხ. ს. ვარშანიძის და გ. სულუხიას მოხსენებები აჭარისტანის კულტურის მდგომარეობის შესახებ, სიამოვნებით აღნიშნავს, რომ აჭარისტანის თანამედროვე კულტურული მდგომარეობა იმის მაჩვენებელია, რომ ჩვენი ქვეყანა კულტურულ აღორძინების გზაზეა დაჰდგარი. მე-V ყრილობა საჭიროთ სცნობს, რომ ამ დარგში მომავალ წლისათვის მუშაობა გაუმჯობესებულ იქნეს და გაფართოებულ იქნას განსაკუთრებით სოფლად. საორგანიზაციო ღონისძიებები შეეფერებოდეს სოფლის სინამდვილეს. უმთავრესი ყურადღება მიექცეს: 1) ძირითად აღზრისა და სწავლის გაფრცელების საქმეს, 2) სპეკპროფ. განათლების გაფართოებას და 3) წ. კ. უცოდინარობის ლიკვიდაციას“.

თავმჯდომარე. ამხანაგებო, მესამე სხდომას დახურულათ ვაცხადებ, შემდეგი სხდომა ხვალ დილით აქვე შესდგება.

მ ე ო თ ხ ე ს ხ დ ო მ ა .

აჭარისტანის საბჭოთა მე-V ყრილობის მეოთხე სხდომა შესდგა დილით, აკადემიურ თეატრში, ამხ. მოედინ სურმანიძის თავმჯდომარეობით.

თავმჯდომარე. ამხანაგებო, აჭარისტანის საბჭოთა მე-V ყრილობის მეოთხე სხდომას გახსნილათ ვაცხადებ. სიტყვა კოოპერაციის შესახებ ეკუთვნის ამხ. დიმიტროპულოს.

ამხ. დიმიტროპულო. ამხანაგი დიმიტროპულო აკეთებს მოხსენებას კოოპერაციის შესახებ თურქულ ენაზე.

თავმჯდომარე. ამხანაგებო, კოოპერაციის მუშაობის შე-



საქართველოს
რესპუბლიკის
ქვეყნული
ბიბლიოთეკა

სახებ ქართულ ენაზე მოხსენებას გააკეთებს ამხ. კვითაიშვილი

ამხ. ლ. კვითაიშვილი. ამხანაგებო, კოოპერაცია არის მშრომელთა შეერთებულ ძალებით შექმნილი ოჯახი, სადაც ვებრძვით კერძო კაპიტალს. აჭარისტანის კოოპერაციას არ არ აქვს დიდი ხნის ისტორია.

თვითმპყრობელობის დროს იყო კოოპერაცია, მაგრამ მას სათავეში უდგენ მოხელეები, გენერლები და წევრებათ მხოლოდ შეძლებულ კლასის წევრები ეწერებოდნენ. მაშინდელ კოოპერაციას, რასაკვირველია, არ შეეძლო იმ ხაზის გატარება, რომელსაც ეხლა ეწევა კოოპერაცია ფუხარა ხალხის სასარგებლოთ. კოოპერატივში უმაღრესათ ფუფუნების ძვირფასი საგნები იყო, პირველ მოთხოვნილების საგნებს ნაკლებათ შეხვდებოდით.

ეხლა კოოპერაციას სულ სხვა მიზანი აქვს. კოოპერაციის სათავეში ხალხისაგან ამორჩეული მუშაკებია, რომლებიც ცდილობენ კოოპერაციის საშუალებით კოლექტიურ ვაჭრობის შექმნას და მშრომელთა მატერიალურ მდგომარეობის გაუმჯობესებას.

რა გაკეთდა აჭარისტანში კოოპერაციის დარგში?

პირველი მერცხალი იყო ქობულეთის ეპო. პირველ მიტინგმა ცუდი შთაბეჭდილება დასტოვა. ხალხი წინააღმდეგი იყო, რადგან მენშევიკების დროს დაეკარგათ საპაიო ფული. მხოლოდ ასი კაცი ჩაეწერა და მით დავიწყეთ საქმე. ეხლა ქობულეთის ეპოს 1250 წევრი ყავს. შარშან თვითური ბრუნვა 3.500 მან. იყო, ეხლა 15.600 მან. აქვს განყოფილება, სასაღილო, ფურნე.

მას მოყვა ჩაქვის მუშკოპი, რომელიც წინეთ ბათუმის მუშკოპის განყოფილება იყო და ეხლა დამოუკიდებელი მომხმარებელი საზოგადოებაა. 1 აგვისტოს მას 157 წევრი ყავდა, ეხლა 470 ყავს. თვითური ბრუნვა 2.100 მან. იყო, ეხლა — 11.600 მან.

აჭარის-წყლის, ქედის და ხულოს ეპოები დაარსებულია 1922 წელში. მათ წევრთა რიცხვმა და თვითურმა ბრუნვამ საგრძნობლათ იმატა.

ეპოების განვითარების სურათს იძლევა ქვემოთ მოყვანილი ცხრილი:



	აჭარის-წყალი		ქ ე დ ა		ხ უ ლ ო	
	შაშან	კხლა	შაშან	კხლა	შაშან	კხლა
წვერი	80	375	141	456	217	610
ბრუნვა	3.150	9.971	3.154	22.745	4.100	14.650

ეს ეპოები დაარსებულია 1924 წლის 1 აგვისტომდე, ე. ი. აჭარცეკავშირის დაარსებამდე.

მანამდე იყო აჭარისტანში საქართველოს ცეკავშირის განყოფილება, რომელიც ხელმძღვანელობდა კოოპერაციის საქმეს. არსებითად ცეკავშირს არ შეეძლო ადგილობრივ კოოპერატიულ ს-ბების მოვლა-პატრონობა, რადგან მას თავისი პირდაპირი საქმე—საქონლის საიმპორტო-საექსპორტო ოპერაციები ჰქონდა.

ამიტომ სახკომსაბჭომ გადასწყვიტა აჭარისტანში საკუთარ ცენტრალ. კოოპერატიულ ორგანიზაციის დაარსება.

1924 წელში, ივლისში მოხდა ეპოების რწმუნებულების ყრილობა, რომელმაც აირჩია აჭარცეკავშირის გამგეობა.

რა გააკეთა აჭარცეკავშირმა ამ ხნის განმავლობაში?

ამ მოკლე ხნის განმავლობაში აჭარცეკავშირმა გახსნა სამი ძალიან ეპო: მახინჯაურის, ორთა-ბათომის და ჩაქვის.

აჭარცეკავშირმა მიაწოდა კოოპერატივებს საჭირო საქონელი. ყველა საჭირო საქონლით კოოპერატივები 100 პროც. დაკმაყოფილებულია, გარდა ნარმისა, რომელიც საკმაო რაოდენობით ძნელათ იშოვება.



6 თვის განმავლობაში აპარცეკავშირმა მისცა ებოების
ქონელი:

ხელოს	22.807 მან.
ბათომს	91.630 მან.
აპარის-წყალს	12.406 მან.
ქედის	18.207 მან.
ქოზულეთს	33.060 მან.
ჩაქვის მუშკოპს	31.438 მან.
მეზღვაურთა ებოს	8.923 მან.
მახინჯაურს	17.986 მან.
ორთა-ბათომს	13.473 მან.
ჩაქვის ებოს	30.237 მან.

ს უ ლ . 280.273 მან.

თქმა აღვილია, მაგრამ ამოდენა ღირებულების საქონლის განაწილება არც ისე აღვილია.

აპარცეკავშირი მარტო საქონლის მიწოდებით არ კმაყოფილდება. იგი აწარმოებდა სოფლის პროდუქციის რეალიზაციასაც, მან შესძლო 4 მილ. მანდარინის განადგეზა, ღიდალ ნიგოზის, თხილის, ვაშლის და სხვ.

აღსანიშნავია, რომ აპარცეკავშირმა ასწია სასოფლო მეურნეობის პროდუქტების ფასი. თუ 1.000 ც. მანდარინა ღირდა 10—15 მან., აპარცეკავშირი ყიდულობდა 30 მან., თხილს 5 მან. 30 კაპ. (სამის მაგიერ), ნიგოზს 4 მან. (2-რის მაგიერ.), ვაშლს 2 მან. 50 კაპ. (50 კაპ. მაგიერ) და სხვა.

შესაძლებელია წელს აპირცეკავშირმა ვერ შესძლოს მთელი პროდუქციის რეალიზაცია, შესყიდვა, მაგრამ აპარცეკავშირმა მხოლოდ 1924 წლის აგვისტოდან დაიწყო მუშაობა და მცირე ხანში მეტის გაკეთება არ შეიძლებოდა

ის რაც მე მოვახსენე ყრილობას, არ არის ჩვენი მუშაობის მაქსიმუმი. ჩვენი გამარჯვება მაშინ იქნება, როცა მთელი ვაჭრობის 100 პროც. იქნება ჩვენს ხელში. ეს კი მოსახერხებელია მაშინ, თუ მთელი მშრომელი მასა შეიგნებს კოოპერაციის იდეას და გახდება მისი აქტიური წევრი.

აპარცეკავშირი არ ფიქრობს გაჩერდეს იმაზე რაც გაკეთებულია. მას მიზნათ აქვს კიდევ გახმნას ებოები, დაუახლოვოს დუქნები სოფლებს, ხალხს. ამ შემთხვევაში აპარცეკავშირი



ატარებს კომპარტიის მიერ მიღებულ ხაზს და ასრულებს დიდ ბელადის — ლენინის ანდერძს: „კოოპერაცია არის სოციალიზმის გზა“.

თავმჯდომარე. ვისაც შეკითხვები აქვს, შემოიტანოს. ვინც წერა არ იცის, შეუძლია ზეპირათ სთქვას.

ამხანაგი მომხსენებელი უპასუხებს შეკითხვებზე.

ამხ. ლ. კვიტაიშვილი. ამხანაგებო, ნება მომეცით პასუხი მივსცე შეკითხვებზე.

1-ლი შეკითხვა: ეპოებზე გაცემული ფული თუ ბრუნდება?

პასუხი: ჩვენ ვაძლევთ ნაღდათ, ან ვექსილის ქვეშ, ნისიათ, გძელი ვადით. შემდეგ ეპოებს შემოაქვთ ფული აქარცეკავშირის სალაროში.

მე-2-რე შეკითხვა: მიეცა თუ არა ხალხს მანდარინის ღირებულება?

პასუხი: მანდარინის ფულები სულ დარიგებულია, დარჩა 5.000 მან., რომელიც ამ დღეებში დაურიგდებათ.

მე-3-ე შეკითხვა: აქ რამოდენიმე ერთგვარი შეკითხვებია: რატომ არ არის კოოპერატივები გახსნილი გონიას თემში, კახაბერში, სხალთის თემში და სხვა.

პასუხი: აქარცეკავშირი ახალი ორგანიზაციაა, ჯერ მოასწორო 3 ეპოს გახსნა, საჭიროა მათი გამაგრება. ზაფხულზე მიზნათ აქვს სხვა ადგილებშიც გახსნას.

მე-4-ე შეკითხვა: რომელი სამაზრო ეპო უფრო დეფიციტურია?

პასუხი: აჭარის-წყლის ეპო.

მე-5-თე შეკითხვა: ქედის ეპომ გასწორა ზარალი თუ არა?

პასუხი: რევიზიის დროს ქედის ეპოს აღმოაჩნდა 5.000 მან. ზარალი. მოვახდინეთ ეპოს გადახალისება, აუხსენით ხალხს შექმნილი მდგომარეობა და ეხლა საქმე უკვე გამოსწორებულია.

მე-6-ე შეკითხვა: საწვერო გადასახადი თუ შეიძლება გადახდილ იქნას სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით?

პასუხი: დავალებული აქვს ყველა ეპოებს საპაიო გადასახადში მიიღონ პროდუქტები, ამაზე უარის თქმის უფლება მათ არ აქვთ.



მე-7-ე შეკითხვა: რატომ იყო ერთი წლის წინეთა სეზონები ნაკლები და ეხლა საქონელი გაძვირებულია?

პასუხი: საქონელი გაიფუტა, მარილი იყო 1.60 კ. — ეხლა არის 42 კაპ., ჩითი იყო 45 კ. — ეხლა 32 კ.

მე-8-ე შეკითხვა: რომელი სავაჭრო ორგანიზაცია უწევს დახმარებას გლეხობას გარდა კოოპერაციისა?

პასუხი: აქარპრომტორგი, გლეხკომი, წარმოკავშირი.

მე-9-ე შეკითხვა: რამდენია საწვერო გადასახადი?

პასუხი: 3 მანეთი.

მე-10-ე შეკითხვა: არის თუ არა განსხვავება წვერსა და არა წვერს შორის?

პასუხი. წვერებს ეძლევათ 1 5 პროც. უფრო იაფათ, ვიდრე არა წვერებს.

მე-11 შეკითხვა: თუ შეუძლია თემის კოოპერაციის უშუალო დამოკიდებულება იქონიოს აქარცეკავშირთან?

პასუხი: ებოს შეუძლია, განყოფილებას არა.

მე-12 შეკითხვა: თუ შეიძლება მუშა-მოსამსახურეებზე კრედიტის გაცემა?

პასუხი: შეიძლება. ქობულეთის ებო უკვე აძლევს.

თავმჯდომარე. ამხანაგებო, შეკითხვები დასრულდა. სიტყვა ეკუთვნის ამხ. რიზა ხოზრევანიძეს.

ამხ. რ. ხოზრევანიძე. ამხანაგმა აღნიშნა და ეს მართალია, რომ კოოპერაციამ წინ წაიწია. მაგრამ მაინც უნდა ვთქვათ, რომ კოოპერაცია ვერ დადგება თავის სიმაღლეზე, თუ სოფლის ნაწარმოები არ მიიღო, არ შეისყიდა. ხალხს არ აქვს ფული, ხალხმა უნდა გაყიდოს თავის ნაწარმოები და ისე იყიდოს კოოპერატივში ქალაქის საქონელი. კოოპერაცია კი სოფლის ნაწარმოებს არ იღებს. ამას უნდა მიექცეს ყურადღება.

აქ გააცხადეს, რომ საპაიო გადასახადში ვიდ ბო სოფლის პროდუქტებსო. ეს ასე არ ხდება. გლეხს მოაქვს ნიგოზი და კოოპერატივი არ იღებს. რომ იღებდნენ საპაიო გადასახადში სოფლის პროდუქტებს, მაშინ წვერთა რიცხვი მეტი იქნებოდა.

ხულოს მაზრა დიდია და ერთი ფურნეც არ არის. კერძო მეფურნე გირვანქა პურს 15—20 კაპ. ყიდის. არ არის აგრეთვე ხულოში მეწაღე.

უნდა აღნიშნოთ, რომ ზოგი ებო აქარცეკავშირიდან წაღებულ საქონელში აღებულ ფულით ტრესტში ყიდულობდნენ შემდეგ საქონელს და არა აქარცეკავშირში.

რომ შეცდომებს ადგილი არ ქონდეს, ინსტრუქტორი ხშირათ უნდა დადიოდეს მაზრებში.

ამხ. დიმიტროპულო ამბობს, რომ აქარელ გლეხთა სახლში გავხსენით კოოპერატიული სავაჭროებიო. სავაჭრო არის, მაგრამ შიგ შოკოლადებია, არ არის ნაეთი. სახელი არაა საკმარისი.

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის ამხ. ოვანესოვს.

ამხ. ოვანესოვი. აქარცეკავშირი მხოლოდ სავაჭრო ხაზს მისდევს და საწარმოვო დარგს არ აძლევს ყურადღებას. მაზრებში არიან ხელოსნები, რომლებსაც უნდათ შეკავშირება და წარმოების მოწყობა. არ არის კონტაქტი ებოებსა და გლეხკომებს შორის. ხშირათ სხვა და სხვა ფასებში ყიდიან ერთსა და იმავე საქონელს.

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის ამხ. სულეიმან ლორთქიფანიძეს.

ამხ. ს. ლორთქიფანიძე. ამხანაგებო, მომხსენებელმა თვითონ აღნიშნა, რომ აქარცეკავშირი ერთობ ახალგაზრდა ორგანიზაციაა და შეიძლება იყოს შეცდომები. ორატორებმა კი წამოაყენეს სხვა საკითხი. აქარცეკავშირი არ არის საწარმოვო კოოპერაცია. ამისთვის არსებობს კოოპერაციის სპეციალური ტიპი—წარმოკავშირი. ასეთი ტიპის კოოპერაცია ჩვენში მოწყობა არ შედის აქარცეკავშირის ფუნქციებში. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ახლო ხანში განვახორციელებთ წარმოკავშირს.

თუ ჩვენ გვინდა გავაძლიეროთ კოოპერაცია, უნდა გამოავლოთ წევრთა რიცხვი.

თავმჯდომარე: ამხანაგებო, სიტყვა ეკუთვნის ამხ. დიმიტროპულოს.

ამხ. დიმიტროპულო. სიტყვას ამბობს თათრულ ენაზე.

თავმჯდომარე. ამხანაგებო, კამათი დასრულდა. თუ ვისმეს გაქვთ რეზოლიუცია ან წინადადება მოხსენების გამო, ვთხოვ წარმოადგინოთ პრეზიდიუმში.

სიტყვა რეზოლიუციის გამოსაქვეყნებლათ ეკუთვნის ამხ. გრ. გარაყანიძეს.

ამხ. გრ. გარაყანიძე. ამხანაგებო, კოოპერაციის შესახებ



მოხსენების გამო წინადადებას ვიდრევი მივიღოთ შემდეგში რეზოლუცია:

„სრულიად აქარისტანის საბჭოთა მე-5-ე ყრილობამ, მოისმინა რა მოხსენება აქარისტანში კოოპერაციის მდგომარეობის შესახებ, აღნიშნავს, რომ ამ დარგში წარმოებული მუშაობა დამაკმაყოფილებელია. ყრილობა ავალებს აქარცეკავშირის გამგეობას უფრო ენერგიული ბრძოლა აწარმოვოს კერძო ვაჭრობის წინააღმდეგ. ამისათვის ყრილობა საჭიროთ სთვლის: 1) აქარისტანის ყველა მაზრებში იქნას გაფართოებული კოოპერატივების ქსელი, 2) კოოპერატივები უზრუნველყოფილ იქნას გლეხობისათვის პირველ საჭიროების საგნებით, 3) მიიღოს ენერგიული ზომები სასოფლო მეურნეობის პროდუქტებისათვის ბაზრის გამოსაძებნათ და გლეხობისათვის ხელსაყრელ ფასებში გასაწოდებლათ და 4) მიღებულ იქნას ზომები კოოპერატიულ იდეების ფართო მასაში გავრცელებისა და პოპულარიზაციისათვის“.

თავმჯდომარე. ნება მომეცით კენჭი ვუყარო. ვინც მომხრეა, გთხოვთ ასწიოთ ხელი. რეზოლუცია მიღებულია ერთხმით (ტაში).

ამხანაგებო, ტერნაწილების შესახებ მოხსენებებს გააკეთებენ ამხ. ვოენროსი რუსულ ენაზე და ამხ. თ. ჟღენტი ქართულ ენაზე.

ამხ. ვოენროსი. საბჭოთა ხელისუფლება ომის წინააღმდეგია პრინციპიალურათ. იგი არავის არ ესმის თავს და არავის არ უპირებს ომის გამოცხადებას. მაგრამ ასე არ ფიქრობენ ჩვენი მეზობლები, მთელი ქვეყნის ბურჟუაზიული მთავრობები. ისინი მუდამ მზათ არიან საბჭოთა რესპუბლიკებზე თავდასხმისათვის, რომ მოსპონ ერთად-ერთი მუშურ-გლეხური ხელისუფლება მთელ ქვეყანაზე. ყველამ იცის თუ რა დიდ ფულს ხარჯავს ბურჟუაზია ჯარების შენახვაზე, სამხედრო საქმეზე. იმპერიალისტურ მთავრობების ბიუჯეტის უდიდესი ნაწილი იხარჯება სამხედრო საქმის გაუმჯობესებაზე.

ეს გარემოება გვაძლევს ჩვენ მზათ ვიყოთ თავდასაცავათ. სანამ ქვეყანაზე არსებობენ იმპერიალისტები, მანამდე საერთაშორისო სამართლიანობის გადამჭრელი იქნება ძალა და რომ საბჭოთა ხელისუფლებას არ ქონდეს ძლიერი შეიარაღებული ძალა, ამდენხანს საბჭოთა კავშირი ვერ იარსებებდა, მაშასადამე, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ წინააღმდეგნი ვართ ომის, იძულებულნი ვართ მზათ ვიყოთ თავდაცვისათვის და გაეძლიეროთ წითელი ლაშქარი.



მაგრამ ჯარის შენახვას დიდძალი ხარჯი უნდა. საბჭოთა კავშირს ამ ჟამად 562.000 კაცი ყავს იარაღს ქვეშ. 2100 მილიონიან ბიუჯეტიდან მხოლოდ 400 მილ. იხარჯება ჯარზე. ესეც დიდ ტვირთად აწევბა ჩვენს ქვეყანას. სამეურნეო აღმშენებლობა დიდ სახსარს მოითხოვს და ჩვენ უნდა გამოვნახოთ ისეთი სისტემა, რომ ძლიერი ჯარიც გვყავდეს და იაფიც დაგვიჯდეს მისი შენახვა.

ამ მოთხოვნილებას სრულიად აკმაყოფილებს ჯარების სამილიციო სისტემაზე გადასვლა.

მაგრამ არის კიდევ სხვა მოსაზრებაც.

მომავალი ომი არ ემგვანება წარსულ ომებს. ფრონტს, სანგრებს აღარ ექნება გადაწყვეტი მნიშვნელობა. იმისათვის, რომ ჯარი ძლიერი იყოს, სანგრები მიუვალი და ფრონტი მტკიცე — საჭიროა მაგარი ზურგი, ე. ი. სახელმწიფომ უნდა შესძლოს ჯარისათვის საჭირო მასალების დროზე მიწოდება. უდიდესი მნიშვნელობა აქვს სამრეწველო ცენტრებს, მტერი მუდამ ცდილობდა მოწინააღმდეგის ზურგის განადგურებას. მომავალ ომში ამას მიექცევა უმთავრესი ყურადღება, რადგან ომი ჰაერში იქნება. თანამედროვე სამხედრო ტექნიკა, რომელიც დღითი-დღე ვითარდება, საშვალებას აძლევს მეომარ სახელმწიფოს გადაფრინდეს მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე და ააფეთქოს სამრეწველო ცენტრები, მოწამლოს გაზებით მთელი ზურგი. მომავალ ომში მონაწილეობას მიიღებს, რასაკვირველია, ძალა-უნებურათ მთელი მოსახლეობა, ყველა მცხოვრები. ამიტომ სამხედრო საქმე უნდა იცოდეს ყველამ. ყველა მზათ უნდა იყოს თავდასაცავათ, რადგან არ იქნება ფრონტი გარკვეული და თუ ომი გამოცხადდა, რესპუბლიკის ყოველი კუთხე უნდა ელოდეს მტრის თავდასხმას. ასეთ მდგომარეობაში გაიმარჯვებს ის ხალხი, რომელიც კარგათ იცნობს სამხედრო საქმეს, ის სახელმწიფო, რომლის მცხოვრებნი მომზადებულნი არიან თავდაცვისათვის.

მომავალ ომის ამგვარი ხასიათი გვაიძულებს ჩვენ მზათ ვიყოთ თავდაცვისათვის და მთელი ხალხს შევასწავლოთ სამხედრო საქმე.

ამ საჭიროებისათვის გამოსადეგია სამილიციო სისტემა.

ამხ. თ. ჟღენტი. ამხანაგებო, რა არის ტერიტორიალური ნაწილები? ეს იგივე სამილიციო სისტემაა, რომელსაც დევარქვით ტერიტორიალური, რომ ჩვენ მილიციაში არ აერია ხალხს.



სამილიციო სისტემა ანუ ტერიტორიალური ნაწილები ახალი ამბავი არ არის. ჩვენს პროგრამის მინიმუმში იგი აქვს 20 წლის წინეთაც. მაგრამ ბურჟუაზიულ წესწყობილების დროს არ შეიძლებოდა ამ სისტემის განხორციელება, რადგან ბურჟუაზია მუშებსა და გლეხებს არ ენდობა და ხალხს არ შეაიარაღებს. ამ სისტემის განხორციელება შესაძლებელი ხდება მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს.

რა უპირატესობა აქვს ტერიტორიალურ ნაწილების შედგენას.

ჯარში გასაწვევი ახალგაზრდობა ირიცხება ტერიტორიალურ ნაწილში. იგი 4 წლის განმავლობაში 6 თვე მეცადინეობს ყაზარმაში, სადაც სწავლობს სამხედრო საქმეს. ეს 6 თვე განაწილებულია ოთხ წელს შორის, ისე რომ წელიწადში თვე ნახევარი უწევს სამსახური. ამ თვე ნახევარს გაწვეული, რომელიც წითელარმიელათ იწოდება, მას შემდეგ რაკი ჩაირიცხება ჯარის ნაწილში, მეცადინეობს თავის სოფლის მახლობელ ყაზარმაში. ამ ხნის განმავლობაში იგი, თუ მოსამსახურეა არ კარგავს ადგილს და მეცადინეობის დასრულების შემდეგ ისევ ბრუნდება სამსახურში.

მუშა და გლეხს არ სჭირდება წლობით მოწყვეტა სოფელზე თუ ქარხანაზე და შორს ქვეყანაში წასვლა. ეს უადვილებს შრომელს სამხედრო საქმის შესწავლას და იმავე დროს საშვალებას აძლევს სახელმწიფოს ყავდეს მომზადებული ჯარი, რომელიც პირველ დამხებისთანავე გამოვა თავის ქვეყნის დასაცავათ.

სამხედრო საქმის შესწავლის ხალხთან ასე დაახლოვება აადვილებს მცხოვრებლებში სამხედრო ცოდნის გავრცელებას, რაც ასე საჭირო იქნება მომავალ ომში, თუ ასეთი თავს დაგვატყდა.

თავმჯდომარე. ამხანაგებო, შემოვიდა შეკითხვები, რომელზედაც პასუხს ვასცემს ამხ. თ. ჟღენტი.

განცხადებისათვის სიტყვა ეკუთვნის ამხ. თ. ხიმშიაშვილს.

ამხ. თ. ხიმშიაშვილი. ამხანაგებო, დღეს ასაფლავებენ თბილისში ტრადიკულათ დაკარგულ ამხანაგებს: მიახნიკოს, მოგილევსკის და ათარბევოს. გთხოვთ ფეხზე ადგომით პატივი სცეთ მათ ხსოვნას.

(ერეკლბა ფეხზე დგება. ორკესტრი ასრულებს სამგლოვარო ჰიმს).



თავმჯდომარე. ამხანაგებო, დღევანდელ სხდომას დასრულებულია. რეზიუმე ვაძლავებ. შეკითხვებზე ამხ. ჟენტი გასცემს პასუხს. მეხუთე სხდომაზე, რომელიც შესდგება ხვალ დილით. მაშინ გაიპართება კამაიცი.

მ ე ხ უ თ ე ს ხ დ ო მ ა.

აქარისტანის საბჭოთა მე-V ყრილობის მეხუთე სხდომა შესდგა 26 მარტს, პაოტკლუბში, ამხ. შერიფ აბდიას თავმჯდომარეობით.

თავმჯდომარე. ამხანაგებო, მეხუთე სხდომას გახსნილათ ვაძლავებ. ამ სხდომაზე გაიხსნება კამათი ამხ. ვოენროსისა და თ. ჟენტის მოხსენებების გამო ტერნაწილების შესახებ.

სიტყვა ეკუთვნის ამხ. მემედ გოგიბერიძეს.

ამხ. მ. გოგიბერიძე. ამხანაგებო, თქვენ გუშინ მოისმინეთ ამხ. თ. ჟენტის მოხსენება ტერიტორიალურ ნაწილების შესახებ. ეს მეტად საინტერესო საქმეა აქარისტანის ფუხარა ხალხისათვის. ეს არ ნიშნავს ჯარში გაწვევას ისე, როგორც ძველ მთავრობას გაყავდა სალდათები. წინეთ ერთი კუთხიდან მეორეში აგზავნიდნენ ჯარს, აცილებდნენ თავის სახლ-კარს. ეხლა, წინააღმდეგ, ყველა თავის ქვეყანაში იქნება. ჩვენ, ფუხარა ხალხი, მუდამ ჩამორჩენილი ვიყავით: არც სწავლა გვქონდა, არც ჯარში გვიწვევდნენ. ოთხი წელია თავისუფალნი ვართ და სხვები გვიცავენ. დროა ჩვენ გვყავდეს საკუთარი ათასეული, დავიცვათ ჩვენი ტერიტორია.

ტერიტორიალური ნაწილების შექმნას ის უპირატესობა აქვს, რომ გაწვევის დროს ნახევარი ჯამაგირი ენახება, ადგილი არ ეკარება. ჩვენ აქამდეც გვქონდა სურვილი, რომ ათასეული შეგვედგინა, მაგრამ ამდენხანს არ ვიყავით მომზადებული. ეხლა, რომ დავებრუნდებით სოფელში, უნდა გავაცნოთ ხალხს ტერნაწილების უპირატესობა. გუშინ აქ სიტყვეს, რომ ძველათ მშობლებს ყაზარმაში არ უშვებდნენო, ეხლა ამას ვინ დავვიშლის, ხალხისა ყაზარმაც და ჯარიც.

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის ამხ. შინ ბოლქვაძეს.

ამხ. შ. ბოლქვაძე. ამხანაგებო, 1921 და 22 წლებში ჩვენ მოვითხოვეთ, რომ შეგვედგინა მილიცია 500 კაცისაგან აქარისტანის დასაცავათ. მაშინ ეს ვერ გავატარეთ, რადგან



ბევრი ფიქრობდა, რომ ეს საჭირო არ იყო. ეხლა ყველა იგნო, რომ თავდაცვა საჭიროა. სანამ ქვეყანაზე არ მოისპობა კაპიტალისტები, მანამ უთოფოთ ვერ გავძლებთ. რუსეთს რომ წითელი არმია არ შეექმნა, ეხლა თავისუფლება არ გვექნებოდა. აჭარისტანიც წითელ არმიამ გაანთავისუფლა, მაშასადამე, საჭირო ყოფილა ძალა, რომ შევკავშირდეთ საქართველოსთან, რუსეთთან და შეერთებულათ დავიცვათ თავი მსოფლიო კაპიტალისტებისაგან. აჭარისტანმა ყველაფერი მზა-მზარეული მიიღო, ჩვენ კი არაფერს არ ვაკეთებთ. ჩვენ უნდა გვეყვადეს აიხსეული.

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის ამხ. ლაზ-ოღლის.

ამხ. ლაზ-ოღლი. (ღაზარაკობს თათრულათ).

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის ამხ. ხ. ბერიძეს.

ამხ. ხ. ბერიძე. ამხანაგებო, ყველა ქვეყნის სახელმწიფოს ყავს ჯარი. მაშასადამე ჩვენც უნდა მოვემზადოთ, ჩვენც უნდა შევქმნათ ჯარი. ჩვენ უნდა ამოუდგეთ გვერდში კომპარტიას და საბჭოთა ხელისუფლებას და დავებმაროთ ჩვენი ქვეყნის გაძლიერებისა და დაცვის საქმეში.

ვინ არიან ამხანაგებო წითელ ჯარში, რომელიც ჩვენ გვიცავს ეხლა? გლეხის და მუშის შვილები. ისინი იძულებულნი არიან აქ იდგენ და ჩვენ დავიცვან იმის მაგიერ, რომ წავიდნენ და თავის ქვეყანაში იმუშაონ. რატომ? იმიტომ, რომ ჩვენ არ გვყავს საკუთარი ძალა, რომ მათ მაგიერ დავაყენოთ რევოლიუციის სადარაჯოზე. ამიტომ ჩვენი მოვალეობაა და ეს ალბათ ეხლა ყველას აქვს შეგნებული, რომ უნდა შევქმნათ ათასეული, რომ საკუთარი ძალით დავიცვათ ჩვენი კერა და ოჯახი.

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის ამხ. ოვანესოვს.

ამხ. ოვანესოვი. საბჭოთა ხელისუფლება პრინციპიალურათ ომის წინააღმდეგია. მიუხედავად ამისა, ჩვენ საჭიროთ მიგვაჩნია ჯარის შექმნა. რატომ? იმიტომ, რომ ჩვენ გველის საფრთხე კაპიტალისტურ სახელმწიფოებიდან. აჭარისტანში იყვნენ კაპიტალისტების ჯარები და ჩვენი ხალხი ყველაზე უკეთ იცნობს მათ. ეს ჯარები წითელმა არმიამ გარეკა.

ეხლა მთელ ქვეყანაზე ასე ისმის საკითხი: ან ბურჟუაზია უნდა დარჩეს ბატონ-პატრონათ, ან მუშა და გლეხი.

ამიტომ შესაძლებელია იქნეს ომი. გამარჯვება იმას დარ-



ჩება ვინც ძლიერი იქნება. ამ მომენტისათვის უნდა ვემზადოთ საჭიროა ხალხის შეიარაღება, სამხედრო ცოდნის შესწავლა. ამისათვის საღვთისო საშუალებაა ტერიტორიალური სამილიციო სისტემა. ჩვენ უნდა შევქმნათ აჭარისტანის აზასეული.

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის ამხ. აცამბას.

ამხ. აცამბა. (ღაჯაჩაიკობს თათრულათ).

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის ამხ. ზოიძეს.

ამხ. ზოიძე. ამხანაგებო, ამხ. ჟღენტმა ჩვენ აგვისნა თუ რა არის ტერიტორიალური ჯარი. ჩვენ გავიგეთ, რომ ჯარში ვიქნებით, ვიმეცადინებთ, მაგრამ ამავე დროს სახლ-კარს არ მოგვაშორებენ და ოჯახებს არ ვტოვებთ.

ჩვენ ამას ძალით არ გვახოვენ თავზე, არამედ გვეუბნებიან: გადასწყვიტეთ როგორც გინდათ, თუ საჭიროა შევქმნათ ჯარი თუ არა და ნუ შევქმნიათ.

ამხანაგებო, ჩვენი ახალგაზრდობა ამბობს, რატომ არის ჯარი, ჩვენ გვინდა სამხედრო საქმის ცოდნაო. ასე ფიქრობს ახალგაზრდობა.

ჩვენ ყოველ წლის თავზე გვიხსნიან თუ რა არის ომი, ან რისთვის იწყება იგი. ოსმალეთში ომი იყო, ვინ დაიხოცა? ხოჯები და მოლები ჯამეში ისხდნენ და ომში ფუხარა ხალხი წყდებოდა. როცა ჩვენ ვამბობთ შევქმნათ ჯარო, ჩვენ მუშების და გლეხების გაწყვეტა კი არ გვინდა, ჩვენ თავს დავიცავთ, თუ მტერი შემოგვესია.

აჭარისტანის ახალგაზრდობა გავალთ ჯარში შეგნებულათ, რომ დავიცვათ თავისუფლება (ტაში).

თავმჯდომარე. ამხანაგებო, სიტყვა ეკუთვნის ამხ. ელიაშვილს.

ამხ. ელიაშვილი. ამხანაგებო, წინეთ ძველი მთავრობა ჯარის კაცს 4 წელს აჩერებდა ყაზარმაში, მოსწყვეტდა ოჯახს, სამშობლოს და სხვა მხარეში კარგავდა. ეხლა ყაზარმა თვით მოდის სოფელში, უახლოვდება ხალხს. ჩვენ არ გვინდა ყაზარმული ცხოვრება. ამიტომ ტერნაწილებში ჩაწერილი ახალგაზრდა მხოლოდ 1—2 თვეს ატარებს წელიწადში (4 წლის განმავლობაში) ყაზარმაში, სადაც სწავლობს როგორც სამხედრო საქმეს, ისე წერა-კითხვა. და სხვ. სამხედრო ტექნიკის განვითარება და მომავალ ომის საშინელი ხასიათი ჩვენ გვაძიულებს მთელ ხალხს შევასწავლოთ სამხედრო საქმე, რომ შევიძლოთ თავის დაცვა. ამიტომ, ამხანაგებო, მე-V-ე ყრილობამ უნდა



მიიღოს დადგენილება ტერაზასეულის შექმნის შესახებ და დელეგატებმა ხელი შეუწყო სოფლათ ამ დადგენილების ცხოვრებაში გატარებას.

თავმჯდომარე. ამხანაგებო, სიტყვა ეკუთვნის ამხ. ხუ-
სეინ ღუმბაძეს.

ამხ. ხ. ღუმბაძე. ამხანაგებო, აქ საკითხი დაისვა, რომ ფუხარა ხალხის შვილები გამოვიდნენ აჭარისტანის დასაცავათ. ეს ერთობ სასურველია.

შეიძლება ჩვენი აჭარისტანი ცუდი ადგილი იყოს და სხვას არ მოსწონდეს, მაგრამ ჩვენთვის საყვარელია და ვერა-ვის ვერ გაუცვლით. აქ რუსეთელი ამხანაგები დგანან, მაშინ როცა სახლში ისინი პურს დასთესავდნენ და მოიყვანდნენ. მაგრამ არის ერთი საკითხი. აჭარისტანში ეს პირველი შემთხვევაა. წინეთ რომ ყოფილიყო სამხედრო სამსახური, მივეჩვევოდით და გვეცო-დინებოდა. მთავრობამ ჩვენ ბევრჯერ დაგვაცენა კარგ გზაზე. ასევე უნდა მოიქცენ ეხლა: გვასწავლონ ცალკე, რადგან არ ვიცით და გაგვიჭირდება. ჩვენ წელი მუშაობა გვინდა, სხვებ-თან ვერ ვიმეცადინებთ. შეიძლება ახალგაზრდა გაექცეს სამ-სახურს იმიტომ, რომ გაუჭირდება უცბათ. სურვილი დიდი გვაქვს, მაგრამ სამხედრო საქმეში გამოუცდელი ვართ. იმიტომ დავიწყეთ წელი. თუ ათასეულს ვერ შევქმნით, ნაკლები შევ-ქმნათ. ჩვენ გვყავს პარტიული ამხანაგები, ისინი გავლენ, გა-მოჩნდებიან მსურველებიც და ასე თანდათან შევეჩვევით. ჩე-მის აზრით ამ საქმის მოგვარება მივანდოთ ახალ მეჯლისს. ჩვენ მას ვენდობით და მის ნამუშევარზედ გულწაკლული არ ვართ.

თავმჯდომარე. ამხანაგებო, სიტყვა ეკუთვნის ამხ. სუ-
ლეიმან ლორთქიფანიძეს.

ამხ. ხ. ლორთქიფანიძე. ამხანაგებო, ჩვენ ასე მოუდგეთ საკითხს: გავარჩიოთ ძველი და ახალი ჯარი. ძველი ვიცით რაც იყო. რა არის ახალი? ამხ. ჟღერტმა ასე დაგვიხატა ახალი ჯარი: ეს არის შკოლა. რას აკეთებდნენ ჩვენი ახალგაზრდები? თოფით ხელში უსაქმოთ დახეტილებდნენ. ეხლა ჯარში არის წერა-კითხვის, პოლიტკოდნის და სხვათა შესწავლა. არ არის მართალი, რომ აჭარლები არ გაყავდათ ჯარში. წინეთ ჩვენი შვილები არაბეთში მიყავდათ. ეხლა ჩვენი მიწა-წყალი დავიც-ვათ. შეიძლება სიტყვით, რომ არ გვყავს აფიცრებიო. გვყავს, 11 აჭარელი თბილისში ათავებს სამხედრო სკოლას და ერთ წელში გამოვლენ.



ქართული
ენების
ინსტიტუტი

ჩვენი ახალგაზრდობა, ამხანაგებო, არ არის ნასწავლი რომ უბედურება თავს დაგვატყდეს, უნდა დავიცვათ თავი თუ არა? რასაკვირველია, რუსეთს შეუძლია რამოდენიმე მილიონი ჯარის გამოყანა. ამასთან შედარებით რა არის ათასი კაცი. მაგრამ ადგილობრივი ხალხი სულ სხვაა. რა იცის მოსულმა კაცმა ჩვენი ადამი, ჩვეულებანი.

ჩვენ უნდა ვიცოდეთ სამხედრო საქმე. მართალია, ათასეულს დიდი მნიშვნელობა არ აქვს, მაგრამ ჩვენ შევედევართ საბჭოთა კავშირში, რომლის ახალგაზრდობა სწავლობს, მზადდება და ჩვენ კი არაფერი არ ვიცით. მამა ჩემი 6 წელს იყო ჯარში არაბეთში. მან იცოდა სამხედრო საქმე, ჩვენ არ ვიცით. როცა ინგლისელები მიდიოდნენ ბათომიდან, ჩვენ ესთხოვეთ ჩაგვაბარეთ ძალაუფლებათქო, მაგრამ არ გვქონდა ძალა, არ გვიცნეს და დენიკინელებს ჩააბარეს ბათომი.

ეხლა დრო არის. თუ არ შეგვიძლია, დაგვეხმარებიან. თუ ცუდია, სხვა რესპუბლიკებში რატომ სწავლობენ, თუ არა და ჩვენც უნდა ვისწავლოთ. ჩვენ ახალ მეჯლისის დავავალოთ, რომ ისე მოაწყოს, როგორც საქიროა.

საკითხს იმის შესახებ თუ ვინ გვასწავლის, დიდი მნიშვნელობა არ აქვს. მე დიდი მადლობელი ვარ იმისი ვინც მასწავლა, მიუხედავად იმისა, რუსი, სომეხი თუ ქართველი იყო იგი. სწავლა ყველასაგან შეიძლება. ყოველ შემთხვევაში ჩვენ გვყავს აქარლებიც.

ამრიგათ დეღეგატებმა უნდა სთქვან სოფლებში რაშია საქმე, უნდა აუხსნან ხალხს. თუ არ გვინდა, ძალათ არავინ გაგვაკეთებინებს. მე ვემხრობი ხ. დუმბაძის წინადადებას, რომ მიენდოს ეს საქმე მეჯლისს.

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის ამხ. თაჰსინ ხიმშიაშვილს.

ამხ. თ. ხიმშიაშვილი. აჭარისტანის ტერიტორიალურ ჯარის შედგენის შესახებ სახიოთხი თავის დროზე იყო დასმული ცაკ-ში და სახკომსაბჭოში. ამ საკითხის გარშემო ბევრი ლაპარაკი გვქონდა და გამოვიტანეთ დადგენილება, რომ შეგვედგინა ტერნაწილი.

მაგრამ დადგენილება არ მოვიყვანეთ სისრულეში, რადგან ეს პრინციპიალური და აჭარისტანისთვის ერთობ სერიოზული საკითხი იყო, ხოლო მე-IV-ე ყრილობის დირექტივები ამ საკითხში არ გვქონდა. ამიტომ დავუტადეთ მე-V ყრილო-



ბას, რომელიც ან გააუქმებს ამ დადგენილებას, ანდა ახალ მეჯლისს დირექტივას. ეს მე-V ყრილობის საქმეა.

რა არის ტერნაწილი? ამ საკითხის გარშემო ყველამ ილაპარაკა და უკვე საკმარისად გასაგებია იგი, მაგრამ, რომ გაუგებრობას არ ქონდეს ადგილი, მაინც განვმარტოთ კონკრეტულ მაგალითებით.

დაარსდება ბიურო, რომელიც აღრიცხვაზე აიყვანს 20 წლის ახალგაზრდებს. მეჯლისი გამოარკვევს რამდენია საჭირო ბათალიონი, ათასეული და სხვა. ვინც გაწვეული იქნება, მიეწერება თავის ნაწილს და წავა შინ. წელიწადში ორი თვის განმავლობაში გამოუძახებენ და ასწავლიან ზარბაზნის, თოფის, ტყვიისმფრქვეველის და სხვათა სროლას. ამ ვადის შემდეგ ისევ წავა შინ. ეს იგივე ჯარია, მაგრამ ყაზარმის ცხოვრება არ არის. მუდმივი ჯარი ასეთია: 2-3-4 წელს ყაზარმაში და სხვა ქვეყნებშია. ტერნაწილი კი ადგილობრივად მხოლოდ ორი თვე იქნება ყაზარმაში. ყაზარმაში ყოფნის დროს მიეცემათ ტანსაცმელი, საქმელი და სასმელი. მეცადინეობის დასრულების შემდეგ დასტოვებს ყველაფერს და წავა სახლში.

საჭიროების დროს ტერნაწილი უტბათ ადგება, მიიღებს იარაღს და ყველა მზათ არის საომრათ. დიდი ომის დროს მუდმივი ჯარი ფრონტზე წავა. ტერნაწილები კი დარჩებიან ადგილებზე წესრიგის დასაცავათ. შემდეგ, თუ საჭირო იქნება, ისინიც გაიგზავნიებიან.

ჩემის აზრით ეს საკითხი გამოარკვეულია, რადგან არც ერთ დელეგატს სხვა აზრი არ გამოუთქვამს. ალბათ ყრილობა გამოიტანს სათანადო დადგენილებას და მოგვცემს სათანადო დირექტივებს.

თავჯდომარე. სიტვა ეკუთვნის ამხ. თ. ჟღენტს.

ამხ თ. ჟღენტი. ამხანაგებო, მე მოკლეთ მოგახსენებთ ზოგ საკითხებზე. გაწვეული იქნებიან მხოლოდ 20-21 წლიანები. შემეკითხენ საქმელის შესახებ. ადგილობრივ ჯარებში საქმელი ისეთი გაკეთდება, როგორც ადგილობრივი ზნე-ჩვეულება ითხოვს.

რაც შეეხება ჯარის რაოდენობას, ეს ჯერ გამოურკვევლია. აპარისტანში ჯერ აღრიცხვაც არ ყოფილა და ჩვენ არ ვიცით რამდენია ოცწლიანები. შეიძლება იმდენი აღმოჩნდეს, რომ ტერნაწილი ვერც კი დაიტევს.

აქვე უნდა აღვნიშნოთ შემდეგი. საქმე მარტო თოფს



როდი შეეხება. აქ პოლიტიკური ცოდნაა. საქართველოს დი-
ვიზია ათასობით წერა-კითხვის მცოდნეს უშვებს ყოველ წელს
ბით სახლში.

შემდეგ, მეკითხებიან: ბურჟუას გაწვევა თუ იქნებაო.

ამხანაგებო, ჩვენი ჯარი კლასიურია. ღარიბებია გაბატო-
ნებული და მდიდარს იარაღს ვერ ვანდობთ. ამაზე დიდი კა-
მათი იყო. მდიდრები უნდა შემოვიდნენ და აგვირიონ, მაგრამ
მათ ვერ მივსცემთ ზარბაზნებს ხელში. ქარის არც შემოტა-
ნილი გვინდა და არც გატანილი. ომის დროს კი უშოვნით
მათ საქმეს: თხრილებს ვათხრევენებთ, ბარგს ვათხრევენებთ და
სხვა შავ სამუშაოს გაუაკეთებინებთ.

როცა ასეთ ჯარს შევადგენთ, როცა ყველას ექნება
ცოდნა, მაშინ შეგვეძლება თავის დაცვა. მით უფრო საჭიროა
ასეთი საყოველთაო ცოდნა ჩვენს დროში, როცა გარკვეული
ფრონტი არ არის. პეროპლანი აგერ ჩამოფრინდება პოზიციის
უკან და დაიწყებს შეტევას, ამიტომ მზათ უნდა ვიყოთ. ჩვენ
თავს არავის ვესხმით, მაგრამ მტერს უნდა ვაჩვენოთ თუ რო-
გორი თავდაცვა შეგვიძლია.

თავმჯდომარე. ამხანაგებო, კამათი დასრულდა, ვისაც
გაქვთ რეზოლიუცია, გთხოვთ წარმოადგინოთ.

სიტყვა რეზოლიუციის გამოსაქვეყნებლათ ეკუთვნის ამხ.
რ. გარაყანიძეს.

ამხ. გრ. გარაყანიძე. ამხანაგებო, შემომაქვს შემდეგი
შინაარსის რეზოლიუცია:

„სრულიად აქარისტანის საბჭოთა მეზუთე ყრილობამ,
მოისმინა რა ამხ. ვოენროსის თ. ჟღენტის მოხსენებები ტერი-
ტორიალურ ნაწილების შესახებ აღნიშნავს, რომ ტერიტორი-
ალურ-სამილიცია აღმშენებლობა, რომელიც ფართოდ ტარ-
დება საბჭოთა რესპუბლიკების მთელ კავშირში, არის მშრო-
მელი ხალხის საუკეთესო მოსამზადებელი ფორმა საბჭოთა
რესპუბლიკების თავდაცვისათვის. მეზუთე ყრილობა სიამოვნე-
ბით ეგებება ამიერ-კავკასიაში ნაციონალურ-ტერიტორიალურ
ნაწილების შედგენის საქმეს, და აღნიშნავს რა ნაციონალურ-
ტერიტორიალურ აღმშენებლობის გაძლიერებას, საჭიროთ
სთვლის აქარისტანის მშრომელთა ჩაბმას ტერიტორიალურ
სამილიცია აღმშენებლობის საქმეში აქარისტანის ნაციონა-
ლურ ტერიტორიალურ ნაწილების შექმნით“.

თავმჯდომარე. ამხანაგებო, ვინც რეზოლიუციის მომ-



ხრე ხართ, გთხოვთ ასწიოთ ხელი. რეზოლიუცია ერთხმით მიღებულიათ.

ამხანაგებო, ვაქრობა-მრეწველობის შესახებ მოხსენებისათვის სიტყვა ეკუთვნის ამხ. ჯემალ ქიქავას.

ამხ. ჯ. ქიქავა. ამხანაგებო, 1921 წელს, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე მოხდა აჭარისტანში არსებულ სამრეწველო დაწესებულებათა ნაციონალიზაცია. მთელი ქარხნები გადავიდა სახელმწიფოს ხელში: ჯერ ს. მ. უ. ს. და შემდეგ კომმუნურნეობის გამგებლობაში.

მაგრამ 1921 და 1922 წლები ხელისუფლების პოლიტიკურ განმტკიცებას მოუწია და აღმშენებლობაზე არავინ ფიქრობდა. ამ ხანებში ქარხნები ხან მუშაობდნენ, ხან უსაქმოო იყვნენ.

1923 წელში მშვიდობიან მუშაობაზე გადასვლა დაიწყო, მაგრამ ჩვენი ვაქრობა-მრეწველობამ მაინც ვერ გაშალა ფრთები. ამის მიზეზი იყო მისი არა ნორმალური ორგანიზაცია. კომუნალური მეურნეობას, რომელიც უპირველეს ყოვლისა უნდა ქალაქის მეურნეობას პატრონობდეს, არ შეეძლო მრეწველობის აღდგენა.

ვაქრობა-მრეწველობის განვითარების ხანათ ითვლება 1924 წელი. ამ წელში, სახკომსაბჭოს დადგენილებით, დაარსდა აჭარპრომტორგი, რომელსაც გადაეცა ყველა ქარხნები და ვაქრობის მონოპოლია. აჭარპრომტორგმა, რომელსაც არავითარი საწარმოვო თანხები არ ქონდა და არც არავისგან არ მიუღია დახმარება, გარდა 20.000 მან, რომელიც სახკომსაბჭომ მისცა საორგანიზაციოთ, შესძლო მრეწველობის თანამედროვე მდგომარეობამდე მოყვანა. ქარხნების უმრავლესობა მუშაობდნენ და არა თუ თავს ინახავდნენ, არამედ მოგებასაც სტოვებდნენ.

გამონაკლისის შეადგენს ბიღონის მრეწველობა, რომელიც ამდენხანს გაჩერებულია. მაგრამ ამის მიზეზები აჭარპრომტორგის შესაძლებლობის გარეშე იყო. აჭარისტანის სახკომსაბჭოს მიერ გადადგმულ ნაბიჯებით ეს საკითხი მოგვარებულია. აჭარპრომტორგმა დასდო ხელშეკრულება ნავთსინდიკატთან და ზაგვოსტორგთან ბიღონების დამზადების შესახებ და მოკლე ხანში, როგორც კი ინგლისიდან გამოწერილ მასალებს მივიღებთ, ავამუშავებთ ბიღონის ქარხნებსაც.

მიუხედავად იმისა, რომ აჭარპრომტორგის დაარსება, ე. ი.



ვაჭრობა-მრეწველობის გამოყოფა ცალკე ორგანიზაციად ერთად-ერთი სწორი ხაზი იყო აჭარისტანში ვაჭრობა-მრეწველობის გასანვითარებლათ, მაინც იყო ერთი დეფექტი, რომელიც აუცილებლათ ხელს უშლიდა საქმის განვითარებას. ეს იყო სახსრების აღრევა, ე. ი. ამა თუ იმ წარმოების, ან სავაჭრო განყოფილების და მრეწველობის თანხების ერთი მეორეში არევა. ამან გამოიწვია აჭარპრომტორგის რეორგანიზაცია, რომლის საჭიროება გამოიჩინა პრაქტიკულ მუშაობის დროს. სახკოსდაბჭოს და ეკონომსაბჭოს დადგენილებით აჭარპრომტორგმა ეხლა ასეთი ფორმა მიიღო:

აჭარპრომტორგის ცალკე განყოფილებებს მიეცა ავტონომიური მუშაობის უფლება საკუთარ ბალანსით და სხვა განკ. კომმერციულ დამოკიდებულების დამყარებით. ასე დაარსდა „აქარტყე“, „აქარლითონი“, „აქართამბაქო“, „აქარქიმი“, „აქარტორგი“ და სხვა.

ამ ორგანიზაციებს აქვთ საკუთარი ბალანსი, რომელიც ბოლოს აჭარპრომტორგის საერთო ბალანსში შედის. აჭარპრომტორგი აწარმოებს მათ საერთო ხელმძღვანელობას. ამ რიგათ ლითონის მრეწველობის კაპიტალი ვაჭრობას არ მონაზრდება და ლითონის დასამუშავებელ ქარხნებს საშუალება მიეცემათ განავითარონ თავის საქმე.

დაბოლოს უნდა აღვნიშნოთ, რომ აჭარისტანის მრეწველობის აღდგენა არსებულ პირობებში ძნელია, თუ არ მიეცა აჭარპრომტორგს ფინანსიური დახმარება. უკაპიტალოთ შეუძლებელია მრეწველობის განვითარება.

თავმჯდომარე. ამხანაგებო, სიტყვა ეკუთვნის ამხ. რიზა ხოზრევანიძეს.

ამხ. რ. ხოზრევანიძე. ამხანაგებო, აქ ჩვენ აჭარპრომტორგის გამგემ, ამხ. ქიქავამ გაგვიცეთა მოხსენება, თუ რა გაკეთებულა ერთი წლის განმავლობაში. იმ პირობებში, რაც ამხანაგმა განგვიმარტა ბევრი გაკეთებულა. მაგრამ არ შემიძლია არ აღვნიშნო ორი რამ. ამხანაგებო, მოგვხსენებთ ხულოს მაზრაში აჭარპრომტორგს აქვს გახსნილი განყოფილება. 1924 წლის განმავლობაში ტყეები იჩეხებოდა გლეხების მიერ ისე უთავბოლოდ, რომ ეს ასე 25 წლის განმავლობაში გაგრძელდეს, ჩვენ სრულიად უტყევოთ დავრჩებით და ამას აჭარპრომტორგის განყოფილება ცოტა ყურადღებას აქცევს. მასთან განყოფილება ღებულობს ისეთ საქონელს, რომელსაც სრულებით არ საჭიროებს აჭარელი გლეხობა და ამის გამო



გლახობა ძალაუფლებურად ისე უყურებს აქარპრომტორგის განყოფილებას, როგორც კერძო დუქანს. მაგალითად განყოფილებამ აიღო მონაბოლია და თუ მათთან არ გატარდა, ისე გლახი ტყეს სხვაგან ვერ გაყიდის და იქ კი გლახს მიტანა არ უნდა მისი ნამუშევარი ხე-ტყის, რადგან მაშინვე არ უნალდებენ, ხშირად თვეობითაც ალოდინებენ, ხოლო ფულის ანგარიშში მათგან საქონელის ყიდვა არ უნდა გლახს, რადგან საქონელი იქ 20 პროცენტით მეტი ღირს. ამის ირგვლივ საქმის გამოსარკვევად და საჭირო განკარგულების მოსახდენად მრავალჯერ მიემართეთ აქარპრომტორგს, მაგრამ დღემდეც არ მიგვიღია არავითარი პასუხი. შემდეგ ნავთის საქმე. განზრახული აქვთ საჭირო საწყობის გახსნა, რომ ნავთის დიდი მარაგი იქნეს გლახებისთვის მუდმივად, რაც კოლპერატივებს დღემდისაც არ აქვთ. ეს უნდა ჩაითვალოს დიდ მიღწევად, თუ ასეთი საწყობი გაგვეხსნება მაზრაში.

თავმჯდომარე. ამხანაგებო, მომხსენებელი უპასუხებს შეკითხვებზე, რადგან სიტყვა არავის უნდა.

ამხ. ჯ. ქიქავა. ამხანაგებო, გიპასუხებთ შემდეგ შეკითხვებზე:

1-ლი შეკითხვა: რატომ არ იყვანს აქარპრომტორგი მუშებთან აქარლებს?

პასუხი: აქარპრომტორგს სჭირდება უმთავრესათ კვალიფიციური მუშები, თუკი ასეთები მოიპოვებიან, აქარპრომტორგი პირველ რიგში იღებს აქარლებს.

მე-2 შეკითხვა: თუთუნს თუ ყიდულობთ?


პასუხი: ვყიდულობთ, ბე დარიგებულია, უგზობის გამო ამდენხანს ვერ ჩამოვზიდეთ. ეხლა გაგზავნილია კაცი ქედაში თუთუნის შესასყიდად და ჩამოსატანად.

მე-3 შეკითხვა: როგორ არის ლიტოგრაფიის საქმე, რომელიც თბილისიდან უნდა დაებრუნებიათ?

პასუხი: ამის შესახებ გვქონდა მოლაპარაკება თბილისთან. ამხ. ჟოჟიკიაშვილი დაგვპირდა, მაგრამ მანქანა ჯერ არ დაუბრუნებიათ.

მე-4 შეკითხვა: ტყის ფული თუ მიიღო გლახებმა?

პასუხი: ტყის ფული ყველას მიღებული აქვს. ამხ. ხოზრევანიძემ აღნიშნა, რომ ფულს უგვიანებენო. ასეთ შემთხვევას ადგილი არ ჰქონია.



მე-5 შეკითხვა: თუ გაქვთ გატარებული ნაციონალური ზეპირი გამოკვლევა?

პასუხი: არის ისეთი დარგები, სადაც ვერ გავატარეთ. რუსეთთან მიწერ-მოწერის დროს გვჭირდება რუსული ენა.

მე-6 შეკითხვა: როდის გაიხსნება ბიდონის ქარხანა?

პასუხი: ორი თვის განმავლობაში გაიხსნება. დანაკვეთი ნავთსინდიკატიდან გვაქვს მიღებული ამუშავდება ჯერ-ჯერობით ყოფ. ხაჩატურიანის ქარხანა, სადაც იმუშავენ 80 კაცი.

თავმჯდომარე. ამხანაგებო, ვის აქვს რეზოლიუცია.

ამხ. გრ. გარაყანიძე. ნება მომეცით მოგახსენოთ რეზოლიუციის პროექტი:

„აჭარისტანის საბჭოთა მე-V ყრილობამ, მოისმინა რა ამხ. ჯემალ ქიქავას მოხსენება, აჭარისტანის ვაჭრობა-მრეწველობის მდგომარეობის შესახებ, აღნიშნავს, რომ მე-IV ყრილობის დადგენილებები ამ დარგში განხორციელებულია და ვაჭრობა-მრეწველობის საქმე აჭარპრომტორგის სახით ვითარდება.“

მე-V ყრილობა წინადადებას აძლევს მეჯლისს ამ დარგში უფრო გააძლიეროს მუშაობა, რადგან აჭარისტანი ვაჭრობა-მრეწველობის ქვეყანაა და მისი გეოგრაფიული მდგომარეობა ამისათვის საუკეთესო პირობებს ქმნის.

ყრილობა მწუხარებით აღნიშნავს, რომ აჭარპრომტორგს არსაიდან არავითარი ფინანსიური დახმარება არ მიუღია. მომავალ მუშაობისათვის ვაჭრობა-მრეწველობის გასანვითარებლათ ყრილობა საჭიროთ სცნობს, მიეცეს აჭარპრომტორგს ფინანსიური დახმარება სუბსიდიის სახით.

ყრილობა საჭიროთ სცნობს უმთავრესი ყუთადლება მიექცეს: 1. ლითონის და ნავთის მრეწველობის განვითარებას, 2. სატყეო და სამთომადნო მრეწველობის შექმნას და განსაკუთრებით სპილენძის და ალიუმინიის მადნის დამუშავებას, 3. ქიმიურ და თეთუნის მრეწველობის გაფართოებას.

ყრილობა საჭიროდ სცნობს, რომ ნედლი მასალები, რომლებიც სჭირდება აჭარპრომტორგის ქარხნებს, შეძლებისდაგვარათ დამზადდეს აჭარისტანში. მიღებულ იქნას ზომები აჭარპრომტორგის ქარხნების და სოფლის მეურნეობის ნაწარმოების გასანაღდებლათ.

რადგან აჭარისტანის ქალაქებს და სოფლებს შორის სატრანსპორტო საქმე სუსტათ არის დაყენებული, მიღებული იქნას ზომები მის გასაუმჯობესებლათ ადგილობრივ სატრანსპორტო საშუალებების შექმნით.



მიღებულ იქნას ზომები, რომ აქარპრომტორგმა და მრეწველობის საქმეში ჩააბას აქარლები და მუშათა კადრი.

მეხუთე ყრილობა აღნიშნავს, რომ ვაჭრობა-მრეწველობის, კოოპერაციის და სასოფლო მეურნეობის განმტკიცებას და გაღრმავებას დიდათ უშლის ხელს კონტრაბანდის გაძლიერება. ყრილობა ამ მოვლენას სთვლის ეკონომიურ კონტრ-რევოლიუციად.

ყრილობა ავალებს ახალ მეჯლისის ვაჭრობა-მრეწველობის და სასოფლო-მეურნეობის აღორძინებისათვის, ერთის მხრით ეკონომიურ ღონისძიებათა და მეორეს მხრით, სასტიკ ადმინისტრაციულ ზომების მიღებას კონტრაბანდის წინააღმდეგ.

თავმჯდომარე. ამხანაგებო, ვინც მომხრეა რეზოლიუციის, გთხოვთ ასწიოთ ხელი. რეზოლიუცია ერთხმათ მიღებულია. ამხანაგებო, აქარისტანის საბჭოთა მე-V ყრილობას მიესალმება აფხაზეთის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. ნ. ლაკობა.

ამხ. ნ. ლაკობა. მე ბედნიერება მელირსა გადმოვცე აქარისტანის საბჭოთა მე-V ყრილობას აფხაზეთის ხალხის სალამი.

ამხანაგებო, აფხაზეთის ძლიერ აინტერესებს აქარისტანის მდგომარეობა. ეს ინტერესი არ არის გამოწვეული შურით, არამედ იმით, რომ ჩვენც ისეთი ვარა, როგორც აქარლები. ჩვენც გამოვსცადეთ მეფის და მენშევიკების დრო, როცა ერთგვარათ ვიტანჯებოდით. ამან დაგვაახლოვა. ამიტომ არ შეიძლება ერთმანეთის ბედი არ გვაინტერესებდეს. ჩვენ მოხარული ვართ, რომ აქარისტანი ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა ფედერაციის წევრია და ამ ფედერაციაში პატივისცემა დაიმსახურა. უკანასკნელმა აგვისტოს ამბებმა დაამტკიცა თუ ვისთან არის აქარისტანი. პოლიტიკური ეკზამენი, რომელიც მან დაიჭირა, უფლებას აძლევს საბჭოთა ხელისუფლებას ენდოს აქარისტანს. მეტი დამტკიცება არ არის საჭირო.

აქარისტანმა საბჭოთა ხელისუფლება მიიღო არა ფორმალურათ, იძულებით, არამედ იგი თვითონ აღდგენს რევოლიუციონურ წესრიგს, სპობს შინაურ მტრებს. აქარელმა გლეხმა სთქვა, რომ მას არ უნდა ბეგების ხელში ყოფნა. ეს იმის დამტკიცებელია, რომ აქარისტანი არა სიტყვით, არამედ საქმით არის საბჭოთა ოჯახის წევრი და თუ საჭირო იქნება იარაღით დაიცავს მას.



არ შეიძლება ყურადღება არ მივაქციოთ ეროვნულ საკითხს. ამდენხანს ჩვენ, პატარა ერებს, გვატანჯავდნენ. ეხლა ჩვენ ვხედავთ თუ როგორ უნდა ეროვნულ თავისუფლების განხორციელება. თქვენ ყრილობაზეც დღეს თავმჯდომარეობს აფხაზი, ამხ. აბდია, ათეულ აფხაზის წარმომადგენელი აჭარისტანში. იმიტომ კი არა, რომ მე აფხაზი ვარ და გამეხარდა აფხაზის თავმჯდომარეობა, არა, თქვენ საკითხს სწევით სწორათ. ისე ყურადღებით ეპყრობით სხვა ერებს, რომ უფლება გაქვთ უფრო დიდმა ერმა ასევე მოგეპყრან თქვენც. თქვენი გამარჯვება ჩვენ გვახარებს, თქვენი შეცდომა ჩვენთვისაც ცუდია. თუ აჭარელი წინ მიიწევს, ჩვენც წინ მივალთ.

აჭარისტანში კულტურულ და საბჭოთა აღშენებლობის საკითხების გადაჭრა და მოგვარება უფრო რთულია, უფრო ძნელია ვიდრე აფხაზეთში. მაგრამ აჭარისტანში უკეთ არის დაყენებული საქმე და კარგათ ტარდება საბჭოთა პოლიტიკა სოფლათ, რადგან სწორი ხ.ზი აიღეთ და ამ ხაზის გამტარებლათ გყავი საუკეთესო ხელმძღვანელი ამხ. ხიმშიაშვილის სახით.

მე მინდოდა ერთი სურვილი გამომეთქვა, რომ აჭარელმა გლეხმა, რომელიც ბატონ-პატრონი გახდა სოფლად, ასევე იგრძნოს თავი ქალაქშიც, ბათომში. მომავლის საქმეა, რომ აჭარელმა გლეხმა სთქვას: ბათომში არა მარტო ფირმაა ჩემი, სახელიც ჩემია და გასაღებიც ჯიბეში მაქვსო. აჭარელმა ქალაქში უნდა იგრძნოს თავი პატრონათ. ამისათვის მას უნდა დაეხმაროს, ინიციატივა უნდა აიღოს ბათომის პროლეტარიატმა, რომელსაც აქვს დიდი რევოლუციონური სტაჟი. ეს იქნება საუკეთესო კავშირი მუშებსა და გლეხებს შორის.

საიდუმლოება არ არის, რომ ჩვენ, აფხაზეთი და აჭარისტანი ღარიბნი ვართ. ბეგები და მდიდრები იპარავდნენ განათლებას. აფხაზი გლეხი ამზობდა: არ გვინდა განათლება, არ გავვზავნიო სკოლაში ბავშვებს, რადგან ნასწავლ აფხაზმა მიატოვა აფხაზეთიო. იმიტომ არ უნდოდა სწავლა გლეხებს. ასევე იქნებოდა აჭარისტანშიც. ეხლა, როცა კულტურის კარები ღიაა, ეხლა საჭირო ძალები უნდა გამოვიდეს აჭარის ხალხიდან. ამ ძალებს უკვე იძლევა ხალხი და ეს გვახარებს ჩვენ.

მაშ გაუმარჯოს, ამხანაგებო, აჭარისტანის მშრომელთა გამოცდილ ბეოდას ამხ. თ. ხიმშიაშვილს!

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას, რომლის ბრძნული



პოლიტიკა ინახავს პატარა ერებს—აჭარისტან და აფხაზეთს.
გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის მშრომელთა ბელადს აშხ. ს. ორჯონიკიძეს, რომელიც ასეთი გრძნობით ეპყრობა ყველა ერებს!

თავმჯდომარე. ამხანაგებო, აშხ. ლაკობას სიტყვას რუსულიდან ქართულათ გადმოთარგმნის აშხ. ჯ. ქიქავა.

აშხ. ჯ. ქიქავა. (თარგმნის 'სემოთხოველნი სიტყვას').

თავმჯდომარე ამხანაგებო, საპასუხო სიტყვას ვაძლევ აშხ. მემედ გოგიბერიძეს.

აშხ. მ. გოგიბერიძე. ამხანაგებო, ჩვენ მოგვესალმა აფხაზეთის ხალხის წარმომადგენელი. ამხანაგებო, აფხაზეთი ისეთივე დამონებული იყო, როგორც აჭარისტანი, მაგრამ აფხაზეთის მშრომელთა ბელადის აშხ. ნ. ლაკობას მეთაურობით დღეს აფხაზეთიც აჭარისტანივით თავისუფალია.

გაუმარჯოს აფხაზეთის მშრომელ ხალხს და მის ბელადს აშხ. ლაკობას.

თავმჯდომარე. ამხანაგებო, აჭარისტანის საბჭოთა მე-V ყრილობის მეხუთე სხდომას დახურულათ ვაცხადებ.

მ ე მ ქ ვ ს ე ს ხ დ ო მ ა .

აჭარისტანის საბჭოთა მე-V ყრილობის მეექვსე სხდომა შესდგა 27 მარტს, დილით, პარტკლუბში, აშხ. ვ. სურგულაძის თავმჯდომარეობით.

თავმჯდომარე. ამხანაგებო, აჭარისტანის საბჭოთა მე-V ყრილობის მეექვსე სხდომას გახსნილათ ვაცხადებ (ტაში).

სასოფლო მეურნეობის მდგომარეობის შესახებ მოხსენებას გააკეთებს აშხ. სულეიმან ლორთქიფანიძე.

აშხ. ს. ლორთქიფანიძე. ამხანაგებო, სასოფლო-მეურნეობის განვითარებისათვის საჭიროა, რომ გლეხის ნამუშევარს ქონდეს ბაზარი. თუ სოფლის პროდუქცია სალდება, გლეხობა დაინტერესებულია უკეთ მოაწყოს მეურნეობა, მეტი ადგილი დაამუშაოს. ამ შემთხვევაში სასოფლო-მეურნეობა თანდათან იღებს სამრეწველო ხასიათს.

ჩვენში ამდენანს ეს საკითხი მოუგვარებელი იყო. სასოფლო მეურნეობის ნაწარმოებს ფასი არ ქონდა ბაზარზე და ამი-



ტომ გლეხობა სთესავდა და მოყავდა იმდენი ქირნახული, რამდენიც მას სჭირდებოდა ოჯახში და ისეთ კულტურას აწეობდა, რომლის გამოყენება შეუძლია საკუთარ სახლში.

ასეთი მდგომარეობა გრძელდებოდა 1924 წლამდე. ამ წელში კოოპერაციამ, გლეხკომებმა, აქარპრომტორგმა და წარმოკავშირმა გადადგეს ფრიად მნიშვნელოვანი ნაბიჯი სასოფლო-მეურნეობის შესყიდვის და შორეულ ბაზრებზე რეალიზაციის საქმეში. რასაკვირველია, პირველ წელში ამ საკითხის არა თუ ამოწურვა, არამედ ოპერაციების საკმაოდ გაშლაც არ შეიძლება. მაგრამ ამან დაანახა გლეხობას, რომ მის ნაწარმოებს, ნაშრომს გასავალი აქვს, ბაზარი უჩნდება და მაშასადამე საჭიროა სოფლის მეურნეობის გაფართოება.

ეს არის ერთად-ერთი სწორი ხაზი სასოფლო-მეურნეობის გასანვითარებლათ. ამ ხაზის ცხოვრებაში გასატარებლათ საჭიროა მრავალგვარი ღონისძიებანი, რომლის უმთავრეს ადგილებზე შევჩერდებით.

მაშასადამე ბაზრის მოძებნით, პროდუქციის განაღდებით, სოფლად ჩნდება მეურნეობის, მცენარეთა სხვა და სხვა კულტურის გაშრავლების, მოშენების სურვილი. ამ შემთხვევაში გლეხს უნდა დახმარება. სახელმწიფომ გლეხს უნდა მიაწოდოს თესლეები და ნერგები იმ მცენარეთა, რომელსაც მეტი სარგებლობის მოტანა შეუძლია, რომელიც უფრო შეეფერება კლიმატიურ პირობებში ამა თუ იმ რაიონს. გლეხს უნდა მისცე თესლი და ნერგები, უნდა მისცე საქონლის მოსაშენებლათ ჩვენ ჰავას შეჩვეული საუკეთესო ჯიშის ძროხები და სხვა.

ეს აგრონომიულ პუნქტების საცდელ მიწდრების, სარძევე ფერმების, საჩვენებელ საფუტკრეების და სხვა ამგვარ დაწესებულებათა მოვალეობაა.

რა მდგომარეობაშია ეს პუნქტები?

არსებითად მათი მუშაობას მხოლოდ 1924 წელში მიეცა გარკვეული ხასიათი. მაგრამ ერთი წელი მცირე ხანია იმისათვის, რომ აგრონომიულ პუნქტებმა შესძლონ სათანადო დახმარების აღმოჩენა. მომავალში ამ დარგში უნდა გაძლიერდეს მუშაობა, რომ აგრონომიულ პუნქტებმა შესძლონ გლეხობის მოთხოვნილების დაკმაყოფილება.

მაგრამ საკმარისი როდია მარტო ნერგების, თესლების, ხბოების დი სხვათა მიცემა. გლეხობას უნდა ასწავლო კიდევ



მათი მოვლა-მოშენება, პატრონობა, ექსპლოატაცია და მინდვრების და ფერმების ქსელის გაფართოებამ უნდა საშვალეობა მისცეს გლეხობას შეისწავლოს ამა თუ იმ მცენარის მოვლა, ძროხის პატრონობა, რომ მცირე და რაციონალურად დაყენებულმა შრომამ მისცეს მას მეტი შემოსავალი.

არის კიდევ ერთი უდიდესი საჭიროების დახმარება. რამდენი წერტილი და თესლი არ უნდა მისცე გლეხს, იგი ვერ გააუმჯობესებს თავის მეურნეობას, თუ მატერიალური დახმარება არ აღმოეჩინა. კულტურული მეურნეობა ისეთია, რომ პირველ წლებში რაც უნდა ბევრი გააშენო, შემოსავალს არ იძლევა, ხოლო შემდეგ თანდათან დიდდება შემოსავალი. ამ პირველ წლებში საგლეხო მეურნეობას უნდა ფინანსიური დახმარება. მაშასადამე თუ ჩვენ გვინდა სასოფლო მეურნეობის აყვავება, სხვა ზემოთ დასახელებულ ღონისძიებასთან ერთად უნდა მივსცეთ სოფელს მიზნობრივი კრედიტი საკრედიტო კოოპერატიულ ამხანაგობების საშუალებით. ამ დარგში ჯერ ცოტაა გაკეთებული და ამას უნდა მიექცეს დიდი ყურადღება მომავალში.

რა მდგომარეობაშია ამ ქამად აქარისტანის სასოფლო-მეურნეობის საქმე?

გლეხობამ გარკვეულათ მიიღო საბჭოთა ხელისუფლების შეხედულება ინტენსიურ მეურნეობაზე გადასვლის შესახებ და გადადგა ნაბიჯი ამ მხრით. გასული წელი ამ მუშაობის დასაწყისათ უნდა ჩაითვალოს. საჭირო ღონისძიებათა მიღებით შესაძლებელი გახდება ჩვენ სოფლის ინტენსიურ მეურნეობაზე გადაყვანა.

თავმჯდომარე. ამხანაგებო, შემოვიდა შეკითხვები, რომელზედაც მომხსენებელი გასცემს პასუხს.

ამხ. ს. ლორთქიფანიძე. ამხანაგებო, მე ვუპასუხებ შეკითხვებზე.

შეკითხვა: რამდენათ დაახლოვებულია სამეურნეო ბანკი სოფლის მეურნეობასთან?

პასუხი: სამეურნეო ბანკის დანიშნულებაა სოფლის მეურნეობის დახმარება.

შეკითხვა: არის თუ არა ზომები მიღებული, რომ გლეხობას იაფ ფასებში დაეთმოს მანდარინის წერტები?

პასუხი: ამ მიზნით ვაარსებთ მაზრებში სამეურნეო კავშირებს.



ამხანაგებო, აქ კიდევ არის შეკითხვები, რომლებიც შეეხება მიწათ-მოქმედების სახკომატის მოქმედებას. მე მთავრდება გავეკეთე სასოფლო-მეურნეობის მდგომარეობის შესახებ აჭარისტანში. მიწათ-მოქმედების სახკომატის ანგარიში არ დგას ყრილობის დღის წესრიგში, ამიტომ ამ კითხვებზე მე არ ვუპასუხებ.

თავმჯდომარე. ამხანაგებო, სიტყვა ვის სურს მოხსენების გამო? არავის. ვისაც რეზოლიუცია აქვს ამ საკითხზე წარმოადგინოს პრეზიდიუმში.

ამხ. გრ. გარაყანაძე. მე ვარდენ რეზოლიუციის ასეთ პროექტს:

„სრულიად აჭარისტანის საბჭოთა მე-5 ყრილობამ, მოისმინა რა ამხ. ს. ლორთქიფანიძის მოხსენება აჭარისტანის სასოფლო მეურნეობის მდგომარეობის შესახებ, სცნობს, რომ სასოფლო მეურნეობის აღორძინებისათვის ჩატარებული მუშაობა სრულიად შეეფერება მე-4 ყრილობის მიერ მიღებულ დადგენილებებს. ყრილობა საჭიროთ სცნობს მომავალში შემდეგ ღონისძიებათა მიღებას.

უაღრესი ყურადღება მიექცეს:

1. აგრონომიულ პუნქტების ქსელის გაფართოებას.
2. სამელიორაციო მუშაობის გაგრძელებას, სარწყავ არხების გაყვანას და ქაობების ამოშრობას.
3. საკრედიტო კოოპერატიულ ამხანაგობების გაძლიერებას და გლეხობაზე გრძელვადიან კრედიტების გაცემას.
4. აჭარისტანში წარმოკავშირების — ჩაის, მეთუთუნეთა, მეფუტკრეთა, მესაქონლეთა, ძვირფას ხილეულობის და სხვათა კავშირების დაარსებას და მათ გაძლიერებას.
5. მიწის მოწყობის დარგში დაწყებულ მუშაობის უახლოეს ვადაში დასრულებას.
6. სანამ მიწის მოწყობის საქმე დასრულდებოდეს, მანამდე განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სოფლებს შორის სადაო მიწების, ტყის, წყლის და საძოვარ ადგილების საკითხის მოგვარებას.
7. გლეხობისათვის თავის დროზე თესლების და ნერგების მიწოდებას.
8. სასოფლო-სამეურნეო იარაღებით გლეხობის უზრუნველსაყოფად.
9. ჩატარდეს სახელმწიფო და სახალხო მნიშვნელობის



ტყეების გამოყოფა და დასულ იქნას ტყეების მიზანშეწონილი ექსპლოატაცია.

10. თოვლისაგან დაზარალებული მეურნეობა იქნას აღდგენილი და გაუმჯობესებული.

11. საზოგადო საძოვარ მთების საკითხი იქნას მოგვარებული“.

თავმჯდომარე. ამხანაგებო, რეზოლიუციის მომხრე ვინც არის, გთხოვთ ასწიოთ ხელი. რეზოლიუცია მიღებულია ერთ-ქმათ. დღის წესრიგში დგას მოხსენება საბჭოთა მუშაობის შესახებ, რომელსაც გააკეთებს ამხ. თ. ჟღენტი შემდეგ სხდომაზე, ეხლა კი ნება მომეცით მეექვსე სხდომა დახურულათ გამოვაცხადო.

მ ე შ ე ნ ი დ ე ს ხ დ ო მ ა .

აჭარისტანის საბჭოთა მე-V ყრილობის მეშვიდე სხდომა შესდგა 27 მარტს, საღამოს, პარტკლუბში, ამხ. მ. გოგიბერიძის თავმჯდომარეობით.

თავმჯდომარე. ამხანაგებო, აჭარისტანის საბჭოთა მე-V ყრილობის მეშვიდე სხდომას გახსნილად ვაცხადებ (ტაშა).

საბჭოების მუშაობის შესახებ მოხსენებისათვის სიტყვა ეძლევა ამხ. თ. ჟღენტს.

აწხ. თ. ჟღენტი. ამხანაგებო, დღის წესრიგში დგას საკითხი საბჭოთა მუშაობის შესახებ. ამ საკითხის გასაშუქებლათ ნება მომეცით აღვთხსნო თუ რა არის საბჭო, რა ნაკლი აქვს მის მუშაობას და როგორ უნდა მუშაობდეს მუშათა და გლეხთა საბჭოები სოფლად და ქალაქად.

ჩვენ საბჭოები დაუპირდაპირეთ დამფუძნებელ კრებას. რატომ? ჩვენი პარტია იდგა პროლეტარიატის დიქტატურის ნიადაგზე, ამიტომ უნდა გამოგვეჩახა ისეთი ფორმა ორგანიზაციისა, რომლისათვისაც შეიძლებოდა გადაგვეკასახელომწიფობერივი ძალა-უფლება, რომელიც შესძლებდა პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცებას, კომუნიზმის დამყარებას, რაც მუშათა კლასის უდიდესი და უკანასკნელი პროგრამაა.

პირველ ხანებში საბჭოებს ყველამ ჩაკიდა ხელი, მაგრამ მხოლოდ ჩვენ მივეცით მას კანონმდებლობითი უფლება. მენშევიკების და ესერების საბჭო უუფლებო იყო, მასის თვალის ასახვევათ ყავდათ მოწვეული.



ბოლშევიკურმა პარტიამ ეს ორგანო სახელმწიფოებრივ
ორგანოთ გადააქცია.

ყველა სახელმწიფოს აქვს კონსტიტუცია, მაგრამ არც
ერთ ქვეყანას ასეთი ფორმა არ აქვს. ეს შესძლო მხოლოდ
საბჭოთა ხელისუფლებამ. საბჭოების მუშაობაში აღსანიშნავია
ორი ხანა. რევოლიუციის პირველ წლები, როცა მტერი
აწუხებდა საბჭოთა რესპუბლიკებს და მთელი ყურადღება
ფრონტისაკენ იყო მიქცეული, არ შეიძლება საბჭოების ანორ-
მალურ მუშაობაზე ლაპარაკი. მაშინ, რევკომები, ე. ი. და-
ნიშნული ორგანოები მართავდნენ სახელმწიფოს. რაკი საომარი
ხანა წავიდა და გადავედით მშვიდობიანობის დროში, შესაძ-
ლებელი გახდა რევკომების მაგიერ საბჭოების ნამდვილათ ამუ-
შაგება.

ამ ჟამად ეს საკითხი განსაკუთრებით ძლიერ არის წამოჭ-
რილი. დღეს ჩვენი პარტიის კურსი მიმართულია საბჭოების
მუშაობის გამოცოცხლებისაკენ და მშრომელი მასის მის მუ-
შაობაში ჩაბმისაკენ.

ამას ეძახიან ახალ კურსს საბჭოების მუშაობაში. ძველი
ნაკლი უნდა გამოსწორდეს.

უმთავრესი ნაკლი იყო ის, რომ მდგომარეობა არ გვაძ-
ლევდა საშვალებას ნორმალურათ გვემუშავნა და საბჭოები
უმეგბდნენ შეცდომებს.

მე ზოვიყვან საბჭოთა რესპუბლიკის ზოგ სოფლების მაგა-
ლითს. შეიძლება ამის დაგვარ მოვლენას აქარისტანში ქონდა
ადგილი.

ტომსკის გუბერნიაში—სწერს ამხ. ბელობროდოვი ერთ
სასოფლო ჟურნალში—ერთმა თემის აღმასკომმა გამოაცა სა-
ვალდებულო დადგენილება, რომ გლეხებმა სარეცხი არ გააშ-
რონ სალში, რომ კვირაში იატაკი მორეცხონ 2-ჯერ, კედ-
ლები შეათეთრონ წელიწადში 2-ჯერ და სხვა. ამ სავალდე-
ბულო დადგენილებათა დარღვევისათვის დამნაშავე დაჯარიმე-
ბული იქნება 100 მ.

ერთობ ცუდი აღმასკომი ყოფილა. რათ ესაჭიროებოდა
ასეთი დადგენილება, ან რა მისი საქმე იყო?

მეორე მაგალითი: ჩრდილო-დასავლეთ მხარეში ერთი
სოფელი დააჯარიმა აღმასკომმა, რადგან ქუჩაში მკედარი ძაღ-
ლი ეგდო.

ასეთი შეცდომების ჩამდენი აღმასკომები არ ვარგა. ხალხი
მათ შეცდომებს საბჭოთა ხელისუფლებას აწერს.



გურიაში იყო ასეთი შემთხვევა: ჩოხატაურის მოხატულმა სოფ. სურებში, აღმასკომის თავმჯდომარეს მოპარეს ქათმები. თავმჯდომარემ მთელი კუთხე დააპატიმრა. ბოლოს გამოიკვია, რომ ქათმები თვით თავმჯდომარის რძალს მოეპარა.

ან კიდევ ეკლესია დახურა და მღვდლის სამოსი მიიტვისა. რა გასაკვირია, რომ ამის შემდეგ მთელი სურები ჩვენს წინა-აღმდეგ გამოვიდა აგვისტოში. ხალხს, რა თქმა უნდა, ასეთი მთავრობა არ უნდოდა.

ვინ არის დამნაშავე? საბჭოთა ხელისუფლებას კარგი კანონები აქვს, მაგრამ ადგილობრივი ცუდი მუშაკები გვიტყბავს სახელს. ეს მდგომარეობა უნდა გამოსწორდეს. რა გზით შეიძლება სოფელში კანონიერების დამყარება? საჭიროა ხშირათ საბჭოების მოწვევა. საბჭო უნდა სწავებდეს საკითხებს, საბჭო უნდა უწევდეს კანტროლს აღმასკომს და ყველა თანამდებობის პირს თავის რაიონში.

ათასი საინტერესო საკითხია: მიწის, გადასახადის, კეთილმოწყობის, ჯანმრთელობის, განათლების, ადმინისტრაციის, გლეხკომების, კოოპერაციის საკრედიტო ამხანაგობების და სხვა. ყველა ეს საკითხები, თუ ნორმალურათ გადაიჭრება სოფლად, გლეხის ეკონომიური მდგომარეობა განმტკიცდება, წინ წაიწევს.

საბჭომ ამ საკითხებს უნდა მიაქციოს უმთავრესი ყურადღება.

ამა თუ იმ საკითხის შესახებ თავმჯდომარემ არ უნდა გასცეს განკარგულება. ჯერ საბჭო მოიწვიოს, იქ დასვას საკითხი, საბჭოს სხდომას სხვა ხალხიც დაესწრება, საკითხის შესახებ იქნება მსჯელობა, მიიღება მთელი დადგენილება და შემდეგ, როცა თავმჯდომარე განკარგულებას მოახდენს, ეს გლეხობისათვის ახალი და უცნობი არ იქნება. ხალხს უკვე ეცოდინება საბჭოს დადგენილება და თავმჯდომარეც ადვილათ შესძლებს საკითხის გატარებას.

საბჭო არა მარტო პოლიტიკური ორგანოა, არამედ ეკონომიური. იქ უნდა ირჩეოდეს სამეურნეო ხასიათის საკითხები. კოოპერატივის გამგეობა საბჭოს უნდა უკუეზდეს მოხსენებას თავის მოღვაწეობის შესახებ, აგრეთვე გლეხკომი. საბჭო ამ შემთხვევაში საუკეთესო კანტროლი იქნება. რევიზიის დროს უთუოდ მოგატყვილებს და ვერაფერს გაუგებ, საბჭოს კი ვერ მოატყვილებს. იქ სამი კაცი როდი ზის. ვილაცას ოაღაცა ექნება გაგონილი და მახათი ტომარში არ დაიმალება.



მილიციის უფროსმა საბჭოს ყოველთვიურათ უნდა ანგარიში. იგი შეეცდება ცუდი არათერი ჩაიღინოს, რომ საბჭოს სხდომაზე არ გამოსქიმონ.

დიდი ყურადღება უნდა მიექცეს მექრთამეობას. ძველმა მთავრობამ ცუდი მემკვიდრეობა დაგვიტოვა. ეს სახელს უტეხს მთავრობას. დიდი მუშაობა არის საჭირო, რომ მექრთამეობა მოვსპოთ. დეკრეტი საკმარისი არ არის, საბჭომ სასტიკათ უნდა აღევნოს თვალი ამ სენს.

კიდევ ერთი დაუშვებელი მოვლენა: ბიუროკრატიზმი და ფორმალისტობა. რას ნიშნავს ეს? როცა თავმჯდომარე განებივრდება, ჩინოვნიკობას დაიწყებს. დღეს მიხვალ, ხვალ მოდიო გეტყვის და ასე. როცა საბჭო არ იკრიბება, კანტროლს არ უწევს თავმჯდომარეს, ეს უკანასკნელი სცილდება ხალხს, მასას და ხდება ბიუროკრატი.

ამ საკითხების გარშემო ბევრი მაგალითების მოყვანა შეიძლებოდა, მაგრამ, ჩემის აზრით, საკითხი ისედაც ნათელია. უნდა შევეცადოთ გავატაროთ ახალი კურსი, რომელიც მიიღო ჩვენმა პარტიამ და ხელისუფლებამ. თუ თქვენ ამას გავატარებთ, ადვილათ მივალწვევ მიზანს, რომელსაც ვემსახურებით.

თავმჯდომარე. ამხანაგებო, ვის სურს სიტყვა?

სიტყვა ეკუთვნის რ. თავდგირიძეს.

ამხ. რ. თავდგირიძე. ამხანაგებო, მე აღენიშნავ იმ ნაკლს, რომელიც საბჭოებს აქვს ჩვენში. როცა იკრიბება საბჭო და ისმება კითხვა, გამოდის წევრი და მთავრობის წარმომადგენელს უცქერის, თითქო მართა მას ელაპარაკებაო, ხალხს არ აქვს წარმოდგენა, რომ საბჭო ყველაფრის ბატონ-პატრონია.

სოფლებში ქრთამიც არის, საბჭოების წევრები ამას არ ამხელენ, რატომ? ეშინიათ, რომ სთქვან პასუხს აგებენ, ან სხვა გავლენას იხმარს შეურაცხყოფილი.

ამდენხანს თემის საბჭო არ აყენებდა მოსამსახურეს, თუ რამეს აშავებდა, დაიხოვოდენ. საბჭომ უნდა იცოდეს თავის უფლებები და მოვალეობანი. თვეში ერთხელ უნდა შეიკრიბოს თემის საბჭო და ორ თვეში ერთხელ მაზრის.

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის ამხ. ხ. ღუმბაძეს.

ამხ. ხ. ღუმბაძე. საკითხი დგას საბჭოების მუშაობის შესახებ. მომხსენებელმა რუსეთის მაგალითები მოიყვანა; ჩვენში ასეთ შემთხვევებს ადგილი არ აქვს. საბჭოთა წესწყობილებამ



ისე მოაწყო საქმე, რომ 4 წლის განმავლობაში ქრთამის ამ-
გავი არ გვსმენია.

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის ამხ. ოვანესოს.

ამხ. ოვანესოვი. სოფლათ ჩვენ მილიციას ნაკლი აქვს, ხალხი მათ უტკერის როგორც ძველ ჟანდარმებს. მილიციონერი როცა მიდის, გლეხი დაბლა უკრავს თავს.

სოფლად საბჭოს ხალხი ვერ იცნობს, მისი ავტორიტეტი მცირეა, საბჭოს თავმჯდომარეს ხალხი ნაკლებათ იცნობს, მუხტარს კი ყველა.

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის ამხ. თ. ხიმშიაშვილს.

ამხ. თ. ხიმშიაშვილი. ამხანაგებო, ჩემის აზრით, ამხ. ჟღენტმა საკითხი ასე დააყენა: რა არის ეხლა და როგორ უნდა იმუშაოს საბჭომ.

მე მაქვს ცნობები, რომ საბჭოები კარგათ მუშაობენ, მაგრამ არის სუსტი მხარეებიც.

რა არის საბჭო?

საბჭო არის მუშების და გლეხების პოლიტიკური ორგანო. იგი უმაღლესი ორგანოა, მისი დადგენილება, დეკრეტები აღმასკომმა უნდა შეასრულოს. ჩვენ სხვა ასეთი კომპეტენციის ორგანო არ გვყავს. თუ საბჭო ძლიერია—აპარატი იმუშავებს, თუ საბჭო სუსტია, აპარატიც არ ივარგებს.

რაშია ჩვენი საბჭოების სუსტი მხარე?

ჩვენში საბჭოების სუსტ მუშაობაში დამნაშავეა არა მარტო ადგილობრივი, არამედ ცენტრალური ორგანოებიც. მე მაქვს ოფიციალური საბუთები, რომელიც ამბობს, რომ უფლება არ აქვთ, როცა უნდათ საბჭოს მოწვევა. ასეთი ბრძანება გასცა შინაგან საქმეთა სახკომისარიატმა: თუ საბჭოს მოწვევა გინდათ, ჩვენგან მიიღებთ ნებართვას, გვაცნობეთ დღის წესრიგი და სანამ ინსტრუქტორი არ ჩამოვა, მანამ არ შეიძლება საბჭოს ყრილობის მოწვევაო. საბჭოს უყურებენ, როგორც ჩინოვნიკურ ორგანოს. ეს დაუშვებელია. ეს გავიგე როცა მაზრაში ვიყავი და დაბრუნებისას მივიღე სათანადო ზომები.

ასე რომ, 1924 წელში საბჭოები სუსტათ მუშაობდნენ კი არა ფაქტიურათ გაუქმებული იყვნენ ბრძანებით—არ შეიკრიბოთო.

ქალაქის საბჭოს ასეთი წინადადება არ ჰქონია, მაგრამ მაინც ვერ მუშაობდა. მაზრები უკეთეს მდგომარეობაშია, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. მე-6-ჯერ ვიყავი მაზრებში და



მოვიწვიე საბჭოს სხდომა. ქობულეთის სამაზრო სხდომაზე
ჯერ ყოფილა შეკრებილი; ქედის საბჭოს, მახსოვს, ერთი საჭმე-
ანი სხდომა ჰქონდა.

მაზრებში სუსტათაა საქმე, ხოლო სოფელში არავენ იცის
რა არის საბჭო, გარდა მუხტარისა, რომელსაც ყველა იც-
ნობს.

ამ მხრივ მე ბრალს არ ვდებ ადგილობრივ ამხანაგებს,
არამედ ვადანაშაულებ ცენტრს.

სოფლად ბევრი საინტერესო და საჭირო საკითხებია: ბი-
უჯეტის დამტკიცება, პრეზიდიუმის მუშაობა, კოოპერატივი,
განათლება, აღმშენებლობა, სოფლებს შორის დავები და სხვა.

საბჭოებს ორ თვეში ერთხელ მაინც უნდა ჰქონდეს სხდო-
მა, მოისმინოს მისი აღმასკომის მოხსენება. საქმის მწარმოებ-
ლის საქმეც კი ვერ გადაჭრილა ადგილობრივ. შინაგან საქმე-
თა სახკომატი აღმასკომს სწერს—დაითხოვე საქმის მწარმოებე-
ლიო, აღმასკომი სახკომსაბჭოს თხოვს, რომ კარგი კაცია და
დატოვეო. ეს საქმე არ არის. აღმასკომი უპირველეს ყოვლისა
პასუხისმგებელია თავის საბჭოს წინაშე და შემდეგ ცაკისა და
სახკომსაბჭოსი.

სოფლად დარჩენილა ფეოდალური დროის ძველი ნაშ-
თი—მუხტარობა. ეს ზედმეტია. უნდა გაუქმდეს. საბჭოს თავ-
მჯდომარე იმავე დროს იქნება მუხტარიც. მე შემომაქვს წი-
ნადადება შევიტანოთ რეზოლიუციაში, რომ ორ თვეში ერთ-
ხელ იყოს საბჭოს სხდომა და გაუქმდეს მუხტარობა (ტაშა).

ეხლა საბჭოების მუშა-აპარატის—აღმასკომების შესახებ.
საბჭოს დადგენილებებს ცხოვრებაში ატარებს მისი მუშა აპა-
რატი.

როგორია ის? მე შევეჩები მხოლოდ სუსტ მხარეებს,
რომლებიც ბლომათ მოიპოვება.

ავიღოთ ერთი მაგალითი: ზემო აქარელმა დაუდ შავაძემ
იყიდა ერთი ცხენი, რომელშიაც ორი ხარი მისცა. თითქმის
ერთი წელს ამუშავა ცხენი. შემდეგ შეხვდა ახოელი ისმაილა,
რომელმაც გააცხადა, რომ ცხენი მისია. მილიციამ მოხსნა
ცხენს ტვირთი და ცხენი ისმაილს ჩააბარა. დაუდ შავაძე ამ-
ბობს, რომ ცხენი ბექირ-ოღლისაგან იყიდა. 7 თვეა ეს საქ-
მე ირკვევა და ვერ გამოირკვა ცხენი ახოელ ისმაილისა თუ
ბექირ ოღლის. თუ 7 თვეს ეს ვერ გამოარკვევთ, დასახერტ-
ნი ყყოფილვართ.

მეორე მაგალითი:



ერთმა გლეხმა იჩივლა, რომ პოგრანბატის მანქანაში
ნი გამიფუტა, ვ თვეა დავდივარ ამ საშინელ ზამთარში, ან
უარი მითხრან ან მომცენ, რომ თავი დავანებო.

კიდევ ერთი შემთხვევა:

სასამართლოშია საქმე, ათასი მიწერ-მოწერაა. ვერ გა-
მოარკვეს თუ ეს და ეს კაცი რა თანამდებობისაა.

როდესაც მუშურ-გლეხურ ხელისუფლების დროს ასეა
ხალხი დატანჯული, ციხეში უნდა გავგზავნოთ ამის ჩამდენი
მუშაკები.

შედიხარ დაწესებულებაში, მაგრამ ნარკვევს ვერ მიიღებ
და გლეხი მთელი კვირაობით დადის მცირე საქმეზე. ეს რი-
სი ბრალია? თუ საბჭო არ ვარგა, არც მისი აპარატი ივარ-
გებს.

ავიღოთ კომმეურნეობა. უბედური დაწესებულებაა. არ
იცი ეს სახლი შენია თუ კომმეურნეობის, 10 თვეს რომ იარო
ვერ გაიგებ. პირდაპირ საკვირველია, იმდენი მიმოწერა აქვს
ამ დაწესებულებას. გამოსავალი—თუ ქალაქის საბჭო გამაგრ-
დება, კომმეურნეობაც გამაგრდება.

ცაკ'ს ჩამდენი სესია ქონდა? ორი, საკმარისია? არა. ორ
თვეში ერთხელ მაინც უნდა მოიწვიოს.

ამ რიგით თუ ერთის მხრით საბჭოებს გავამაგრებთ, მა-
შინ მუშათა აპარატიც მტკიცე იქნება. მომავალ წელში ეს
ნაკლი უნდა გამოვასწოროთ, უნდა განვახორციელოთ ჩვენი
საბჭოების მუშაობა და აპარატიც გაუმჯობესდება.

თავმჯდომარე. ამხ. თ. ჟღენტი მიცემს პასუხს შეკით-
ხებზე.

ამხ. თ. ჟღენტი. ამხანაგებო, ზოგ საკითხებს, რომლებ-
ზედაც დღევანდებმა მიაქციეს ყურადღება მე ეხლა გავა-
შუქებ.

1-ლი შეკითხვა: როგორია გლეხკომების როლი?

პასუხი: ამხანაგებო, ზოგან გლეხკომები ხელისუფლებათ
მიიღო ხალხმა. გლეხკომი არის ურთიერთ-დამხმარე ამხანაგო-
ბა, საზოგადოება. მისი მოქმედების ანგარიშები აუცილებ-
ლათ უნდა მოისმინოს საბჭომ. ხშირათ გლეხკომები ცუდათ
ირჯებიან და თუ საბჭოებმა არ ჩააყენა კალაპოტში მათი მუ-
შაობა, მოსალოდნელია შეცდომები. გლეხკომს აქვს საკუთა-
რი ფუნქციები—კოლექტიური მეურნეობის მოწყობა და სხვა.



მე-2 შეკითხვა: საბჭოს არჩევნების სისტემაზე არაფერია სთხვით მოხსენებაში.

პასუხი: ამხანაგებო, ამ საკითხზე მე არ შევიჩერდი, რადგან ვფიქრობდი, რომ ეს ყველამ კარგათ იცის. არჩევნები ასეთია: 100 კაცი ირჩევს ერთს. თუ სოფელში 100 მოსახლეა—ირჩევენ 10 კაცს. ვინ ირჩევს? მხოლოდ ისინი, ვინც თვითონ მუშაობს და დაქირავებულ შრომით არ სარგებლობს. კულაკებს და ვაჭრებს ჩვენ ვერ მივცემთ საარჩევნო უფლებას. კულაკი კი ქვია არა იმას, ვისაც თავის შრომით 3—4 ძროხა შეუძენია, არამედ იმას, ვინც სხვას ყვლეფს, მოჯამაგირეების შრომით იძენს სიმდიდრეს.

მე-3 შეკითხვა: კომუჯრედთან რა დამოკიდებულება აქვს საბჭოს?

პასუხი: კომუჯრედი ისმენს საბჭოს წარმომადგენლების მოხსენებას მუშაობის შესახებ და თავისი დირექტივები გაჟავს საბჭოში—კომუნისტ წევრების საშუალებით. მუშაობს ორივე ორგანიზაცია კონტაქტში. წამოყვედრება, მე კომუნისტი ვარო—დაუშვებელია. ჩვენ იმიტომ შეგვყავს საბჭოში უპარტიო ხალხი, რომ ვიმუშაოთ. საბჭოთა წესწყობილება იმითი არის ძლიერი, რომ უპარტიო მასა აკეთებს კომუნისტურ საქმეს.

მე-4 შეკითხვა: შეუძლია საბჭოს მოსთხოვოს ანგარიში აღმასკომს?

პასუხი: არა თუ შეუძლია, ეს მის მოვალეობაში შედის.

მე-5 შეკითხვა: არის თუ არა განსაკუთრებული ინსტრუქციები საბჭოს შესახებ?

პასუხი: არის.


მე-6 შეკითხვა: აქვს უფლება საბჭოს გადააყენოს აღმასკომის თავმჯდომარე თუ არა?

პასუხი: რასაკვირველია აქვს, თუ კი ძველი თავმჯდომარე არ ვარგა, ახალს აირჩევთ.

თავმჯდომარე: კამათი დასრულდა, ვის აქვს რეზოლუცია?

ამხ. გარაყანიძე. ნება მომეცით წარმოვადგინო შემდეგი რეზოლუცია:

„სრულიად აქარისტანის საბჭოთა მე-V ყრილობამ, მოიხმინა რა ამხ. თ. ჟღენტის მოხსენება საბჭოების მუშაობის შესახებ, აღნიშნავს:



1) რომ გაეფართოვოთ საბჭოთა აღმშენებლობა, და საზოგადოთ განვამტკიცოთ საბჭოთა ხელისუფლება, ზრდაცვაწასაქმელოთ საბჭოთა აპარატი, მე-V ყრილობა საჭიროთ სცნობს, რომ მუშურ-გლეხური მასა ფართოთ იქნას ჩაბმული და განობილი საბჭოთა აღმშენებლობას; ამისათვის საჭიროთ სცნობს საბჭოების სისტემატიურათ მოწვევას; საბჭოების სხდომებზე უნდა გაირჩეს ყოველგვარი კულტურული, ეკონომიური, აღმშენებლობის საკითხები, კონტროლი გაეწიოს საბჭოთა აპარატს და მიეცეს მას საჭირო დირექტივები. ეს ერთად ერთი სწორი ღონისძიებაა საბჭოთა აპარატის გასაუმჯობესებლათ.

2) მე-V ყრილობა საჭიროთ სცნობს ყოველ ორ თვეში ერთხელ ქალაქში, მაზრებში და თემებში მოწვეულ იქნას საბჭოების საქმიანი სხდომები.

3) რადგან მუხტარობა არ შეეფერება საბჭოთა ფორმას, არამედ დარჩენილია ფეოდალურ ხანიდან, მე-V ყრილობა საჭიროთ სცნობს მუხტარობის გაუქმებას და სოფლის საბჭოების საქმეებში ჩარევას და მტკიცე კავშირის დაქერას თემის საბჭოებთან“.

თავმჯდომარე. ამხანაგებო, რეზოლიუციის მომხრე ვინც არის, გთხოვთ ასწიოთ ხელი.

რეზოლიუცია მიღებულია ერთხმათ.

ამხანაგებო, მეშვიდე სხდომას დახურულათ ვაცხადებ.

მერვე სხდომა.

სრ. აჭარისტანის საბჭოთა მეზუთე ყრილობის მე-8-ე სხდომა შესდგა 1925 წელს, 28 მარტს, დილით, პარტიულ კლუბში ამხ. თ. ხიმშიაშვილის თავმჯდომარეობით.

თავმჯდომარე. ამხანაგებო, მე-V ყრილობის მერვე სხდომას გახსნილად ვაცხადებ (ტაში).

სიტყვა ეკუთვნის ამხ. ხასან ბერიძეს სახელმწიფო სააღმშენებლო მუშაობის შესახებ მოხსენებისათვის.

ამხ. ხასან ბერიძე. ამხანაგებო, სახელმწიფო სააღმშენებლო მთავარი სამმართველო დაარსდა 1922 წელში. გეგმიანი მუშაობას შეუდგა მხოლოდ 1923 წელში. მე-3 ყრილობამ გარკვევით მოითხოვა აღმშენებლობის დარგში მუშაობა და მიანდო გეგმის შედგენა მეჯლისს, რომელმაც მოგვცა სათანა-



დო გეგმა. ჩვენ შეუდევით მუშაობას ამ გეგმის მიხედვით. დაწყებულია მუშაობა 9 გზისა და 3 დიდი ხიდებისა. შაოები მაზრებში განაწილებულია შემდეგნაირად:

- 1) ქობულეთის მაზრაში—3 გზა და ერთი ხიდი.
- 2) აჭარის-წყლის მაზრაში—ერთი გზა.
- 3) ქედის მაზრაში—1 გზა და 1 ხიდი.
- 4) ხულოს მაზრაში—4 გზა და 1 ხიდი.

1) **ქობულეთ-ლეღვას გზა**, სიგრძით 16 ვერსტი ჩოლო-ქამდე და 11 ვერსტი ლეღვამდე. გზა ემსახურება 11 სოფელს, რომელიც შესდგება 731 კომლისაგან. დამთავრებულია მიწის სამუშაოები, გაყვანილია წყალსადენი თხრილები მთელ სიგრძეზედ, აშენებულია ხელოვნური ნაშენები, როგორც არის: ხიდები, მილები და ლარები, გამზადებულია და გაფენილია მთელ გზაზედ ზღვის სრეში და დატეხილი ქვა. ამჟამად სწარმოებს გზის მოტყევნა. გზა დამთავრდება მაისში 1925 წ.

2) **ქობულეთ-კოხი-ჭახათის გზა** სიგრძით 4 $\frac{1}{2}$ ვერსტი, იწყება სოფელ კოხიდან. ემსახურება 8 სოფელს, 308 კომლისაგან შემდგარს. დამთავრებულია მიწის და ქვის სამუშაოები, გაშენებულია ხიდები, მილები და ლარები 3 ვერსტის მანძილზე, გზა დამთავრდება 1925 წელს ზაფხულში.

3) **ჩაქვი-ჩაქვისთავის გზა**, სიგრძით 11 ვერსტი, იწყება ჩაქვის სახალხო მამულის არსებულ გზის ბოლოდან და თავდება სოფელ ჩაქვის თავის ჯამესთან, ემსახურება 6 სოფელს შემდგარს 164 კომლისაგან, დამთავრებულია მთელი მიწის სამუშაოები, ქვის კი ნახევრად. გაშენებულია ხიდები, მილები, საყრდნობი კედლები და ლარები დამთავრებულ სიგრძეზედ. გზა დამთავრდება 1925 წელს ზაფხულში.

4) **ქვის ხიდი სიგრძით 20 საუენი, მდინარე კინტრიშზედ, სოფელ ხუცუბანში**. ემსახურება 362 კომლს. ხიდი შესდგება ორი მანძისაგან: ერთი ქვისა და მეორე კი ტინობის თაღებისაგან. ხიდის გაშენება დამთავრებულია და გაიხსნება 5 დეკემბერს 1924 წელს.

5) **გზა მდინარე მაჭახელის გასწვრივ სოფელ ჩიკუნეთის მიმართულებით**, სიგრძით 11 ვერსტი. გზა იწყება გზატკეცილის ხიდან მეოთხე ვერსტზედ, მარადიდის შტოზედ და ემსახურება 385 კომლს. შესრულებულია მიწის სამუშაოები სოფელ აჭარის აღმართამდე 5 $\frac{1}{2}$ ვერსტის მანძილზედ. იქნება წარმოებული დამუშავება კლდიან ადგილებისა. გზა დამთავრდება 1925 წელში.

6) **ქელა-მერისის გზა**, სიგრძით 8 ვერსტი. იწყება ხიდ-



თან, რომელიც ეხლახან შენდება და მიდის მდინარე-მეფის სის მარჯვენა ნაპირით. ემსახურება 8 სოფელს, რომელნიც შესდგება 280 კომლისაგან. სწარმოებს მიწის და კლდიან ადგილების დამუშავება მთელი გზის მანძილზედ, მზადდება აგრეთვე მასალები ხიდებისათვის. გზა დამთავრდება 1925 წელში.

7) **რკინა-ტინობის ხიდი, სიგრძით 48 საჟენი სოფელ ქედასთან, მდინარე აჭარის-წყალზე.** შესდგება სამი რკინა-ტინობის თალიან მანძებისაგან, ორი სანაპირო და ორი შუა ბიჯა ქვის დასაყრდნობებზე. მარჯვენა ნაპირის ბურჯი აგებულია ღია ქვაბულში, მარცხენა ნაპირის კლდეზედ. ორი შუა-ბიჯი აგებულია ჩასადგმელი ქვებით. ნაპირების ორივე მხრით გაშენებულია ქვის ჯავლმიმართი ჯებირები და დასაყრდნობი კედლები. ხიდის პირველი ორი მანძი სრულიად დამთავრებულია, მესამე მანძი კი უნდა დამთავრებულიყო ა. წ. დეკემბერში, მაგრამ თოვლის გამო მუშაობა შეჩერდა. ეხლა სააღმ-შენებლო სამმართველოს უანგარო მუშაობის და შრომის შემდეგ უკვე მოთავებულია რკინა-ტინობის ჩასხმა. ხიდი დამთავრდება 1925 წელს, მაისში.

8) **ხიკაური-ქვანა-ცხემლისის გზა, სიგრძით 8 ვერსტი.** ემსახურება 20 სოფელს, შემდგარს 686 კომლისაგან; დამთავრებულია მიწის და კლდიანი ადგილების დამუშავება. აგებულია ხიდები, მილები და ლარები მთელი გზის მანძილზედ. დამთავრებულია და გაფენილია გზაზედ დატეხილი ქვა, მოტკეპნილია 7 ტონიანი სატკეპნი მანქანით. გზა სრულიად დამთავრებულია და მიმოსვლა გახსნილია 17 დეკემბ. 1924 წ.

9) **შუახევი-უჩამპოს გზა, სიგრძით 7 ¹/₂ ვერსტი, იწყება** შუახევის ხიდთან, რომელიც ეხლა ხან შენდება, ბათომახალციხის გზატკეცილის 6⁵/₂ ვერსზედ და თავდება უჩამპოში; ემსახურება 8 სოფელს შემდგარ 320 კომლისაგან. დაწყებულია მიწის მუშაობა გზის დასაწყისიდან. დამთავრდება 1926 წელში.

10) **რკინა-ტინობის ხიდი, სიგრძით 24 საჟენი, სოფელ შუახევთან, აჭარისწყალზედ.** თანახმად გეგმისა ხიდი შესდგება ორი მანძისაგან ვიზანტიის სისტემის ორი სანაპირო და ერთი შუაბიჯა ბურჯებისაგან. მარჯვენა ნაპირის ბურჯი აგებულია ჩასადგმელი ქვით, მარცხენა კი კედელზედ. ბურჯი ჩადგმულია ჩასადგმელი ქვით რკინა-ტინობისაგან ორივე, ბურჯებს აქვს ჯავლმიმართი ჯებირები და კედლები. დამთავრებულია სავსებით ორივე ბურჯები და აყვანილია საძირკველს ზევით 0.50 საჟენი, ე. ი. სამივე ბურჯი დამთავრებულია. დამ-

ზადებულია ხე-ტყის მასალა ხარაჩოსათვის, აგრეთვე რკინა, სილა, დატეხილი ქვა და მჭიდი. ხიდი დამთავრებული იქნა 1925 წლის ივლისში.

11) **სხალთის გზა**, სიგრძით 11 ვერსტი, იწყება-ბათომში-ახალციხის გზატკეცილის 75 ვერსზედ, გადადის რა აჭარის-წყალზედ, ხიდით, მდის მდინარე სხალთის წყლის მარცხენა ნაპირით, ემსახურება 238 კომლს. შესრულებულია მიწის სამუშაოები, დაწყებულ იქნება კლდიან ადგილების დამუშავება. მდინარე აჭარისწყალზედ აშენებულ იქნება დიდი ქვის ხიდი. გზა დამთავრდება 1925 წელში.

12) **ლორჯომის გზა**, სიგრძით 8 ვერსტი, იწყება ხულოს იქეთ მე-4-ე ვერსტზედ მიემართება ლორჯომის წყლის მარჯვენა ნაპირით, მდის იმავე სახელწოდების უღელტეხილამდე, ემსახურება 19 სოფელს, რომელიც შესდგება 1002 კომლისაგან. შესრულებულია მიწის და კლდიან ადგილების დამუშავება მთელი გზის მანძილზედ; აგრეთვე გაშენებულია ხიდები, მილები, ღარები და დასაყრდნობი კედლები, დამზადებულია დატეხილი ქვა და მოტკეპნილია სატკეპნი მანქანით. გზა სრულიად დამთავრებულია და მიმოსვლა გაიხსნა 1924 წლის 6 დეკემბერს.

ამხანაგებო, მაშასადამე სულ ეს 9 გზა და 3 ხილია ჩვენ მიერ გაკეთებული, შეიძლება ზოგმა სთქვას, რომ ეს ცოტაა, მაგრამ ვინც სინამდვილეს ჩააკვირდება, დამეთანხმება, რომ ეს დიდი საქმეა.

თქვენ გახსოვთ, რომ არც ნიკოლას და არც სხვა მთავრობები ხალხზე არ ცდილობდა და გზების მაგიერ სიმაგრეებს თხრიდნენ.

ჩვენი მთავრობა, ამხანაგებო, შეუდგა გზების გაკეთებას. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. გოფხაკაცის ცხოვრება მაშინ იქნება დაკმაყოფილებული, როცა გზა და მიმოსვლა აქვს მას.

1921/22 წელში ბეგობასთან ბრძოლა გვქონდა. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენ მოვახდინეთ მისი ლიკვიდაცია.

1923 წელში გადავედით აღმშენებლობაზედ და ცოტა ხანში მეტის გაკეთება არ შეიძლებოდა.

დამოჩა ამხანაგებო კიდევ დისტანციის საქმე მოსახსენებელი. 1914 წლიდან არ შეკეთებულა ბათომ-ახალციხის გზა,



ამის შეკეთებას კიდევ ბევრი შრომა დასჭირდება, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ შესახებ დაწერილებით ინჟინერი ტეპენკიჩიევი მოგახსენებთ.

თავმჯდომარე. ამხანაგებო, სიტყვა ეკუთვნის თანამომხსენებელს, გუგის მმართველს, ინჟ. ტეპენკიჩიევს.

ამხ. ტეპენკიჩიევი. ამხანაგი ტეპენკიჩიევი იმავე მოხსენებას აკეთებს რუსულ ენაზე და უმატებს შემდეგს:

ამხანაგებო, ზემოდ აღნიშნულ ხიდეების და გზების გაყვანა ჩვენ დაგვიჯდა:

1. ჩახათის გზა	18.000 მან.
2. ლელვას გზა	22.000 მან.
3. ჩაქვის თავის	20.000 მან.
4. მაქახელი-ჩიქუნეთი	200 „
5. მერისის „	2.500 „
6. ღორჯომის „	41.500 „
7. ქვანის „	30.000 „
8. სხალთის „	2.000 „
9. შუახევის ხიდი	28.000 „
10. ხუცუბანის	13.000 „
11. სხვა გზების და ხიდეების წინასწარი და სხვა ხარჯები	11.300 მან,

სულ დახარჯა 182.500 მანეთი.

დასასრულ უნდა მოგახსენო ყრილობას, რომ ამ მუშაობის დროს გზებზე და ხიდეებზე იმუშავა სულ 106,670 მუშამ, რომლიდან 87.614, ე. ი. 85% აქარელი იყო. ეს იმას ნიშნავს, რომ მთელ დახარჯულ თანხის 85% ადგილობრივ მცხოვრებლების ხელში დარჩა, ამ რიგად აქარელები გარდა კულტურულ სარგებლობისა, მატერიალურ სარგებლობასაც პოულობენ გზების და ხიდეების გაყვანაში.

თავმჯდომარე. ამხანაგებო, სიტყვა აქარისწყლის პიღროსადგურის შესახებ ეკუთვნის მთავარ ინჟინერ მაშვესკის.

ინჟ. მაშვესკი. ამხანაგებო, ენერგია, რომელიც აქვს ამ ქამად ბათომს, მუშავდება რამოდენიმე სადგურში და მაინც არ არის საკმარისი. 5 დიდი და 3 პატარა სადგური მუშაობს, მაგრამ მთელი მოთხოვნილება არ არის დაკმაყოფილებული, ენერგია კი ძვირი ჯდება. ხალხი ვერ სარგებლობს სინათლით ქალაქში, ზედმეტია ქალაქ გარეთ სოფლებზე ლა-



პარაკი. უგზოობის დროს ნავთი არ ყოფნის და სადგურებში სრულიად ჩერდება.

მაგრამ შეიძლება არც გზა იყოს, არც ნავთი და ენერგია კი მიიღო. ამისათვის უნდა გამოვიყენოთ წყლის ენერგია.

ეხლა დიდ მანქანებს ჩვენში ორთქლით ამუშავენენ უენერგიობის გამო. ელევატორის მოწყობაც არ შეიძლება, რადგან არ არის ელექტრო-ენერგია.

რა სარგებლობას მოგვითანს აქარისწყლის ელექტრო სადგური ასეთ პირობებში?

უპირველესად ყოვლისა, ყოველ წელში გადარჩება 100.000 ფუთი ნავთ-პროდუქტი, რომლებსაც ეხლა ელექტრო-სადგურები ხარჯავენ, ეს ნავთი უცხოეთში იქნება გატანილი და საბჭოთა კავშირს შემოსავალი ექნება.

ენერგიას გამოვიყენებთ გასანათებლად, მანქანების ასამუშაველად. არის სპილენძის და სხვა ძვირფასი მადნები. როცა იაფი ენერგია გვექნება, დამუშავება ადვილი იქნება და აგრეთვე ტყეების ექსპლოატაცია ადგილობრივ მოეწყობა სახერხი მანქანები, რომელიც ელექტრო ენერგიით ამუშავდება.

შემცირდება ქალაქის და კერძოთ მოქალაქეთა ხარჯები. თუ ეხლა კილოვატი ღირს 15—20 კ., მაშინ ეღირება 3—4 კ. დიდ დახმარებას გაუწევს აგრეთვე ა. წ. ჰ. ე. ს. გზების და არხების გაყვანას, ქაობების ამოშრობას და სადგური მთელ ჩვენს ცხოვრებას გააუმჯობესებს.

რა არის გაკეთებული ჯერ-ჯერობით? სრულდება დრ. სადგური. ამ ენერგიას გამოვიყენებთ მუშაობის მექანიზაციისათვის. ეს დიდათ გაადვილებს სადგურის აგებას საერთოდ. ჯერ მუშაობა გაშლილი არ არის. 110—120 ათასი მანეთი დაიხარჯა ხელფასში და მასალებში.

თავმჯდომარე. ამხ. ჯემალ ქიქავა გადათარგმნის ინჟ. მაშვესკის სიტყვას.

ამხ. ჯ. ქიქავა. (თარგმნის ზემოთ მოყვანილ სიტყვას).

თავმჯდომარე. ამხ. ხასან ბერიძე უპასუხებს შეკითხვებზე.

ამხ. ხ. ბერიძე. მეზობლებო, ნება მომეცით გიპასუხოთ შეკითხვებზე.



1) შეკითხვა: ქვანის გზის მუშებზე დარჩენილია მისაცემი ფულები?

პასუხი: იყო დარჩენილი 1.100 მანეთი. თოვლის გამო ვერ გავგზავნეთ, ეხლა მივეცით ხუთასი მან., დანარჩენსაც მალე მივცემთ.

2) შეკითხვა: რატომ არ ეთღა მაქახელის გზა?

პასუხი: დაწყებაზე ხელი შეგვიშალა თოვლმა, როგორც მუშაობა შესაძლებელი იქნება, დავიწყებთ.

3) შეკითხვა: უჩამბაში არქის გაყვანის საქმე როგორაა?

პასუხი: ჩვენ მასალებს ვაძლევთ და ტენზიკს. გაყვანა კი ადგილობრივ აღმასკომის საქმეა.

4) შეკითხვა: ქოზულეთი-ლეღვას გზაზე მოქუშავენი რატომ არ დააკმაყოფილეთ?

პასუხი: 3.000 მან. გასულ თვეში მივეცით, 2.500 მან. მივცემთ.

ინჟ. ტეპენკიჩივი. (უპასუხებს შეკითხვებზე).

შეკითხვა: სხალთის თემის სამუშაოები მოიჯარადრეებზე გაიცემა თუ არტელს მიეცემა?

პასუხი: მოიჯარადრეებს არ მიეცემა.

შეკითხვა: ჩაქვის ხიდი რა მდგომარეობაშია?

პასუხი: საფრთხე არ მოელის, შეკეთებას შეუდგენით.

შეკითხვა: ჩაქვში საგზაო მასალები დევს და ფუჭდება.

პასუხი: მე დიდის სიამოვნებით წავიღებდი და მოუვლილი იმ მასალებს, მაგრამ ჩვენი არ არის.

ამხ. მაშვესკი. (უპასუხებს შეკითხვებზე).

1-ლი შეკითხვა: სრული მუშაობა როდის დაიწყება და როდის დასრულდება და როდის დაიწყება გიდრო სადგური? რამდენი მუშა იქნება საჭირო?

პასუხი: სრული მუშაობა დაიწყება ივლისში, დასრულდება 1927 წ., იმუშავენ 200 კაცი, აქედან აჭარლები იქნება 130—150 კაცი, დანარჩენი კვალიფიკაციური მუშები.

მე-2-ე შეკითხვა: გლეხებს თუ შეუძლიათ მიიღონ სინათლე?

პასუხი: შეუძლიათ მიიღონ სინათლე და ენერგია წისქვილების და სხვათა ასამუშავებლად.

მე-3 შეკითხვა: ტრამვაი თუ გავა ხულოში?



პასუხი: შეიძლება, მაგრამ მეტად ძვირი დაჯდება.

მე-4 შეკითხვა: ტრამვაი თუ იქნება რაიონის მიღწევაში მოცემში?

პასუხი: ტრამვაი ძვირი ჯდება, ჩვენ ვისარგებლეთ რკინის გზის ლიანდაგით და ივლის ელექტრო-ვაგონები.

მე-5 შეკითხვა: მახუნცეთის სადგურიდან ქედაში თუ შეიძლება მიეცეს სინათლე?

პასუხი: შეიძლება, საჭიროა 7—8 ათას მანეთი ხაზის გასაცუნად და ექნებათ 200 ლამპა.

თავმჯდომარე. ამხანაგებო, შეკითხვები გათავდა, ვისაც უნდა სიტყვა — ჩაეწეროს, სიტყვა ეკუთვნის ამხ. მუსტაფა აცამბას.

ამხ. მ. აცამბა. (ლაპარაკობს თათრულად).

ამხ. რეჯებ თხილაიშვილი. ამხანაგებო, თუ ტეპენკი-ჩიემა 80 აქარელი ამუშავა, მაშვესკი რატომ არ ამუშავებს აქარლებს, გაუგზავნეთ დარაჯათ ერთი აქარელი და ხელწერილი მომთხოვა. მე შემომამქვს წინადადება, რომ არ ქონდეს ადგილი რეკომენდაციას.

ამხ. ს. ღუმბაძე. ამხანაგებო, ჩვენ მოვისმინეთ მოხსენება აღმშენებლობის შესახებ, ჩვენ ჩვენი თვალთ ვხედავთ და ლაპარაკი რათ უნდა, რომ ბევრია გაკეთებული, ისეც ვიცით, რომ ჩვენ სახსარი ცოტა გვაქვს და არც ტენიკური ძალები გვყავს, მაშასადამე მთავრობამ უნდა სხვა რესპუბლიკიდან იშოვნოს სახსარი და ისე გაგვიკეთოს. ასე შვრება კიდევაც, როცა აქარისტანი აყვავდება, მაშინ გადაუხდით.

ეხლა უნდა შევეხოთ ერთ რამეს: აქარისტანს არ ყავს საკუთარი ექიმები და ინჟინერები. რომ ქედის ხიდს აქარელი აშენებდეს, ხიდი მალე გაკეთდებოდა, წყალიც არ წაიღებდა, რადგან აქარელმა იცის, როდის გადიდდება წყალი და როდის შეიძლება მუშაობა. ასევე მერისის გზა, რომ კარგათ გაეყვანათ, ხუთასი მოსახლე მეტი ისარგებლებდა და მეორე ხიდი არ დასჭირდებოდა, ეხლა სთხრიან გზას და მეორე დღესვე ირღვევა.

მახუნცეთში მუშაობენ დურგლები. აქარისტანში მოიპოვება დურგლები. აგრეთვე მუშები სხვა და სხვა ხალხია. ფურები კი ფეხშიშველი უცქერიან. მეჯლისმა მიიღოს მხედველობაში და გაანაწილოს მუშაობა.

ალი წულუკიძე. ამხანაგებო, აქ მუსტაფა აცამბა ამბობს,



რომ ჭოროხის ხიდი არ გაკედალა. ეს საყვედური უსაფუძვლოა, რადგან წინეთ ეს საკითხი არ ყოფილა წამოყენებული და ჭოროხის ხიდის ხარჯები ხარჯთაღრიცხვაში არ არის შეტანილი. ამხ. ტეპენკიჩიევი საიდან შეაკეთებდა, თუ ფულები არ მისცა ხაზინამ, აცამბას კრიტიკა უადგილოა.

რიზა სალ-ოღლი. ხ. ბერიძემ და ტეპეინჩიევმა რაც თქვეს მართალია, გაკეთებული ბევრია, მაგრამ ექვსი სოფელი გვაქვს დარჩენილი უწყლოთ. მოგვეცეს დახმარება და ტეხნიკი, რომ წყალი და გზა გავიყვანოთ.

იუნუს ბერიძე. ამხანაგებო, ჩვენმა მთავრობამ, ხედავთ, ყველაფერი კარგი გაგვიკეთა, ზოგმა საყვედური უთხრა. შეცდომით ჩვენს ოჯახშიც შევცდებით. ამხელა საქმეში კიდეც უფრო მეტი შეცდომა უნდა იყოს.

ამხ. ვერენიდი. ლაპარაკობს რუსულად, (შემდეგ იგივე სთარგმნის თათრულად). გუქსი ჯამაგირებს აძლევს მოსამსახურეებს და მუშებს კი დროზე არ აძლევს ფულს. არის შემთხვევა რაც 6—8 თვე არ მიუღიათ.

თავმჯდომარე. საბოლოო სიტყვები ეკუთვნით ამხ. ბერიძეს და ტეპენკიჩიევს.

ამხ. ბერიძე. ალი წულუკიძე გვეუბნება, რატომ დახმარება არ აღმოუჩინეთო, სამჯერ გაუგზავნეთ ტეხნიკი, მაგრამ ხალხმა არ მოიყარა თავი და ბერიძე და ტეპენკიჩიევი ხომ ვერ გვითხრის მიწას.

ინჟინერი ტეპენკიჩიევი. ფულის დაგვიანება, ამხანაგებო, არ არის მართალი. მცირე დაგვიანებას აქვს ადგილი, მაგრამ ამაში ჩვენ არ ვართ დამნაშავე. ჩვენ ფულს ვიღებთ ხარჯთაღრიცხვის მიხედვით, ფინსახკომის სარიატში თუ არ მოგვცემენ, ჩვენ საიდან ვიღებთ.

თავმჯდომარე. ამხანაგებო, კამათი დასრულდა, ვის გაქვთ რეზოლიუცია. ამხ. გარაყანიძეს ეკუთვნის სიტყვა.

ამხ. გარაყანიძე. მე შემომაქვს ასეთი რეზოლიუცია: „აჭარის ტანის საბჭოთა მეზუთე ყრილობამ მოისმინა რა მოხსენება ამხ. ხ. ბერიძის სადმშენებლო მუშაობის შესახებ აღნიშნავს, რომ აჭარის ტანში აღმშენებლობითი მუშაობის მდგომარეობა სრულებით შეეფერა აჭარის ტანის კულტურულად და ეკონომიურად აღორძინებას. ყრილობა გზების გაყვანას, ხიდების და ჰიდრო სადგურის აგებას და საერთო აღმშენებლობითი მუშაობის ფორმას სთვლის სწორად და ჩვენი ქვეყნის



მომავალ სამეურნეო და სამრეწველო აღორძინების უმთავრესი ფაქტორათ.

ყრილობა წინადადებას აძლევს მეჯლისს:

1. დამთავრებულ იქნას აღმშენებლობითი მუშაობის პროგრამა.

2. აჭარისტანის ჰიდრო სადგურისათვის გამონახული იქნას სათანადო ფინანსები, რადგან საჭირო თანხების თავის დროზე არ ქონა აფერხებს საქმეს.

3. სოფლის მეურნეობისათვის უაღრესი მნიშვნელობა აქვს არხების გაყვანას და ქაობების ამოშრობას, ამიტომ დაწყებულ და გაძლიერებულ იქნას ამ დარგში მუშაობა.

4. ყრილობა ავალებს მეჯლისს ქალაქის კომუნალურ აღმშენებლობასთან გამოარკეიოს ქალაქ ბათომში, მის ახლო რაიონებში და ქალაქ ქობულეთში ტრამვაის გაყვანის შესაძლებლობა.

თავმჯდომარე. ვინც მომხრეა, გთხოვთ ასწიოთ ხელი. რეზოლიუცია მიღებულია ერთხმით. ეხლა, ამხანაგებო, დღის წესრიგშია მიმდინარე საკითხები: 1) ფუხრების ჩაბმა სახელმწიფო დაწესებულებებში და 2) უმიზეზოთ გაქცეული ელემენტების შესახებ.

ამხ. გარაყანიძე. მე შემომამქვს შემდეგი წინადადება:

მეორე საკითხი გადაეცეს მეჯლისს, ხოლო პირველ საკითხის შესახებ მივიღოთ შემდეგი რეზოლიუცია: მეხუთე ყრილობა აღნიშნავს, რომ ფუხრები ჩაბმული არიან საბჭოთა დაწესებულებებში, წარმოებაში და კულტურულ-ეკონომიურ დარგებში, ხოლო ყრილობა აღნიშნავს, რომ აღმშენებლობაში ფუხრები ძალიან მცირე პროცენტს შეადგენენ; ყრილობა წინადადებას აძლევს ახალ მეჯლისს, რომ ყველა საწარმოვო კულტურულ, ეკონომიურ და საბჭოთა დაწესებულებებში შეიყვანოს აჭარლების საკმაო პროცენტი.

თავმჯდომარე. ვინ არის ამხ. გარაყანიძის წინადადების მომხრე? მიღებულია ერთ ხმით. ეხლა მოვისმინოთ სამანდატო კომისიის მოხსენება, სიტყვა ეკუთვნის ამხ. ხარაბაძეს.

ამხ. ხარაბაძე. არჩევნები მთელ აჭარისტანში ჩატარდა კანონიერათ და არსაიდან არც ერთი განცხადება ყრილობის უკანონოთ ჩატარების შესახებ კომისიას არ მოსვლია. ყრილობის შემადგენლობა:

ყრილობაზე სულ 248 დელეგატია, აქედან 133 მამრებიდან და 115 ქალაქიდან.



დელეგატები იყოფიან, სქესის მიხედვით: კაცები 10; წლოვანების მიხედვით: 18-25 წლ.—29, 25-40 წლ.—175, 40-50 წლ.—35 და ზევით.

პარტიული შემადგენლობა: კომუნისტები—90, კანდიდ 23, კომკავშირელები—12, უპარტიო—123.

ეროვნული შემადგენლობა: აჭარლები—137, ქართველები 73, რუსები—18, სომხები—5, ბერძნები 5 და სხვა ეროვნ.—10.

განათლების მიხედვით: უმაღლესი განათლებით —8, საშუალო—19, დაბალი —86, შინაური 110, წ. კ. უცოდინარი —25, ქონებრივი მდგომარეობა: ქონება აქვს —122, არაფერი არა აქვს—126.

სოციალური მდგომარეობა: გლეხი—83, მუშები—62 და მოსამსახურენი—103.

მეხუთე ყრილობის დელეგატები სულ ყოფილან არჩეული დელეგატებით: პირველჯერ—21, მეორეჯერ—49, მესამეჯერ —33, მეოთხეჯერ—43, მეხუთეჯერ 82 და 6-ჯერ—10.

თავმჯდომარე. ვის აქვს შეკითხვები, ამხ. ხარაბაძე უბასუბებს შეკითხვებზე.

შეკითხვა: ჩაქვის თემში არჩევნების დროს თუ ქონდა ადგილი რაიმე დეფექტს?

პასუხი: არავითარ დეფექტს ადგილი არ ჰქონია. დაესწ—80 პროც. ამომრჩეველებისა.

შეკითხვა: სამანდატო კომისიას თუ აქვს რაიმე განცხადება ან დადგენილება არჩევნების უკანონოთ ჩატარების შესახებ?

პასუხი: არავითარი განცხადება არ მიუღია კომისიას და არსად უკანონობას ადგილი არ ჰქონია.

თავმჯდომარე. ამხანაგებო, შემომამკეს წინადადება: სამანდატო კომისიის მოხსენება იქნას დამტკიცებული და დელეგატების მანდატები ჩაითვალოს კანონიერათ.

ვინ არის მომხრე? ერთხმად მიღებულია.

დაგვჩა ორი საკითხი:

ცაკის არჩევნები და საქართველოს საბჭოთა ყრილობაზე დელეგატების გაგზავნა. დაუმატოთ ერთი საკითხი: ეროვნებათა საბჭოში აჭარისტანის წარმომადგენლის არჩევის შესახებ.

ამხანაგებო, შარშან შედიოდა მეჯლისში 31 წევრი და 7 კანდიდატი, ეხლა უნდა გავადიდოთ და ავირჩიოთ 45 წევრი და 16 კანდიდატი.

ვინ არის მომხრე?

მიღებულია ერთხმად: ეხლა გთხოვთ წარმოადგინოთ სია.
პრეზიდიუმს აქვს ერთი სია, რომელსაც გადაცნობთ: 1. მოწყო-
ბილი ოსმან, 2. ხიმშიაშვილი თახსინ, 3. ჟღენტი თენგიზ,
4. სურგულაძე ვლადიმერ, 5. ბარამიძე სულეიმან, 6.
ხვედელიძე ს., 7. გოგიბერიძე მემედ, 8. ჩალ-ოღლი ხა-
სან, 9. ალანია, 10. კორსაველი, 11. თავდგირიძე რიზა,
12. გარაყანაძე გ., 13. ლორთქიფანიძე ს., 14. ასატურიან
მ., 15. აბდიბა შერიფ, 16. ბრელიძე გრ., 17. ბერიძე
ხასან, 18. ემინამედ დემეტრაძე, 19. ცენტერაძე ოსმან,
20. შუშანია პლატონ, 21. თხილაშვილი რეჯებ, 22. დო-
ლიძე თ., 23. ბერიძე ზაქარია, 24. გურგენიძე ოსმან, 25.
ახალაძე მელიტონ, 26. ქადაგიძე ხასან, 27. აბულაძე
ჯემალ, 28. შავაძე ნიას, 29. თავდიშვილი გ., 30. ბერიძე
ნუნუშ, 31. დანელია ანნა, 32. ელიაშვილი გ., 33. მი-
ქელაძე ალი, 34. იანოვსკი, 35. ქიქავა ჯემალ, 36.
ვოენროსს, 37. ვარშანიძე სულეიმან, 38. ლეგზი-ოღლი
ახმედ, 39. ქორიძე გიორგი, 40. კეკელიძე შუქრი, 41.
სურმანიძე მოედინ, 42. თოდრია ვლ., 43. გოგიტიძე რი-
ზა ალი, 44. ჯინჭარაძე სერგო, 45. ბეზგი-ოღლი-ის-
კანდერ.

მათ კანდიდატებათ არჩეულნი არიან:

1. ეგოროვ, 2. კირისილ-ოღლი სალიკ, 3. ზეიტც,
4. ბოლქვაძე ახმედ, 5. ორლოვი, 6. მახარაძე იუსუფ,
7. პეტროვა, 8. ზაქარიაძე, 9. ბექირ-ოღლი-ალი, 10.
იმედაძე ჭ., 11. ხოზრევანიძე რიზა, 12. ჩხიკვაძე-სვირ-
სკი, 13. კაი-ოღლი-ბოზო, 14. ხარაბაძე დ., 15. ნაკაიძე
ეუბ, 16. გოგიბერიძე ალ.

ამხანაგებო, ამ სიაში 26 აქარელია, იმათში ერთი ქა-
ლია, დანარჩენი ქალაქის წარმომადგენლებია, იქნებ გაქვთ
შესწორება.

ვინც მომხრეა, გთხოვთ ასწიოთ ხელი.

მიღებულია ერთხმად (ტაშა).

ეხლა თბილისში გასაგზავნ დელეგატების სიას გამოვაქ-
ვეყნებთ: 1. ელიავა შალვა, 2. ცხაკაია მიხა, 3. დარახ-
ველიძე, 4. ჟოჟიკაშვილი, 5. კახიანი მიხა, 6. მოწყო-
ბილი ოსმან, 7. ხიმშიაშვილი თ., 8. ჟღენტი თ., 9. ბა-
რამიძე სულეიმან, 10. დოლიძე თედორე, 11. გოგიბე-
რიძე მ., 12. ხვედელიძე, 13. სურგულაძე ვ., 14. ჩალ-



ქართული
ენების
სამეცნიერო
ცენტრი

ოლლი ხასან, 15, ახალაძე მ., 16, თავდგირიძე ბიზა, ბერიძე იუნუს, 18 შუშანია, 19. სურმანიძე მოედინ, 20. ბერიძე ნუნუში, 21. ბერიძე ხასან, 22. გოგიტიძე რიზა-ალი, 23. ელიაშვილი, 24. ვოენროსი; მათ კანდიდატებათ არჩეულნი არიან: 1. კორსაველი, 2. სტეფანოვი, 3. აბდიაშერიფ, 4. ოქროპირ-ოლლი, 5. კაკაბიძე, 6. ხიმშინ-ოლლი კადირ, 7. ფუტკარაძე დევრიშ.

ვინ არის მომხრე? არჩეულნი არიან ერთხმით (ტაში).

ამხანაგებო, საჭიროა ჩვენი წარმომადგენელის არჩევა ეროვნებათა საბჭოში. ჩემის მხრით ვასახელებ ო. მოწყობილს, ვინც მომხრეა გთხოვთ ასწიოთ ხელი, (ტაში). მიღებულია ერთხმად.

ამხანაგებო, მე წინადადებას ვიძლევი ეხლავე ავირჩიოთ ახალი მეჯლისის თავმჯდომარეთ **ამხ. ო. მოწყობილი** (ტაში).

ამხ. თ. ხიმშიაშვილი. ამხანაგებო, ყრილობის დღის წესრიგი ამოწურულია, სანამ ყრილობას დავხუროვდეთ ნება მომეცით ორიოდ სიტყვა მოგახსენოთ.

ამხანაგებო, არც ერთ ყრილობაზე ისე ფართედ არ ყოფილა დასმული ეკონომიური საკითხები, როგორც მე-4 ყრილობაზე იყო.

პირველი ყრილობა პოლიტიკურ და რევოლიუციონურ საკითხებს არჩევდა; ასე იყო მე-2 და მე-3 ყრილობებზეც. ამ ყრილობებზე გვანტერესებდა ჩვენ უმთავრესად პოლიტიკური ხასიათის საკითხები — ავტონომია, საორგანიზაციო საკითხები, ქვედა და ზედა მიღეთლების ლიკვიდაცია, საბჭოთა წესწყობილების განმტკიცება და სხვა.

მე-4 ყრილობაზე უკვე წამოიჭრა ეკონომიური ხასიათის კითხვები.

ხოლო მე-5 ყრილობა მხოლოდ კულტურულ — აღორძინებისა და ეკონომიური განმტკიცების საკითხებს არჩევს. როგორც ვიცით ვაჭრობა-მრეწველობის საკითხები არც ერთ ყრილობაზე არ ყოფილა ასე ფართოდ დასმული. ასევე ითქმის კოოპერაციისა, სასოფლო-მეურნეობაზე და მთელ რიგ სხვა ეკონომ. ხასიათის საკითხებზე, რომელთა შესახებ მივიღეთ რეზოლიუცია. დიდი განსხვავებაა ამ ყრილობის და წარსულ ყრილობებს შუშაობის შორის.

დელეგატების აქტიუობა, საკითხების გარჩევა და დირექტიულ სწორ რეზოლიუციების მიღება ახასიათებს მე-5 ყრილობას.



ყრილობა ახალ მეჯლისს ღირექტივებს აძლევს, რომ მთელი ძალონე მოხმარდეს ეკონომიურ ფრონტს. მეჯლისმა უნდა გაატაროს ცხოვრებაში ეს ღირექტივები. არც ერთ გადახრას არ უნდა ქონდეს ადგილი, ამისათვის საჭიროა, რომ საბჭოები, გლეხები და მუშები მხარში ამოუდგენ ცაქს და ხელჩაკიდებულნი შეუდგენ მუშაობას.

მე-წ ყრილობამ ისეთი დადგენილებები მიიღო, რომლის ასრულება ახალ ნაყოფს მალე მისცემს აჭარისტანს.

გაუმარჯოს მე-წ ყრილობას!

გაუმარჯოს ფუხარა აჭარისტანს!

გაუმარჯოს ფუხარა ხალხის ახალ მეჯლისს! (ტაში).

ეხლა, ამხანაგებო, ნება მიბოძეთ მე-წ-ე ყრილობა დასრულებულათ გამოეცხადო (ტაში).

აჭარისტანის საბჭოთა მე-წე ყრილობა დასრულდა 28 მარტს, 1925 წელს, დღის 2 საათზე.

სრ. აჭარისტანის საბჭოთა მეხუთე ყრილობის სამდივნო

3 -

25-475



აჭარ. საბ. შინა-გარე. მრეწვ. პოლიგრაფ. განკ. მთაველ. № 1312 დავ. № 5720.
ტირაჟი 500.

676